საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№24 (495)
3 - 9 ივლისი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru




## 11 იტალია ევროს პარალელურ ფულს ჭრის

## განტევების ვაცები, ანუ ოლიგარქის მიერ ხურდად შენარჩუნებული «მშვიდობა» 7




«ეს ეკონომიკური საფრთხე, პირველ რიგში, გლეხს ემუქრება, თორემ ქვეყნის ამრევები და დამქცევები, როგორებიც არიან მელია, ბოკერია, უგულავა, ბაქრაძე და სხვები, არაფერს მოიკლებენ»

ლალი მოროშკინა:

## ეს ხელისუფლება ისტორიაში სისულელეების მკეთებელი ხელისუფლების სახელით შევა 3





გულბაათ რცხილაძე:

## 4 საქართველოს ჰყავს ჩასვრილების მთავრობა ივანიშვილის მეთაურობით

## ვლადიმერ პუტინი: ლიბერალიზმმა თავისი დრო მოჭამა! 2



დონალდ ტრამპი: პუტინი მართალს ამბობს

## სახელმწიფოს ვუმტრეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლელი პატრონებისთვის გვეამებინა 6



## უკრაინელი დეპუტატი: ასოცირების შეთანხმებას მავნებლობის მეტი არაფერი მოაქვს უკრაინისთვის 24





ტოჩინოშინი:

## იაპონიაში დარჩენას არ ვაპირებ. ქართველი კაცი ვარ და ჩემს სამშობლოში უნდა ვიცხოვრო! 23

ექსკლუზივი



გლობალური პროცესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტინმა თქვა ის, რისი თქმაც დასავლეთში ბევრ რიგით ადამიანს უნდა, მაგრამ ვერ ბედავს სამსახურის, საზოგადოებრივი რეპუტაციისა თუ სულაც ციხეში მოხვედრის შიშით. პუტინის ამ სიტყვების შემდეგ ასეულობით მილიონ ადამიანს მსოფლიოში ჰყავს პოლიტიკოსი, რომელიც ამბობს იმას, რისი თქმაც მათ ქვეყნებში არ შეიძლება, რომელიც იცავს ტრადიციულ ფასეულობებს, იმ ფასეულობებს, რომლებიც ლიბერალურ დასავლეთში აკრძალულია აგერ უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.**

# ვლადიმერ პუტინი: ლიბერალიზმმა თავისი დრო მოჭამა!

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ბოლოდროინდელმა განცხადებებმა და ინტერვიუებმა დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. გთავაზობთ ამონარიდებს ამ ინტერვიუებიდან და განცხადებებიდან.**

**ვლადიმერ პუტინი** ბრიტანულ გაზეთ „ფაინენშელ თაიმსის"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში:

**„...არის თანამედროვე ე.წ. ლიბერალური იდეა, რომელმაც, ჩემი აზრით, თავისი მოჭამა საბოლოოდ. თვით ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც კი აღიარებენ, რომ მისი ზოგიერთი ელემენტი არარეალურია — მულტიკულტურიზმი, მაგალითად. აი, როცა მიგრაციული პრობლემები დაიწყო, ბევრმა აღიარა, რომ ეს (ლიბერალური მიდგომები — რედ.) არ მუშაობს და საჭიროა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები გაიხსენონ. ეს ლიბერალური იდეა გულისხმობს, თვალის დახუჭვას ყველაფერზე. მოკალი, ძარცვე, აუპატიურე – შეგიძლია, შენ ხომ მიგრანტი ხარ, უფლებები გაქვს... რისი უფლება?! დანაშაული ჩაიდინე? კეთილი ინებე და პასუხიც აგე! ამიტომაა, რომ ამ იდეამ თავისი ამოწურა და ის წინააღმდეგობაში მოვიდა ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებთან".**

***** ვლადიმერ პუტინმა დიდი ოცეულის სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ლგბტ-თემის შესახებ დასმული კითხვას ასე უპასუხა:

**„მათ არაფერს არ ვერჩით, იცხოვრონ ისე, როგორც თვითონ მიაჩნიათ საჭიროდ, მაგრამ ზოგიერთი რამ ჩვენთვის მეტისმეტად გვეჩვენება. ბავშვებს რაც შეეხება, ათასი რაღაც მოიგონეს, ხუთი თუ ექვსი სქესი, ამისი გამოთქმაც კი არ შემიძლია, არ ვიცი, რას ნიშნავს ყოველივე ეს. ჩვენ ავკრძალეთ მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა არასრულწლოვანთა შორის. მოდი, ვაცალოთ ბავშვებს, გაიზარდონ, ჩამოყალიბდნენ ზრდასრულ ადამიანებად და მერე თვითონ გადაწყვეტენ, რა უნდათ და როგორ უნდათ".**

ამ განცხადებებით პუტინმა თქვა ის, რისი თქმაც დასავლეთში ბევრ რიგით ადამიანს უნდა, მაგრამ ვერ ბედავს სამსახურის, საზოგადოებრივი რეპუტაციის თუ სულაც ციხეში მოხვედრის შიშით. პუტინის ამ სიტყვების შემდეგ ასეულობით მილიონ ადამიანს მსოფლიოში ჰყავს პოლიტიკოსი, რომელიც ამბობს იმას, რისი თქმაც მათ ქვეყნებში არ შეიძლება, რომელიც იცავს ტრადიციულ ფასეულობებს, იმ ფასეულობებს, რომლებიც ლიბერალურ დასავლეთში აკრძალულია აგერ უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. კონსერვატიულად განწყობილი დასავლელი ობივატელი რწმუნდება, რომ, რაკი პუტინი აკრძალულ სიმართლეს ლაპარაკობს, მაშასადამე იქ, სადაც პუტინია, არის თავისუფლებაც.

ბრიტანული გაზეთი **„გარდიანი"** შეშფოთებით წერს, რომ „პუტინიზმი" შეიძლება კაცობრიობის მომავლად იქცეს. გამოცემის ვერსიით, „პუტინიზმის" იდეოლოგიამ უკვე გაიმარჯვა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პოლონეთი, იტალია, უნგრეთი და თურქეთიც კი.

**ისლა დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ ტრადიციული ფასეულობების, ეროვნული სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემა სულაც არ მოუგონია ვლადიმერ პუტინს, ის მხოლოდ ატარებს ცხოვრებაში ამ მიდგომებს. ამაშია სწორედ მსოფლიოში მისი პოპულარობის საიდუმლო.**



# დონალდ ტრამპი: პუტინი მართალს ამბობს

**დონალდ ტრამპი** ცდილობს, არ ჩამორჩეს პუტინს ლიბერალიზმის კრიტიკაში. როდესაც მას შეკითხვა დაუსვეს ლიბერალიზმის პუტინისეულ შეფასებაზე, ტრამპმა ფრიად მოიწონა ეს შეფასება და ლიბერალიზმის უვარგისობის დასტურად მაგალითები მოიყვანა აშშ-ის სინამდვილიდან. „შეხედეთ, რა ხდება ლოს-ანჯელესში, რა ხდება სან-ფრანცისკოში, ზოგიერთ სხვა ქალაქში, თავგამოდებული ლიბერალები რომ უდგანან სათავეში", — თქვა ტრამპმა.

მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, განვმარტავთ, რომ, მაგალითად, ლოს-ანჯელესში ტიფი გაჩნდა, ვირთხები კი იქაური პეიზაჟის განუყოფელი ნაწილია. სან-ფრანცისკოს ცენტრი, ადგილობრივი ჟურნალისტების შეფასებით, საზოგადოებრივი ტუალეტი უფროა, ხოლო ერთ-ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა-ეპიდემიოლოგმა ტელეარხ NBC-ის ეთერში განაცხადა, რომ სან-ფრანცისკოს ზოგიერთი რაიონი ინდოეთისა და ბრაზილიის ჯურღმულებზე უარესია. სხვა „სისუფთავეებთან" ერთად, ამ ქალაქში ყველგან მოგხვდებათ თვალში ნახმარი ერთჯერადი შპრიცების გროვები, რომლებსაც ადგილობრივი ულტრალიბერალი ხელისუფალნი უფასოდ ურიგებენ იქ სასათბურე პირობების საძიებლად ჩასულ ათასი ჯურის ნარკომანს.

**«მათ არაფერს არ ვერჩით, იცხოვრონ ისე, როგორც თვითონ მიაჩნიათ საჭიროდ, მაგრამ ზოგიერთი რამ ჩვენთვის მეტისმეტად გვეჩვენება. ბავშვებს რაც შეეხება, ათასი რაღაც მოიგონეს, ხუთი თუ ექვსი სქესი, ამისი გამოთქმაც კი არ შემიძლია, არ ვიცი, რას ნიშნავს ყოველივე ეს. ჩვენ ავკრძალეთ მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა არასრულწლოვანთა შორის. მოდი, ვაცალოთ ბავშვებს, გაიზარდონ, ჩამოყალიბდნენ ზრდასრულ ადამიანებად და მერე თვითონ გადაწყვეტენ, რა უნდათ და როგორ უნდათ»**

# სლოვენია და იტალია «ბალკანურ მარშრუტზე» არალეგალი მიგრანტების შესაჩერებლად ერთობლივ ოპერაციას იწყებენ

**ორი ქვეყნის სასაზღვრო ძალები საზღვრის გასწვრივ ტერიტორიებზე პატრულირებას განახორციელებენ. პატრულირება მოხდება კვირაში ოთხჯერ: სამჯერ — სლოვენიის მხარეს და ერთხელ — იტალიის.**

„ერთობლივი პატრულირება სასაზღვრო კონტროლის აღდგენას არ ნიშნავს. ეს ზომა მოწოდებულია, გაამარტივოს ოპერატიული ვითარება, დააჩქაროს გაქცევის მსურველთა და სატრანსპორტო საშუალებათა დაკავება, გააუმჯობესოს კონტროლი საზღვრის ორივე მხარეს", — განმარტეს სლოვენიის სასაზღვრო პოლიციაში.

იტალიის სასაზღვრო სამსახურში კი იმედოვნებენ, რომ შეძლებენ მიგრანტაბთან მუშაობის დონის ამაღლებასა და კონტრაბანდისტთა წინააღმდეგ ზომების გაუმჯობესებას.

რომში გამოაცხადეს, აგრეთვე, რომ, თუ დასახელებული ზომები შედეგს არ მოიტანს, იტალია-სლოვენიის საზღვარზე დამცავ ბარიერებს აღმართავენ.



# ლიბერალიზმი მოქმედებაში — «პოგრომები» პორტლენდში

**ანტიფაშისტური მოძრაობა „ანტიფას" რამდენიმე ათასმა აქტივისტმა დაიკავეს ქალაქ პორტლენდის ცენტრალური ქუჩები, მაღაზიების ვიტრინებს დაუშინეს ქვები და ბოთლები, დაწვეს ავტომანქანები. პორტლენდის მერმა ტიმ ვილერმა, რომელიც ლიბერალური დემოკრატი და „ანტიფას" თვითგამოცხადებული მომხრეა, პოლიციას უბრძანა, არ უპასუხოს „ანტიფისტების" გამოხდომებს.**



აქტივისტები თავს დაესხნენ დემონსტრაციაზე მყოფ ჟურნალისტებს. ყველაზე მეტი მოხვდა ბლოგერ **ენდი ნგოს**, რომელსაც ცემენტით სავსე ბოთლით თავი გაუტეხეს. ასე შეეცადა „ანტიფა", სოლიდარობა გამოეხატა ოკეანისგაღმელი თანამოაზრეებისთვის.

ბოლო ხანს ბრიტანელ აქტივისტებს შორის პოპულარულია რძის კოქტეილების სროლა ბრექსიტის მომხრეებისთვის. ცემენტით სავსე ბოთლები სიმბოლურად გამოხატავდა ამ კოქტეილებს, მაგრამ გაცილებით უხეში ფორმით.

აშშ-ის ლიბერალური პრესა, ჩვეულებისამებრ, შეეცადა პორტლენდში მომხდარი არეულობის მიჩუმათებას. ზოგიერთებმა თავს ძალა დაატანეს და საყვედური გამოთქვეს. მათმა კოლეგებმა კი პირიქით — პასუხისმგებლობა დაზარალებულებს დააკისრეს — „ანტიფას" თავდასხმა მათ მიერ იყო პროვოცირებულიო.

**გვერდი მოამზადა გიორგი გავაშელმა**

„ნაციონალები გულმოდგინედ ემზადებოდნენ არეულობისთვის. ჩემთვის ცნობილია მოლაპარაკების შესახებაც, სადაც ითქვა, რომ, თუ საპროტესტო მუხტი არ დაეცემოდა, იმ შემთხვევაში, სააშკარაოზე გამოიტანდნენ ყველა იმ იარაღს, რომლებიც ამოიღეს. ამ შემთხვევაში გახარიას ტაქტიკა გასაგებია, მან იცის მოლაპარაკებისა და დიპლომატიის ფასი, ის არ არის მხოლოდ „პაგონიანი ტიპი“, ამიტომ მის მიერ გადადგმულმა სწორმა ნაბიჯებმა დიდ არეულობას გადაგვარჩინა“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლალი მოროშკინა:

# ეს ხელისუფლება ისტორიაში სისულელეების მკეთებელი ხელისუფლების სახელით შევა

**20 ივნისის შემდეგ რუსთაველის გამზირზე ანგაჟირებული ახალგაზრდებისა და პოლიტიკოსების საპროტესტო აქციები არ წყდება. მართალია, ხალხის სიმრავლით არ გამოირჩევა მიმდინარე აქციები, მაგრამ პროტესტი მაინც არ შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნების ნაწილი შესრულდა, აქციის ორგანიზატორები მაინც უკმაყოფილო არიან და დაჟინებით მოითხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომას. რუსთაველზე მიმდინარე აქციებს სოციალური ქსელით გამოეხმაურა პიარტექნოლოგი ლალი მოროშკინა.**
**მან რამდენიმე პუნქტი ჩამოთვალა და შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა, აღნიშნული საკითხები გაესაჯაროებინა.**



**— ქალბატონო ლალი, მინისტრ გახარიას მიმართვაში პირველი, რაც დაწერეთ, იყო ფრაზა: ბატონო გიორგი, ვიცით, რომ ძალიან „გაწვებათ“ სახდეპი; ვიცით, რომ თქვენს სიძლიერეს თქვენსავე წინააღმდეგ მიმართავენ...**

— ეს პოსტი პუტინ-ტრამპის შეხვედრამდე დავწერე, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თემა აქტუალური იყო. **მას შემდეგ, რაც ტრამპი და პუტინი შეხვდნენ ერთმანეთს და საქართველოზე კულუარულად ილაპარაკეს, სწორედ იმ დღეს გაავრცელეს ევროკავშირის ელჩებმა საქართველოს მხარდამჭერი ტექსტები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკამ სათავისოდ გადაქაჩული თემა უკან წაიღო. ოსაკაში შეხვედრის შემდეგ საქართველოში ვითარება შეიცვალა.**

**— ოფიციალურ განცხადებაში არ იყო ნახსენები, რომ ზესახელმწიფოების ლიდერებმა საქართველოზე ილაპარაკეს...**

— როდესაც არ არის საჯაროდ გაცხადებული თემა, სწორედ მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ილაპარაკეს, რადგან ამ შეხვედრის შემდეგ რამდენიმედღიანი დუმილი დაარღვიეს ევროპული ქვეყნების ელჩებმა და საქართველოშიც მაშინვე ვნახეთ, რომ ქუჩის აქციებს ბევრი ლიდერი გამოაკლდა.

აქციებზე იდგნენ ახალგაზრდები და პარტიული ლიდერები. ახალგაზრდები ერთობიან, მაგრამ ლიდერებმა იციან, რომ, როგორც კი ევროპის წინააღმდეგ წავლენ, მათი კარიერა მაშინვე დასრულდება.

**— „გაასაჯაროეთ ყველა „ენჯეო“-ს ანგარიშები, რომლებმაც მიიღეს ამ დღეებში დაფინანსება ქვეყნის გადატრიალების მოსაწყობად“, — ამბობთ მიმართვაში...**

— „ენჯეოები“ ეკუთვნით იმ ადამიანებს, რომლებიც მიტინგს უდგანან სათავეში, და სოციალურ ქსელებშიც ყოველდღიურად ხდება ადამიანების ლუსტრაცია. მიტინგებზე მდგომი ბევრი ადამიანი დადის რუსეთში სხვადასხვა ტრენინგზე...

**— „დაიდოს „ოცნების“ „ნაცმოსთან“ გარიგებული მოღალატეების სია“, — აცხადებთ თქვენ...**

— არსებობენ ასეთი კონკრეტული ადამიანები. მაგალითად, სარფის საბაჟოზე 20 ივნისის ღამეს სიხარულით აღნიშნავდნენ სისხლიანი რეჟიმის უკან დაბრუნებას. ეს ინფორმაცია ზუსტია. არასოდეს ვამბობ იმას, რაც გადამოწმებული არ მაქვს. თქვენ მოითხოვთ სახელებისა და გვარების დასახელებას, მაგრამ ამის თქმა ჯერ ნაადრევია, გამოძიება დაიწყება და ყველაფერს ვიტყვი, მათ თანამდებობებსაც ჩამოვთვლი, რა სიტყვებით გამოდიოდნენ ისიც კი ვიცი... ვიცი, ყველაფერი, რასაც გახარიას წინააღმდეგ აწყობდნენ სარფის საბაჟოზე.

ესენი არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ის წევრები, რომლებმაც ჩააჩოჩეს „ოცნების“ წევრები და დაწინაურდნენ. ასეთი ადამიანები არიან პოლიციაშიც, სამხედრო უწყებაშიც და ყველგან. ისინი აპირებდნენ საბოტაჟის მოწყობას და ეს საბოტაჟი გიორგი გახარიამ ქვეყანას თავიდან აეცილა.

**— „დაიდოს ყველა „ბარიგის“ ვინაობა, რომელიც აქციას წამლით ამარაგებს!“ — ეს სერიოზული ბრალდებაა...**

— დიახ, სერიოზული ბრალდებაა. ყველასთვის ცნობილია, რომ მიტინგზე მდგომი ბევრი ახალგაზრდა საავადმყოფოში მოხვდა ნარკოტიკის ჭარბი დოზით მიღების გამო. ვიცით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ეს სერიოზული გამოწვევაა, რადგან „ბარიგებთან“ ბრძოლა ადვილი არ არის, მათ ჰყავთ „კრიშები“. ეს არის ის უმძიმესი პრობლემა, რომელსაც შეეჯახა გახარია. ამჟამად უპრეცენდენტო რაოდენობის წამლით მოვაჭრეებია დაჭერილი. საქართველო არის ნარკოტრანზიტის ქვეყანა, ამიტომ ნარკომაფიასთან ბრძოლა რთულია. სართიჭალაში გადამყიდველის დაჭერით ბრძოლა არ მთავრდება, ეს დიდი ჯაჭვია, უამრავი ადამიანია ამ საქმეში ჩართული და მათ ხელს არ აძლევთ გახარიას მინისტრობა.

გახარიას მინისტრობა არ უნდათ ნარკომოვაჭრეებს და მათ ზურგს უკან მდგომ პოლიტიკოსებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვართ უიმედო მდგომარეობაში, **რადგან საქართველოში არსებული უმძიმესი ვითარება კარგად გააანალიზა ევროპა-ამერიკამ და გახარიამ მათგან სერიოზული მხარდაჭერა მიიღო. გერმანია გავლენიანი ქვეყანაა და მისი მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს.**

**— ნარკომოვაჭრეებთან ბრძოლაზე საუბრობთ, მაგრამ ამ ხელისუფლებას ნარკოტიკების ლეგალიზებაში სდებენ ბრალს...**

**— ამ ხელისუფლებამ, ბუსუსებიან პრეზერვატივებზე მიღებული კანონით დაწყებული, იმდენი სისულელე გააკეთა, რომ ისტორიაში სისულელეების მკეთებელი ხელისუფლების სახელით შევა.**

სასწრაფოდ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ქვეყანა საფრთხის წინაშე დააყენა, ვინც სისხლიღვრისკენ მოუწოდებდა ხალხს. მომიტინგეებს სულელურად აჰყვა **გიორგი მარგველაშვილი**, რომელიც ამბობდა: თავისუფლების ხე სისხლით უნდა ირწყვებოდესო...

## გახარია არ არის მხოლოდ «პაგონიანი ტიპი», მის მიერ გადადგმულმა სწორმა ნაბიჯებმა დიდ არეულობას გადაგვარჩინა

**— „დაასახელეთ ყველა, ორმაგი მოქალაქეობის მქონე და რუსებთან უშუალო თანამშრომლობაში მყოფი პიროვნება, რომელიც „რუსეთი ოკუპანტიას“ გაიძახის! — ამბობთ მიმართვაში...**

— **დავით ქაცარავას** ახსენებენ. მასზე ლაპარაკს არ ვაპირებ ახლა, თუმცა მას რუსულ ფილმებში ხშირად იღებენ, დათო აქ არაფერ შუაშია. საქართველოში არიან ორმაგი სტანდარტის „ვეშაპები“, დიდოსტატები. ლიდერებს, რომლებიც სათავეში უდგანან აქციებს, ზოგს ღიად და ზოგსაც ფარულად, ურთიერთობა აქვს რუსებთან: **გრიგოლ ვაშაძე, მამუკა გამყრელიძე, გიგი წერეთელი,** რომელიც მეგობრობს კიდეც **გავრილოვთან;** ბალერინა **ნინო ანანიაშვილი,** რომელიც მოსკოვში ხშირად არის, იქ ცეკვავს, მისი მეუღლე კი აქ „რუსეთი ოკუპანტია“-ს გაიძახის. არადამაჯერებელია ასეთი ადამიანებისგან რაიმეს გაპროტესტება. საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერს, **ელენე ხოშტარიას,** ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, ამიტომ მისგან „რუსეთი ოკუპანტიას“ ვერ მოვისმენ. აქციებზე მდგომი რამდენიმე ახალგაზრდა თურმე ცოტა ხნის წინათ რუსეთის ქალაქებში გამართულ ფორუმებში მონაწილეობდა...

ჩამოდიან ტრენინგ და ფორუმგამოვლილები მოსკოვიდან და აქ „რუსეთი ოკუპანტიას“ გაიძახიან, მათგან ამის მოსმენა არასერიოზულია.

**— „დაასახელეთ თქვენს რიგებში ნაცებიდან პორტირებული ყველა ზონდერის გვარი, რომლებმაც რუსთაველზე ესროლეს ბავშვებს“, — წერთ მიმართვაში. თქვენ მუშაობდით ძალოვან სტრუქტურაში საკმაოდ დიდ თანამდებობაზე და მაშინ ამბობდით, რომ ბევრი ზონდერი კვლავ ძალოვან უწყებაში იყო. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა?**

— იმხანად მე დავტოვე საკმაოდ დიდი თანამდებობა და სტრასბურგიდან დავიწყე ბრძოლა. მას შემდეგ სასჯელაღსრულების სამინისტროში ვითარება შეიცვალა, ეს უწყება 2014 წელს გაიწმინდა.

**— სასჯელაღსრულების სამინისტრო თუ გაიწმინდა, რატომ ვერ ხერხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს გაწმენდა, გახარიას ამის საშუალებას არ აძლევენ თუ სურვილი არ აქვს?**

— გახარია ახლახან დაინიშნა მინისტრის თანამდებობაზე და, ბუნებრივია, მოკლე დროში ძნელია ამ პრობლემის აღმოფხვრა. გარდა ამისა, მას მხარდაჭერაც სჭირდება. თუკი რომელიმე ზონდერის სახელი და გვარი გაგვიგია იმ სისხლიანი რეჟიმის დროს, ყველანი ისევ მაღალ თანამდებობებზე სხედან შინაგან საქმეთა სამინისტროში, ძალიან ცოტამ დატოვა სამსახური, უმეტესობა დაწინაურდა კიდეც.

**— მიმართვაში წერთ: „მიიტანეთ პარლამენტში აქციის მონაწილეებისგან ამოღებული დანები, კასტეტები, „მოლოტოვის კოქტეილები“, ხელნაკეთი იარაღები, მონადირის თოფები...“**

— დიახ, ესეც უტყუარი ინფორმაციაა, ნაციონალები გულმოდგინედ ემზადებოდნენ არეულობისთვის. ჩემთვის ცნობილია მოლაპარაკების შესახებაც, სადაც ითქვა, რომ, თუ საპროტესტო მუხტი არ დაეცემოდა, იმ შემთხვევაში, სააშკარაოზე გამოიტანდნენ ყველა იმ იარაღს, რომლებიც ამოიღეს. ამ შემთხვევაში გახარიას ტაქტიკა გასაგებია, **მან იცის მოლაპარაკებისა და დიპლომატიის ფასი, ის არ არის მხოლოდ „პაგონიანი ტიპი“, მის მიერ გადადგმულმა სწორმა ნაბიჯებმა დიდ არეულობას გადაგვარჩინა.**

ყველაფერი, რაც სოციალურ ქსელში დავწერე, სიმართლეა, ყველა ამ საკითხზე მიმდინარეობს გამოძიება, გახარიამ ყველა დეტალის გამომზეურება არ იჩქარა და სწორადაც მოიქცა. საჭირო დროს და საჭირო ადგილას ის ყველაფერს იტყვის და გაასაჯაროებს.

საქართველო გადარჩა. რუსი დეპუტატი ჩამოვიდოდა თუ არა, ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ვნახეთ, რომ **აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში პლაკატებიც მზად ჰქონდათ, დროშებიც, თვალზე ასაფარებელი ნიღბებიც... დიდი ხნის ნამუშევარი და მომზადებული იყო ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ ვერ გათვალეს — ხალხი ვერ გამოიყვანეს ქუჩაში, რადგან იქ, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ გამოჩნდება, ხალხი აღარ მიდის, ყველა ხვდება, რომ დადგმული სპექტაკლია.** აქციის ორგანიზატორებს არა მხოლოდ დათხრილი თვალები სჭირდებოდათ, მათ ორი გვამიც უნდოდათ, გაფატრული ორსული ქალიც სჭირდებოდათ და სისხლის ტბაც. ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ისინი მზად არიან ყველაფრისთვის. ჩვენ ვერ აღმოვჩნდით ბრძენი ხალხი — კი, გამოვედით რთული სიტუაციიდან, მაგრამ ჯობდა, ეს არ მომხდარიყო.

**კომპრომატი დევს ყველაზე, ვისაც იოტისოდენა წვლილი მიუძღვის ამ არეულობაში და აუცილებელია თითოეული მათგანის დასჯა, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2020 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ სრულიად გაკოტრებული იქნება.** 40 კილომეტრში რუსული ტანკი დგას, არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი მას არ შეუჩიჩხინებს, საშიშია რუსეთთან ასეთი აგრესიით ლაპარაკი, რადგან შეიძლება ეკონომიკა სრულიად გაგვინადგუროს, რუსეთმა დაგვანახვა, რა ძალა აქვს და რისი გაკეთება შეუძლია.

**«აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში პლაკატებიც მზად ჰქონდათ, დროშებიც, თვალზე ასაფარებელი ნიღბებიც... დიდი ხნის ნამუშევარი და მომზადებული იყო ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ ვერ გათვალეს — ხალხი ვერ გამოიყვანეს ქუჩაში, რადგან იქ, სადაც «ნაციონალური მოძრაობა» გამოჩნდება, ხალხი აღარ მიდის, ყველა ხვდება, რომ დადგმული სპექტაკლია»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ საქციელით ქვეყანას, სულ ცოტა, ათი წლით უკან დაახევინეს, დააბრუნეს რუსოფობიის ჭაობში, რუსეთში საქართველოს შეებღალა იმიჯი და ბანანის რესპუბლიკის იმიჯი აქვს, არა მხოლოდ რუსეთში, ყველა იმ მართლმადიდებელ ქვეყანაში, რომელთა წარმომადგენლებიც ასამბლეას ესწრებოდნენ“.**



*გულბაათ რცხილაძე:*

# საქართველოს ჰყავს ჩასვრილების მთავრობა ივანიშვილის მეთაურობით

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ბრძანება საქართველოში ფრენებისა და ფულადი გადმორიცხვების აკრძალვის თაობაზე 8 ივლისიდან ამოქმედდება, საქართველოს ეკონომიკას უკვე დაეტყო სანქციების შედეგები — ათასობით რუსმა ტურისტმა დატოვა საქართველო და კიდევ უამრავმა გააუქმა დაჯავშნილი ტური საქართველოს კურორტებზე, კატასტროფულად დაეცა ლარის კურსი, გაძვირდა პროდუქტები... რა მოხდა რეალურად საქართველოში? ვის სურდა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვა? რა დავკარგეთ და რა მივიღეთ მსოფლიოს მართლმადიდებელი ქვეყნების დელეგაციის წევრების საქართველოდან გაძევებით? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება:**

## «კარპენტერის განცხადება იყო სიგნალი იმისა, რომ ამერიკა საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის შერბილებით უკმაყოფილოა»



— საქართველოში მოაწყვეს დაგეგმილი პროვოკაცია, რომელსაც წინ უსწრებდა ამერიკის ყოფილ ვიცეპრეზიდენტ **ჯოზეფ ბაიდენის** თანაშემწე **კარპენტერის** განცხადება. ის ამბობდა, რომ საქართველოს ღია კარის პოლიტიკა აქვს რუსეთთან, რომ ჩვენ ქვეყანაში ვუშვებთ უამრავ რუს ტურისტს, რომლებიც სინამდვილეში „ეფ-ეს-ბე“-ეს აგენტები არიან, რამაც, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიის 100%-ის ოკუპაცია გამოიწვიოს. კარპენტერი საქართველოში იყო ჩამობრძანებული და სააკაშვილის დედის, **გიული ალასანიას,** მიერ ორგანიზებულ რუსოფობიურ კონგრესში მონაწილეობდა. კარპენტერის ამ განცხადებამ ცეცხლი დაანთო, მისი სტუმრობიდან ზუსტად ორ დღეში დაიწყო არეულობა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში **გავრილოვის** ჩაჯდომა გამოიყენეს საბაბად. არადა, გავრილოვის იქ ჩაჯდომა იყო ჩვეულებრივი მოვლენა, რადგან, როდესაც პარლამენტთაშორისი ასამბლეა მუშაობს და ეს მუშაობა მიმდინარეობს პარლამენტის დარბაზში, ბუნებრივია, თავმჯდომარე უნდა დაჯდეს თავის ადგილას. ამ შემთხვევაში, თავმჯდომარე იყო გავრილოვი და ის და მისი ბერძენი კოლეგა, ორივე ისხდნენ იქ, სადაც მათი ადგილი იყო. ბოდიში და, საპირფარეშოში ვერ დასხდებოდნენ. პროტოკოლმაც ყველაფერი სწორად გააკეთა, ახლა ამ სამსახურს აბრალებენ ყველაფერს, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, შეცდომა არავის დაუშვია.

კარპენტერის განცხადება იყო სიგნალი იმისა, რომ ამერიკა უკმაყოფილოა საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის შერბილებით, მართალია, რაიმე სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა, მაგრამ დაძაბულობა შერბილდა აშკარად, ამიტომ ამერიკამ დაიწყო მუშაობა გამძაფრებაზე. ვერ ვიტყვი, რომ ამერიკის მთელი ადმინისტრაციაა ამ საქმით დაკავებული, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ტრამპსაც ეწინააღმდეგებიან, ერევიან საქართველოს საქმეებში და მუშაობენ რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვაზე.

გავრილოვის სავარძელში ჩაჯდომის შემდეგ სოციალურ ქსელში აღშფოთება გამოხატა საქართველოს ვიცესპიკერმა **თამარ ჩუგოშვილმა,** იგი აღშფოთებული იყო იმით, რომ პარლამენტის თავმჯდომარის, ამ კომიკური პერსონაჟის, სავარძელში ზის გავრილოვი, რითაც თურმე შეურაცხყოფილია. დადასტურებულია, რომ **პირველმა ჩუგოშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება. შემდეგ კი „ევროპული საქართველოს“ დაგეშილი დედაკაცები მივარდნენ პარლამენტის დარბაზში და პროტოკოლისა და ვენის კონვენციის დარღვევით საფრთხეში ჩააგდეს უცხოელი სტუმრები, ჩაშალეს მართლმადიდებელი სახელმწიფოების ფორუმი, გააგდეს სტუმრები, ესეც არ აკმარეს და რუსეთის დელეგაციის წევრებს სასტუმროში მიუცვივდნენ პლაკატებით, ბოთლებით, რომლებიც წინასწარ ჰქონდათ გამზადებული. ჩვენმა სახელმწიფომ დაუშვა, რომ საფრთხეში ჩაეგდო უმაღლესი რანგის რუსი დეპუტაციის წევრების სიცოცხლე. მათ ბოთლებს ესროდნენ და, რომ არა უშიშროებისა და პოლიციის დროული რეაგირება, ყველაფერი რით დასრულდებოდა, ღმერთმა უწყის.**

## «ჩვენმა სახელმწიფომ დაუშვა, რომ საფრთხეში ჩაეგდო უმაღლესი რანგის რუსი დეპუტაციის წევრების სიცოცხლე»

საქართველოს მხრიდან ეს იყო ველურობის, სიბნელის გამოხატულება. მთავრობამ ჩაისვარა **ბიძინა ივანიშვილის** თამადობით, რადგან ივანიშვილმა თვითონ გამოაცხადა, რომ თავმჯდომარის სავარძელში არ უნდა ჩამჯდარიყო გავრილოვიო. საერთოდ, **ვინ არის ივანიშვილი, მითითებებს რომ იძლევა? რატომ იყო დაუშვებელი ასამბლეის თავმჯდომარის დაჯდომა მისთვის განკუთვნილ ადგილას? იმის ნაცვლად, რომ ივანიშვილს სტუმრის პოზიცია დაეცვა, მან საწინააღმდეგოდ იმოქმედა.**

**— რით დააზარალა საქართველო ამ საქციელმა?**

— საქართველოს თავი მოეჭრა საერთაშორისო ასპარეზზე. თქვენ ხედავთ, სად გავარდა დოლარის კურსი, კიდევ უფრო გაუფასურდება ლარი. იმასაც ვნახავთ, სადამდე დაეცემა ტურიზმის მაჩვენებელი. დიდი დრო არ არის საჭირო, რომ ვნახოთ, რას მოიმკის ქვეყანა, გარდა იმისა, რომ ქალაქი დააბინძურეს აქციის მონაწილეებმა — საღორეს ჰგავს რუსთაველის გამზირი. ზარალი დიდია უკვე და უფრო დიდი იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით, ნობელის პრემიის ლაურეატობა არ არის საჭირო ამის დასანახავად.

**— 28-29 ივნისს ოსაკაში პუტინისა და ტრამპის შეხვედრა გაიმართა. ოფიციალურ ინფორმაციაში არ უთქვამთ, რომ ორი სახელმწიფოს ლიდერებმა საქართველოზე ისაუბრეს, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგიც სოციალურ ქსელში წერს, რომ ზესახელმწიფოებს ლიდერებმა კულუარებში ისაუბრეს საქართველოზე და ცვლილებების მოლოდინში არიან...**

— არა, მათ საქართველოზე არ უსაუბრიათ და ვინმე ამას თუ ამბობს, ფაქტებითაც უნდა დაადასტუროს. საქართველო არავის უხსენებია, თან ამერიკის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** არასოდეს საუბრობს საქართველოზე.

ნუ გვაქვს დიდი წარმოდგენა ჩვენს თავზე და ჩვენს ქვეყანაზე.

**— მიტინგების მუხტის ჩაცხრობასაც ზუსტად ამ შეხვედრას უკავშირებენ...**

— ჩაცხრება ეს მიტინგები თავისით, არავისი ჩარევა არ უნდა ამას, სულ ქუჩაში ხომ ვერ იდგებიან, მაგრამ ამ საქციელით ქვეყანა, სულ ცოტა, ათი წლით დახიეს უკან, დააბრუნეს რუსოფობიის ჭაობში, რუსეთში და სხვაგანაც საქართველოს შეებღალა იმიჯი და ბანანის რესპუბლიკის იმიჯი აქვს არა მხოლოდ რუსეთში, ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაში, რომელთა წარმომადგენლებიც ასამბლეას ესწრებოდნენ. ამის შემდეგ ძნელია, რაიმეზე ილაპარაკო და რაიმეს ამბიცია გქონდეს.

**— კარგი იყო ჩვენთვის თუ ცუდი, ტრამპმა და პუტინმა საქართველო რომ არ ახსენეს?**

— ეს არც კარგი იყო და არც ცუდი. კიდევ ვიმეორებ: ნუ გვაქვს გადაჭარბებული წარმოდგენა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობაზე და საკუთარ თავზე. მართალია, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანაა საქართველო, მაგრამ არც იმ დონის, რომ ზესახელმწიფოების ლიდერებმა ჩვენზე ილაპარაკონ. ორი ქვეყნის ლიდერები თავის შეზღუდულ გრაფიკს საქართველოს არ დაუთმობენ, ასეთი რამ ჯერჯერობით გამორიცხულია.

**— ბევრს საუბრობენ, რომ ამერიკას საქართველო სჭირდება ირანზე იერიშის მისატანად...**

— სისულელეა. რას ნიშნავს ეს, რა გზა სჭირდება? ამას ვინც ამბობს, ჯერ გეოგრაფია ისწავლოს, რუკას დახედოს. ირანამდე არის ორი სახელმწიფო — სომხეთი და აზერბაიჯანი. საქართველო როგორ უნდა გახდეს ირანის საწინააღმდეგო ბაზა, ამიხსენით. თუ სომხეთმა ან აზერბაიჯანმა არ მისცა ნება ამერიკას, რომ მისი საჰაერო სივრცე ან ტერიტორია გამოიყენოს, მარტო საქართველოდან რას გახდებიან?

ირანი და ამერიკა არაფერ შუაშია, ამ პროვოკაციით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს დაარტყეს.

**— რუსეთის გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებთ...**

— მინიმალისტური იყო ის გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მიიღო. არ იყო ეს ძალის დემონსტრირება, მან კლანჭები გამოაჩინა მცირე ზომით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გაცილებით მეტის გაფუჭება შეუძლია, თუმცა რუსეთს არ აქვს არანაირი სტრატეგია საქართველოს მიმართ. ის, რაც ხდება რუსეთ-საქართველოს შორის ნეგატიური, ეს არის რუსეთის ე.წ. ლიბერალური ფრთის ნამოქმედარი, რომლებსაც ხელში უჭირავთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, საქართველოს მიმართულება. ისინი ურთიერთობებს ამყარებენ აქაურ ლიბერალურ წრეებთან, მათ რუსეთში წაიყვანეს **გიგა მაქარაშვილი** და **თათია დოლიძე.** ე.წ. გორჩაკოვის ფონდი — ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც აქ ეწევა ორმაგ თამაშს და აზიანებს ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. რუსეთის პრეზიდენტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ამოძირკვოს ეს ლიბერალური მიმართულება. ამის დადებითი ნიშნები არის, **პუტინმა** ერთ-ერთ გამოცემას მისცა ინტერვიუ, რომელშიც აღნიშნა, რომ ლიბერალებმა იგი შეცდომაში შეიყვანეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებში. ვნახოთ, თუკი ეს გამოფხიზლება გახდება ვლადიმერ პუტინის შემობრუნების პროცესი და პოლიტიკის ცვლილების საფუძველი, იქნება დადებითი მოვლენა.

**— დგას თუ არა საქართველო ახლა რამე დიდი საფრთხის წინაშე? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ საზოგადოება ბევრს საუბრობს საფრთხეებზე...**

— საფრთხე ყოველთვის არის, გნებავთ — პოლიტიკური, გნებავთ — სამხედრო თვალსაზრისით, ეკონომიკის კუთხით.

თუკი მეზობელ სახელმწიფოს იწვევ, მისგან პასუხს უნდა ელოდო კიდეც, მოსალოდნელ საფრთხეებს კი ვერავინ გათვლის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საფრთხეს საკუთარ თავს თვითონ უქმნი. ჩვენ, ქართველები, სიტუაციის მძევლები ვართ, არავის სურს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა.

ყველა სათვალთვალო კამერამ აღბეჭდა ის ადამიანები, რომლებიც ძალადობდნენ აქციების მიმდინარეობისას და, ნაცვლად იმისა, რომ დასაჯონ, მათ მიმართ რბილი მიდგომა ხორციელდება — თავზე ხელს უსვამენ, ციხიდან გამოუშვეს, ელოლიავებიან. **საქართველოს ჰყავს ჩასვრილების მთავრობა ივანიშვილის მეთაურობით. ეს არის ჩვენთვის ყველაზე დიდი საფრთხე.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## «საქართველოში მოაწყვეს დაგეგმილი პროვოკაცია, რომელსაც წინ უსწრებდა ამერიკის ყოფილ ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის თანაშემწე კარპენტერის განცხადება. ის ამბობდა, რომ საქართველოს ღია კარის პოლიტიკა აქვს რუსეთთან, რომ ჩვენ ვუშვებთ ქვეყანაში უამრავ რუს ტურისტს, რომლებიც სინამდვილეში «ეფ-ეს-ბე»-ეს აგენტები არიან, რამაც, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიის 100%-ის ოკუპაცია გამოიწვიოს»

**როგორც ევროპის, ისე ამერიკის პირველი პირები საქართველოს ხელისუფალთ უკრძალავენ რუსეთთან პირდაპირ დიალოგს. უფრო მეტიც, როგორც კი რომელიმე პარლამენტარი რუს კოლეგას შეხვდება, მაშინვე იწყება კამპანია მის წინააღმდეგ, აწებებენ ქვეყნის მოღალატის იარლიყს, უწყებენ მედია-დევნას, სოციალურ ქსელში უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ. და ეს ხდება მიზანმიმართულად, თითქოს უხილავ ღილაკზე ხელის დაჭერით, რეალურად კი ის უხილავი ღილაკი სწორედ დასავლეთშია.**

სამიტის ექო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ ასეთი მონსტრია პუტინი, თუ მასთან საუბარი არ შეიძლება, რატომ ხვდებიან მას ასე საზეიმო ვითარებაში ცალკე ტრამპი და ცალკე სხვები?

## სანამ სხვის დაკრულზე ვიცეკვებთ, მანამდე იქნება რუსთაველზე აქციები და შეიცვლება მხოლოდ სახელები

**იაპონიის ქალაქ ოსაკაში გაიმართა დიდი ოცეულის ლიდერთა სამიტი. რომელმაც ორ დღეს გასტანა, სადაც მსოფლიოში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს. რამდენიმე ლიდერს შორის შეხვედრა დახურულ კარს მიღმაც გაიმართა, თუმცა ნიშანდობლივი იყო ის, რომ პრაქტიკულად ყველა ლიდერს სურდა, ცალკე შეხვედროდა და ესაუბრა ვლადიმერ პუტინთან.**

ერთი შეხედვით, ამაში განსაკუთრებული არაფერია, რადგან მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს პირველ პირთან საუბარი ყველას სურს, მაგრამ საქმე ისაა, რომ, როცა კონკრეტულად ამ დიდი ოცეულის ქვეყნებს სჭირდებათ, რუსეთის პრეზიდენტს დიქტატორად მოიხსენიებენ, სანქციებს უწესებენ, მაგრამ, როცა პირისპირ ხვდებიან, მაშინვე იცვლება ტონიც და მიდგომაც. პირისპირ პუტინს ვერავინ უბედავს იმის თქმას, რასაც მის ზურგს უკან ამბობენ და ეს, ცოტა არ იყოს, სასაცილოდაც კი ჩანს. თავად განსაჯეთ, **დონალდ ტრამპმა** შეხვედრის შემდეგ განაცხადა: პუტინი არაჩვეულებრივი პიროვნება და ადამიანიაო. ჰო, ჰო, იმ პუტინზე თქვა ეს, რომელსაც ამერიკიდან ემუქრება ხოლმე და სანქციას სანქციაზე უწესებს... თუმცა, აჯობებს, რიგითობით მივყვეთ.

დიდი ოცეულის შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის პრეზიდენტმა რუსი კოლეგა სასტიკად გააკრიტიკა და ევროპულ ქვეყნებს მოუწოდა, რუსეთისთვის დაწესებული სანქციები გაეხანგრძლივებინათ. ტრამპის ასეთ „თამამ“ ნაბიჯს, რა თქმა უნდა, ალტკინებით შეხვდნენ როგორც ევროპაში, ისე იმ ქვეყნებში, რომლებიც ამერიკაზე არიან ჩამოკიდებულ-გამოკიდებულნი, მაგრამ რად გინდა?! აგერ ოსაკას სამიტი დაიწყო და ტრამპი სხვანაირად აჭიკჭიკდა. ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ ამერიკა და კონკრეტულად ტრამპი ევროპას უკიჟინებს, რუსულ ბაზარზე პროდუქტი არ შეიტანოს და არც რუსული პროდუქცია მიიღოს. ეს იმის მიუხედავად, რომ რუსული პროდუქტი ხარიხიანად ითვლება მსოფლიოში, მაგრამ მასზე თურმე მაინც უარი უნდა თქვან, თუმცა...

**„ჩვენ ამ საათნახევრიანი საუბრით ძალიან ბევრს მივაღწიეთ. დავიწყეთ ვაჭრობის განხილვაც და ბოლოში აუცილებლად გავალთ, რადგან მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის ვაჭრობა უნდა იყოს“,**— ეს ტრამპის ფრაზაა, რომელიც მან ოსაკაში პუტინთან შეხვედრის შემდეგ თქვა.

რა გამოდის? **ამერიკა სრულიად მსოფლიოს მოუწოდებს, რაც შეიძლება მკაცრი სანქციები დაუწესონ რუსეთს, რაც შეიძლება დიდ წნეხში ამყოფონ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო, თვითონ კი აპირებს სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს მასთან. რა თქმა უნდა, ეს ამერიკისთვის ძალიან მომგებიანი იქნება, რადგან იმ პირობებში, როცა ევროპა რუსეთს თავის ბაზარს უკეტავს, ამერიკა მიიღებს ხარისხიან პროდუქტს და, რაც მთავარია, შედარებით იაფად. იაფად იმიტომ, რომ ამერიკა დიდი ბაზარია და რუსეთისთვის მომგებიანი იქნება.**

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ **დასრულდება სამიტი, დაბრუნდება ტრამპი შტატებში და ისევ წააქეზებს ცალკე ჩვენ და ცალკე ევროპას, რომ რუსეთი დაუძინებელ მტრად გამოვაცხადოთ, რომ ყველა დონეზე ოკუპანტი ვეძახოთ, პუტინი დიქტატორად მოვიხსენიოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამას ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, აუცილებლად გააკეთებენ და ისევ გააღიზიანებენ რუსეთს. ევროპა აუცილებლად ზომიერი იქნება, იმიტომ, რომ ბებერი კონტინენტი რუსულ ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანება ხელს არ აძლევს ამიტომ ძლიერი ქვეყნები უფრო ძლიერდებიან, კარგი ურთიერთობაც ექნებათ რუსეთთან, ხოლო როცა დასჭირდებათ, რუსეთის წინააღმდეგ მორიგი სანქცია გამოიყენონ, რომელიმე „საქართველოს“ ააყვირებენ და მიზანსაც მიაღწევენ.**

ახლა მთავარი — როგორც ევროპის, ისე ამერიკის პირველი პირები საქართველოს ხელისუფალთ უკრძალავენ რუსეთთან პირდაპირ დიალოგს. უფრო მეტიც, როგორც კი რომელიმე პარლამენტარი რუს კოლეგას შეხვდება, მაშინვე იწყება კამპანია მის წინააღმდეგ, აწებებენ ქვეყნის მოღალატის იარლიყს, უწყებენ მედია-დევნას, სოციალურ ქსელში უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ. და ეს ხდება მიზანმიმართულად, თითქოს უხილავ ღილაკზე ხელის დაჭერით, რეალურად კი ის უხილავი ღილაკი სწორედ დასავლეთშია. მარტივი კითხვა გვაქვს: **თუ ასეთი მონსტრია პუტინი, თუ მასთან საუბარი არ შეიძლება, რატომ ხვდებიან მას ასე საზეიმო ვითარებაში ცალკე ტრამპი და ცალკე სხვები?** რატომ ამბობს ამერიკის პირველი პირი რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანია? რატომ გაგრძელდა შეხვედრა დაგეგმილზე 30 წუთით მეტ ხანს და რატომ არის ასეთი ბედნიერი და კმაყოფილი ტრამპი?

პასუხი ერთია — ამერიკას ხელს აძლევს ასეთი დამოკიდებულება რუსეთთან; ხელს აძლევს, რომ ყველამ მტრად გამოაცხადოს, თვითონ კი დაუმეგობრდეს და რუსეთის ბაზარი აითვისოს, საუკეთესო პროდუქცია მიიღოს. აი ეს არის პატრიოტიზმი, სხვა რამ კი არა. აქედან გამომდინარე, ტრამპი თავისი ქვეყნისთვის ძალიან კარგი პრეზიდენტია, ისევე, როგორც პუტინი — რუსეთისთვის, ევროპელი ლიდერების მმართველობითაც კმაყოფილები არიან ბებერი კონტინენტის ბინადრები, აი საქართველოს დარი ქვეყნები კი...

**გავიხსენოთ, რომელი ხელისუფლებით იყო კმაყოფილი ერი და რომელ ხელისუფალს არ უძახა, სულ ცოტა, ერთხელ მაინც ხალხმა „წადი, წადი!“ რუსთაველის გამზირიდან, საიდანაც ახლაც იმავეს გაჰკივის. ჰო, სწორედ რომ გაჰკივის, რადგან ესეც დადგმული სცენარია და ამ სცენარში ისევ ძაფზე გამობმული თოჯინების როლს ვთამაშობთ. წავა მიშა, მოვა გრიშა, მერე გრიშაც წავა და ჩვენ წინ ვერ უნდა წავიწიოთ, არ უნდა განვვითარდეთ — ეს არის მთავარი მიზანი.** განვითარების შემთხვევაში ხომ შეიძლება ერთ დღეს ყველა მიხვდეს, რომ პარტნიორობა სხვა რამეს ნიშნავს, მეგობრობა სხვანაირია, რომ ჩვენს პრობლემებს მხოლოდ „რუსეთი ოკუპანტია“-ს ძახილი არ მოაგვარებს, რომ საქართველოდან რუსი ტურისტების გაძევება ჩვენს ეკონომიკას აზიანებს, რომ კაფესა თუ რესტორანში შესულ ტურისტებს 20%-ით მეტს თუ გადავახდევინებთ, ამით კლიენტსაც დავკარგავთ და მომავალ სეზონზე პოტენციურ ტურისტსაც.

სავარაუდოდ, ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ **მთავარი საჯილდაო ქვა განათლების სისტემაა, სადაც ექსპერიმენტები მუდმივ რეჟიმში ხორციელდება, სადაც მომავალ თაობაზე იმდენ რამეს სცდიან, რომ ბავშვებს თავგზა აქვთ არეული.** დაფიქრდით, რამდენჯერ შეიცვალა სასწავლო პროგრამა, რამდენჯერ შეიცვალა გამოცდების სისტემა, რამდენი წიგნი და რამდენი სხვადასხვა დავალებით სავსე რვეულები შემოვიდა და გამოვიდა. ისიც გემახსოვრებათ, ერთსა და იმავე კლასში, ოღონდ სხვადასხვა სკოლაში, სხვადასხვა პროგრამით და სხვადასხვა წიგნით რომ სწავლობდნენ ბავშვები. განათლების სისტემაში იყო სრული ქაოსი და განუკითხაობა და ეს ქაოსი ახლაც გრძელდება. ჰო, გრძელდება, რადგან **კვლავ არ არის გადაწყვეტილი, მომავალი სასწავლო წლიდან შეიტანენ თუ არა სკოლებში სექსუალური განათლების წიგნებს. იმ წიგნებს, რომლებიც ამერიკაში წლების განმავლობაში გამოიყენებოდა და... მომავალი წლიდან აიკრძალება, რადგან მშობლებმა გააპროტესტეს და გადაწყვიტეს, რომ მათ შვილებს ეს არ სჭირდებათ.**

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, იმას კი არ გვეუბნებიან, არ ვარგა, ხალხო, მაგ წიგნების შეტანა არც კი განიხილოთო, არამედ მაინც გვაძალებენ, **ცხვირში გვტენიან, იმიტომ, რომ გარყვნილება, რომელმაც ამერიკაც კი წალეკა, ძვალსა და რბილში გაგვიჯდეს. მერე, როცა წლები გავა და ყველა მიხვდება, რომ აღნიშნული წიგნი კი არ ავითარებს, არამედ რყვნის, ისევე გამოვალთ ქუჩაში, როგორც ამერიკელი მშობლები გამოვიდნენ და ისევ იმავე წრეზე დავტრიალდებით.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, უახლოეს მომავალში გვეყოლება თუ არა ისეთივე ხელისუფალი, როგორიც ტრამპია ამერიკისთვის და პუტინი რუსეთისთვის. პატრიოტიზმს ვგულისხმობთ, იმ პატრიოტიზმს, რომლითაც ეს ლიდერები გაჯერებული არიან და ცდილობენ, თავიანთი ქვეყანა მსოფლიოში საუკეთესოდ აქციონ. ისინი არ უსმენენ არავის, ვინც მათი ქვეყნისთვის საზიანოს შესთავაზებს, ისინი კეტავენ საზღვრებს, როცა ეს ქვეყანას სჭირდება, ისინი დაუნდობლად ებრძვიან ნარკოტიკებს, მაშინ, როცა დასავლეთმა გვაიძულა ნარკოლიბერალიზაცია და შესაბამისი კანონის მიღება.

სანამ ასეთი ხელისუფალი არ გვეყოლება, სანამ სხვის დაკრულზე ვიცეკვებთ, მანამდე იქნება რუსთაველზე აქციები და შეიცვლება მხოლოდ სახელები. მნიშვნელობა არ აქვს, ვის შევუძახებთ „წადი, წადის“ — ზვიადს, ედუარდს, მიშას თუ ბიძინას; მთავარია, რომ უკვე მერამდენედ, ერთსა და იმავე წრეზე დავტრიალდებით და ისევ ძაფზე გამობმული თოჯინების როლს მოვირგებთ იმ სცენარში, რომელიც დასავლეთში იწერება. ეს მწარე რეალობაა, ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და რომლის ყოველდღიური ნაწილიც ვართ. ქართული საქართველო გვინდა და სხვა არაფერი.

**ბესო ბარბაქაძე**




**მნიშვნელობა არ აქვს, ვის შევუძახებთ «წადი, წადის» — ზვიადს, ედუარდს, მიშას თუ ბიძინას, მთავარია, რომ უკვე მერამდენედ, ერთსა და იმავე წრეზე დავტრიალდებით და ისევ ძაფზე გამობმული თოჯინების როლს მოვირგებთ იმ სცენარში, რომელიც დასავლეთში იწერება. ეს მწარე რეალობაა, ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და რომლის ყოველდღიური ნაწილიც ვართ. ქართული საქართველო გვინდა და სხვა არაფერი**

**დასრულდება სამიტი, დაბრუნდება ტრამპი შტატებში და ისევ წააქეზებს ცალკე ჩვენ და ცალკე ევროპას, რომ რუსეთი დაუძინებელ მტრად გამოვაცხადოთ, რომ ყველა დონეზე ოკუპანტი ვეძახოთ, პუტინი დიქტატორად მოვიხსენიოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამას ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, აუცილებლად გააკეთებენ და ისევ გააღიზიანებენ რუსეთს. ევროპა აუცილებლად ზომიერი იქნება, იმიტომ, რომ ბებერი კონტინენტი რუსულ ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გაღიზიანება ხელს არ აძლევს ამიტომ, ძლიერი ქვეყნები უფრო ძლიერდებიან, კარგი ურთიერთობაც ექნებათ რუსეთთან, ხოლო როცა დასჭირდებათ, რუსეთის წინააღმდეგ მორიგი სანქცია გამოიყენონ, რომელიმე „საქართველოს“ ააყვირებენ**

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სად არიან ახლა ჩვენგან ნალოლიავები ევროპელი პარტნიორები? ევროპული ქვეყნების ლიდერებს, პუტინისგან განსხვავებით, მათმა მოსახლეობამ არ დაუჯერა და არ დაიძრა ქარავნები ჩვენი ქვეყნისკენ. მათ თავისუფლად შეუძლიათ, საკუთარი ხარჯებით განახორციელონ ჩარტერული რეისები, სახელმწიფო სახსრებით რამდენიმე ასეული ტურისტი ჩამოიყვანონ და ქართულ კულტურას აზიარონ, მაგრამ რატომ, რისთვის?!**

# სახელმწიფოს ვუმტრეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლელი პატრონებისთვის გვეამებინა

**„ჩვენი გული საქართველოსთვის ძგერს. მოვუწოდებ უკრაინის ხელისუფლებას, ხმარებიდან ამოიღოს სიტყვა „გრუზია“ და ჩვენს მეგობარ ქვეყანას „საქართველო“ უწოდოს. უკრაინელი ხალხი ვალდებულია, დასასვენებლად საქართველოში წავიდეს“,— განაცხადა უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ.**



**შემოსული ხორბლის 98% თურმე რუსეთზე მოდის, ანუ პრაქტიკულად ყველა რუსულ პურს ვჭამთ. ანუ, გვინდა რუსული პური, მაგრამ არ გვინდა რუსეთი და აგერ ბატონო, გააუქმა იმ კაცმა ავიაგადაზიდვები და ახლა ტრაილერებით თუ შემოვიტანთ ხორბალს, რომელიც საკმარისი არანაირად იქნება. თუ არ იცით, იმასაც გეტყვით, რომ მოსალოდნელი შიმშილის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე მიმართა ხორბლის მთავარ მწარმოებლებს — საფრანგეთს, უკრაინას... და ჯერჯერობით უარი მიიღო, რადგან ახალი მოსავალი აღებული არ არის, ძველი გადანაწილებული და გაყიდულია და საქართველოს გამო თავს არავინ იწუხებს**

ანალოგიური განცხადებები მას შემდეგ გახშირდა, როცა 20 ივნისს დაწყებული აქციები რუსოფობიაში გადაიზარდა. რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** თავისი ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდა, საქართველო დაეტოვებინათ და პარალელურად, 8 ივლისიდან ავიაგადაზიდვების აკრძალვაც გამოაცხადა. პრეზიდენტის მოწოდებას რუსი ტურისტები მყისიერად გამოეხმაურნენ — საქართველო დატოვეს და სამომავლოდ დაგეგმილი ათი ათასობით ჯავშანიც გააუქმეს. რუსთა ამ ნაბიჯით გახარებულმა აქციის მონაწილეებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს, ექსპერტებმა დაიანგარიშეს, რომ უახლოეს ორ თვეში ეს ყველაფერი ქვეყანას მილიარდი დოლარით აზარალებს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი — უფრო მეტით. მილიარდიანი დეფიციტი უკვე იგრძნო ეროვნულმა ვალუტამ და გაუფასურების ახალი რეკორდი მოხსნა.

ახლაღა გაგვიმხილეს ოფიციალურად, რომ, ტურისტების რაოდენობის გარდა, რუსეთი ხორბლის მოწოდებაშიც ყოფილა ლიდერი. ანუ, „პური ჩვენი არსობისა“ სწორედ რუსეთიდან მოდიოდა და 8 ივლისიდან ავიაგადაზიდვები რომ შეწყდება, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ პურის ფქვილის დეფიციტი წარმოიქმნას და ყველაზე მოთხოვნილი პროდუქტი გაძვირდეს. ისიც ვთქვათ, რომ ასეულობით სასტუმრო, უბრალოდ, ტურისტების გარეშე დარჩა, რადგან მთელი ზაფხული სწორედ რუსებს ჰქონდათ დაჯავშნილი და ჯავშანი გაუქმდა.

პოროშენკოს რაც შეეხება, ცოტა ხნის წინათ იყო ქვეყნის პრეზიდენტი და საინტერესოა, მაშინ რატომ არ იცემდა გულზე მჯიღს და რატომ არ შეცვალა „გრუზია“ საქართველოთი? ახლა რომ ისვრის ლოზუნგებს, მაშინ რატომ არ მოუწოდა უკრაინელებს, — საქართველოში ჩადით, იქ დაისვენეთო? იმიტომ, რომ მაშინაც და ახლაც ეს პრობლემა სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური დივიდენდებისთვის ზრუნავს და ეს განცხადება ევროპელთა თვალში მომგებიანია. იმ ევროპელების, რომლებმაც, რაღა თქმა უნდა, სოლიდარობა გამოგვიცხადეს რუს ტურისტებთან ბრძოლაში და პირობა დადეს, ჩვენს მოქალაქეებს ვაიძულებთ და ისინი ზაფხულს საქართველოში გაატარებენო.

სიმართლე გითხრათ, **არ მესმის, როგორ უნდა აიძულო ვინმე, დასასვენებლად კონკრეტულ ქვეყანაში წავიდეს, თანაც მაშინ, როცა ყოველ საღამოს ახალგაზრდები ქვეყნის მთავარ გამზირზე ბოლო ხმაზე გაჰკივიან და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას მოითხოვენ. ან როგორ უნდა აიძულო ვინმე, გინდა თუ არა იმ ქვეყანაში წადი, რომელშიც ერთი კვირის წინათ ქარში მეტეხის ხიდთან რკინის მაგიდა და სკამები ჩამოიშალა, ტურისტები მოიყოლა და ერთი კორეელი ტურისტი ადგილზე დაიღუპა, მეორე — საავადმყოფოში, მესამე კი სიკვდილს დღემდე ებრძვის. ჰო, ჩვეულებრივი ქარის დროს...**

ამ ყველაფერთან ერთად, აქციის მონაწილეებს სოლიდარობა რამდენიმე კაფემ და რესტორანმა გამოუცხადა და რუსი ტურისტებისთვის მომსახურებას პლუს 20% დაამატა, აქაოდა, სწორედ 20%-ია რუსეთის მიერ ოკუპირებულიო. მომხმარებლის უფლებების დარღვევაზე არაფერს ვამბობთ, უბრალოდ, გვგონია, რომ რესტორნები თავიანთ მოგებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ქვეყანაზე. ისიც ვთქვათ, რომ რამდენიმე კაფემ და რესტორანმა გადაწყვიტა, რუს ტურისტებს საპირფარეშოებში არ შევუშვებთ და ვეტყვით, რომ უნიტაზები 2008 წელს რუსმა ჯარისკაცებმა წაიღესო. სიმართლე გითხრათ, ამაზე დიდი იდიოტიზმის მოგონება ძნელია და, როგორც ჩანს, თვითონაც მიხვდნენ ამას და სამდღიანი აკრძალვის შემდეგ საპირფარეშოებზე აკრძალვა მოხსნეს.

მოკლედ, **ამ აქციების შემდეგ შევიტყვეთ, რომ საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტი რუსეთიდან შემოდიოდა, რომ ხორბლის ყველაზე დიდი მომწოდებელი რუსეთი იყო და რომ ქართული ეკონომიკის 40% თურმე ჩრდილოელ მეზობელზე ყოფილა დამოკიდებული თუ ჩამოკიდებული. ისიც გავიგეთ, რომ საკმარისი ყოფილა რუსეთის თითის ერთი გაქნევა და ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურების რეკორდი მოხსნა. ერთ წრეზე რომ დავდივართ, გასაგებია და გასული საუკუნის 90-იანიებიდან ჯერ ისევ ვერ გამოვედით. ის, რომ ქართულ ეკონომიკას თურმე მხოლოდ ბორჯომი და ღვინო შეინახავს, სიმართლესთან ახლოს რომ არ არის, 90-იანებშიც ბევრმა იცოდა, მაგრამ რად გინდა, ახლაც იმავეს იმეორებენ და ამტკიცებენ — ღვინო და ბორჯომი გადაგვარჩენს, არ გვინდა რუსული ბაზარიო.** კეთილი, ბატონებო, არ გვინდა რუსული ბაზარი, მაგრამ ამ ევროპულ, აზიურ და ამერიკულ ბაზრებზე რომ არ იყიდება ეს ჩვენი ღვინო და მინერალური წყლები, როგორ მოვიქცეთ? **რა მოვუხერხოთ იმას, რომ ევროპას შვეიცარიული წყლები და ფრანგული ღვინო ურჩევნია? ამერიკას ის ურჩევნია ყოველთვის, რაც ხელს აძლევს და იქაურ ბაზარზე გათვლა უდიდესი სისულელეა. აზიურ ბაზარზე ჩინეთი და იაპონია არავის უშვებენ (სწორადაც იქცევიან), არც შეუშვებენ და საქართველოს ნამცეცები თუ გადმოუყარეს, მადლობა უნდა ვთქვათ. რა გამოდის? რჩება ისევ რუსული ბაზარი, რომელსაც არ ვაღიარებთ, რომელსაც უარვყოფთ და ერთი სული გვაქვს, როდის ჩავეხსნებით იმ ბაზარს, რომელიც რეალურად არათუ თითოეულ მოქალაქეს, არამედ ქართულ ეკონომიკას კვებავს.** ჰოი, საოცრებავ, შემოსული ხორბლის 98% თურმე რუსეთზე მოდის, ანუ პრაქტიკულად ყველა რუსულ პურს ვჭამთ. ანუ, **გვინდა რუსული პური, მაგრამ არ გვინდა რუსეთი და აგერ, ბატონო, გააუქმა იმ კაცმა ავიაგადაზიდვები.** თუ არ იცით, იმასაც გეტყვით, რომ მოსალოდნელი შიმშილის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ხელისუფლებამ უკვე მიმართა ხორბლის მთავარ მწარმოებლებს — საფრანგეთს, უკრაინას... და ჯერჯერობით უარი მიიღო, რადგან ახალი მოსავალი აღებული არ არის, ძველი — გადანაწილებული და გაყიდულია და საქართველოს გამო თავს არავინ იწუხებს.

გამოსავალი ერთია — ვინმემ უნდა ჩაანაცვლოს რუსი ტურისტი, ვინმემ უნდა ჩაანაცვლოს რუსული ხორბალი, ვინმემ უნდა ჩაანაცვლოს რუსული ბაზარი. ის „ვინმე“ კი, როგორც გვიმტკიცებენ, დასავლელი პარტნიორები არიან, თუმცა, **მოწოდების მიუხედავად, გაკეთებული განცხადების მიუხედავად, რაღაც არ გაგვიგია, არიქა, საქართველოს ევროპელი ტურისტები მოაწყდნენო... მათი ხვედრითი წილი ზუსტად იმდენია, რამდენიც მანამდე იყო, ანუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი სტაბილურად ჩამოდის ევროპიდან და პლუს-მინუს ასი კაცი არაფერს შეცვლის.** თანაც, ევროპული შვებულება ცოტა სხვა რამ არის, მთელი წელი გეგმავენ, მთელი წელი ემზადებიან (ჩვენგან განსხვავებით, იქ სამსახურებში მართლა შრომობენ და იღლებიან ადამიანები, რა თქმა უნდა, ღირსეული ანაზღაურების სანაცვლოდ) და ვერავინ აიძულებს, გეგმა შეცვალოს. შესაბამისად, **CNN-ზე დატრიალებული სარეკლამო რგოლები წყალში გადაყრილი ფული გვგონია და ეჭვი გვაქვს, ეს ყველაზე კარგად ხელისუფლებამ იცის, მაგრამ მერე ხომ თავი უნდა იმართლოს: ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ, მეგობრებიც ჩავრთეთ ამ ყველაფერში, მაგრამ არაფერი გამოვიდაო.**

მწარე რეალობა ასეთი გვაქვს — გავაქციეთ რუსი ტურისტები, რომლებიც ქართულ სასტუმროებში ყველაზე მისალები სტუმრები იყვნენ და, რაც მთავარია, პრაქტიკულად არ არსებობდა ენობრივი ბარიერი. გავაუქმებინეთ ავიარეისები, რომლებიც არა მხოლოდ მგზავრებს ემსახურებოდა, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობის გადაზიდვებს ახორციელებდა, პრაქტიკულად გავანულეთ ის მილიარდიანი მოლოდინი, რომელიც მოსახლეობას ჰქონდა. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ 2008 წლის ომის შემდეგ დაცემული ეკონომიკა რუსეთიდან ჩამოსული ქართველების მიერ ჩამოტანილი ფულით წამოიწია, რადგან რუსეთში ნაშოვნი თანხებით ქართველებმა აქ ბიზნესი დაიწყეს და ეს, ექსპერტების დასკვნით, უცხოურ ინვესტიციას გაუთანაბრდა. ანუ ახლაც იგივე უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა. **სახელმწიფოს ვუმტრეთ და ვუმტრეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლელი პატრონებისთვის გვეამებინა.**

ჰოდა, სად არიან ახლა ჩვენგან ნალოლიავები ევროპელი პარტნიორები? ევროპული ქვეყნების ლიდერებს, პუტინისგან განსხვავებით, მათმა მოსახლეობამ არ დაუჯერა და არ დაიძრა ქარავნები ჩვენი ქვეყნისკენ. მათ თავისუფლად შეუძლიათ, საკუთარი ხარჯებით განახორციელონ ჩარტერული რეისები, სახელმწიფო სახსრებით რამდენიმე ასეული ტურისტი ჩამოიყვანონ და ქართულ კულტურას აზიარონ, მაგრამ რატომ, რისთვის?.. რეალურად, საქმით დასავლეთი არასდროს დახმარებია საქართველოს და სიტყვა რომ შიმშილს კლავდეს, ქართველები მსოფლიოში ყველაზე მაძღრები ვიქნებოდით. ახლა კი ვართ საკუთარ თავთან და პრობლემებთან მარტო დატოვებულები და საშველიც არსაიდან ჩანს. ხელისუფლება ვერ პოულობს გამოსავალს და ამის ხმამაღლა თქმისაც ეშინია, ეშინია იმის აღიარების, რომ რამდენიმედღიანმა აქციებმა და იქ გამოთქმულმა განცხადებებმა ქვეყანა უმძიმეს დღეში ჩააგდო.

**ბესო ბარბაქაძე**

**ბოკერიებს, მელიებს, უგულავებსა და მათნაირ უშუბლისძარღვო პოლიტიკურ წარმონაქმნებს გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვთ; გასაკეთებელი ორ ქვეყანას შორის (იგულისხმება რუსეთი და საქართველო) მტრობის კიდევ უფრო მაღალ ხარისხში ასაყვანად, მოსახლეობაში ანტირუსული ისტერიკის გასამწვავებლად, ეკონომიკური კრიზისის, სიდუხჭირის უფრო მეტად დასამძიმებლად და, რაც მთავარია, ახალგაზრდების ცნობიერებაში წლების წინათ ნაცრეჟიმის მიერ წარმატებით დაწყებული „მენტალური რევოლუციის“ ლოგიკურ დასასრულამდე მისაყვანად.**

**ემბარგოს შედეგები**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განტევების ვაცები, ანუ ოლიგარქის მიერ ხურდად შენარჩუნებული «მშვიდობა»

**20 ივნისის ავბედით ღამეს „ნაცხროვის“ მიერ „ქოცხროვასთან“ შეთანხმებით გათამაშებულმა სამარცხვინო მასკარადმა ქვეყანაში არსებული ისედაც უკიდურესად დაძაბული ვითარება უფრო გაამძაფრა და მიწამიუყრელი პოლიტიკური გვამის, ქართული მართლმსაჯულების, მიერ დღემდე ამაოდ ძებნილი და „უპოვნელი“ სააკაშვილის ოხშივარი დააყენა.**




**სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკა სოფლის მეურნეობისადმი, რომელიც მთლიანად დოტაციური შეიქნა და, ბუნებრივია, მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოს, ყველაზე ნათლად კახა ბენდუქიძემ შეაფასა ერთ-ერთ ინტერვიუში გაკეთებული ცინიკური განცხადებით: «სოფლის მეურნეობა არარენტაბელურია და ფეხებზე უნდა დავიკიდოთ. სოფლად მცხოვრები კაცები შავ მუშებად წავიდნენ საზღვარგარეთ, ქალები — მეძავებად»**

რევოლუციური ცეცხლით აღტყინებულ „ნაცზონდერების შპანას“, როგორც ჩანს, გამჩენი არ ასვენებს და, გაჩერებას მანამ არ აპირებს, სანამ ქართულ სახელმწიფოს საბოლოოდ ნანგრევებად არ აქცევს. თუმცა სანამ სახელმწიფო ნანგრევებად იქცევა და ამ ნანგრევებზე „დემოკრატიული“ დასავლეთის მიერ ხელდასხმული, „ოკუპაციის“ წინააღმდეგ მებრძოლი „პატრიოტი ლგბტ“-ები ცეცხლოვან ბუქნაობას მოაწყობენ, **ბოკერიებს, მელიებს, უგულავებსა და მათნაირ უშუბლისძარღვო პოლიტიკურ წარმონაქმნებს გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვთ; გასაკეთებელი ორ ქვეყანას შორის (იგულისხმება რუსეთი და საქართველო) მტრობის კიდევ უფრო მაღალ ხარისხში ასაყვანად, მოსახლეობაში ანტირუსული ისტერიკის გასამწვავებლად, ეკონომიკური კრიზისის, სიდუხჭირის უფრო მეტად დასამძიმებლად და, რაც მთავარია, ახალგაზრდების ცნობიერებაში წლების წინათ ნაცრეჟიმის მიერ წარმატებით დაწყებული „მენტალური რევოლუციის“ ლოგიკურ დასასრულამდე მისაყვანად.** როგორ შეძლებენ ისინი ამას, რა საშუალებებით შეეცდებიან მის განხორციელებას, სხვა საკითხია, მაგრამ **დღევანდელი ქართველი საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის „აგდებას“ ბევრი არაფერი რომ არ უნდა, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, 20 ივნისს პარლამენტში დადგმული იაფფასიანი სპექტაკლი, რომლის მთავარი აქტორებიც საზღვარგარეთ მყოფი სააკაშვილის პოლიტიკური ხელისბიჭები იყვნენ, დიდი საზოგადოებრივი აზვირთებისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.** თანაც რამე ეშმაკურად დადგმული სპექტაკლი კი არა, აშკარა და უმართივესი, — პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში სპეციალურად ჩასმული რუსი დეპუტატი, მერე იქიდან ყიჟინითა და წივილ-კივილით გაძევებული მთელი დელეგაცია, მერე ტრიბუნაზე ავარდნილი „ნაცსექტა“, მერე ერთმანეთის გვერდიგვერდ სააკაშვილის ორი პოლიტიკური დაქალი — **სალომე სამადაშვილი** და **ელენე ხოშტარია** (ერთს საქართველოს დროშა ჰქონდა შემოხვეული, მეორეს — ევროკავშირის) და გარედან **ნიკანორ მელიას** პირქუში რევოლუციური მოწოდება: ერთ საათში თუ არ გადადგა ის, ვინც უნდა გადადგეს, აქ არაფერი გვესაქმებაო. ცხადია, ბევრს და, ალბათ, სრულიად საქართველოს თვალწინ 2003 წლის 23 ნოემბრის საღამო დაუდგა (მით უფრო, რომ აზვირთებულ მასას ამჯერადაც წინ ორმეტრიანი გიჟი მიუძღოდა), მაგრამ, წესით, ამის გახსენებაზე შემდგომი სისხლიანი, ავბედითი წლებიც უნდა გახსენებოდათ. არადა, მოხდა პირიქით — მელიას დაძახილზე, მომყევითო, პროტესტი არავის გასჩენია, **ეგზალტირებული მასა პარლამენტის ალაყაფს ისევ ისეთი ჟინითა და თავგანწირვით მიაწვა, როგორც 16 წლის წინათ, როცა ნაცსექტის ბულა ვარდით ხელში მიუძღოდა წინ ამერიკელების მიერ დადგმული „უსისხლო რევოლუციის“ უნებლიე მონაწილეებს. როგორც ჩანს, ბევრისთვის სააკაშვილის ცხრაწლიანი ავტორიტარული მმართველობა საკმარისი გაკვეთილი არ იყო და, სამწუხაროდ, ვერც საზოგადოება განიკურნა იმ ბრმა ურაპატრიოტული აღტკინებისგან, რომლის ცალკეული გამოვლინებებით ყოველთვის სარგებლობდნენ და, ალბათ, მომავალშიც ისარგებლებენ ნაციონალთა მსგავსი ოდიოზური სუბიექტები.**

სანამ ამ პროცესების მიზანზე, მოტივსა და მისი განხორციელების გზებზე ვისაუბრებთ, ეკონომიკურ მხარეზეც გავამახვილოთ ყურადღება. **20 ივნისის ნაც-ქოცურმა ვირეშმაკობამ ისედაც სულთმობრძავ ქართულ ეკონომიკას თავი ყულფში რომ გააყოფინა და დროზე თუ არ აღდგა რუსეთთან საავიაციო მიმოსვლა, ქვეყანას ეკონომიკური შოკი ელოდება, უკვე დღესავით ნათელია.** ამას ის ექსპერტებიც არ მალავენ, რომლებიც პროდასავლურად არიან განწყობილნი და ხელისუფლების მხრიდან კრემლთან დიალოგის ნებისმიერ მცდელობას ყოველთვის კრიტიკულად უყურებენ. ერთი სიტყვით, საუბარია იმაზე, რომ ზარალი, ცალკე ტურისტების ნაკლებობით, ცალკე რუსული ბაზრის დაკარგვითა და, შესაბამისად, ქართული პროდუქტების ექსპორტის შემცირებით, მილიარდ დოლარამდე ავა. მილიარდ დოლარს იმ შემთხვევაში ვარაუდობენ, თუ აკრძალვა დიდხანს არ გაგრძელდება, ხოლო, თუ გაგრძელდება და უფრო გამკაცრდება, რის ობიექტურ საფუძველსაც „ნაცმოძრაობის“ საქციელი იძლევა, ეს რიცხვი ორჯერ და მეტადაც შეიძლება გაიზარდოს. აქ ბევრი, ალბათ, ამრეზით იტყვის, რომ რუსული ბაზარი არ არის შეუცვლელი და ქართულ პროდუქციას სხვაგანაც შეუძლია თავის დამკვიდრება. მოდი გავიხსენოთ უახლესი წარსული: **2006 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რას შეურაცხადმა სააკაშვილმა ოფიციალურ მოსკოვს პოლიტიკური დემარში მოუწყო და საქართველოდან ვითომ ჯაშუშები გაუძევა, რუსეთმა კი საპასუხოდ ეკონომიკური ემბარგო დაგვიწესა, „დემოკრატიული დასავლეთის“ მოიმედე ლიბერასტები ევროპაში კაბინეტიდან კაბინეტებში დაწანწალებდნენ და ალტერნატიულ ბაზარს ენაგადმოგდებული ეძებდნენ, მაგრამ, „მეგობარმა“ დასავლეთმა და განსაკუთრებით — ევროპამ პირდაპირ განგვიცხადა, რომ ქართული ნაწარმის დიდი ნაწილი ევროკავშირის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა და კარი ცივად მოგვიჯახუნა.** მერე თითქოს იყო მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ ეს მცდელობაც ფუჭი აღმოჩნდა. ამას მოჰყვა კრიზისი, ჩავარდნილი რთველი, ტუალეტის ქაღალდზე უფრო გაიაფებული ყურძენი, ვაზის დემონსტაციულად აჩეხვა კახეთის სოფლებში, რითაც უკიდურეს სასოწარკვეთამდე მისული მოსახლეობა პროტესტს გამოხატავდა და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ათასობით ჩვენი მოქალაქე, რომლებიც წლების განმავლობაში არალეგალურად ცხოვრობდნენ რუსეთის ქალაქებში და იქ ნაშოვნი ფულით საქართველოში ოჯახს ინახავდნენ, სასწრაფოდ გამოაძევეს რუსეთიდან, ამ მასობრივი დეპორტაციის შედეგად ფულადი გზავნილების რაოდენობა, პრაქტიკულად, განახევრდა და ინფლაციის დონემ მყისიერად მოიმატა. სხვათა შორის, იმჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკა სოფლის მეურნეობისადმი, რომელიც მთლიანად დოტაციური შეიქნა და, ბუნებრივია, მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოს, ყველაზე ნათლად **კახა ბენდუქიძემ** შეაფასა ერთ-ერთ ინტერვიუში გაკეთებული ცინიკური განცხადებით: **„სოფლის მეურნეობა არარენტაბელურია და ფეხებზე უნდა დავიკიდოთ. სოფლად მცხოვრები კაცები შავ მუშებად წავიდნენ საზღვარგარეთ, ქალები — მეძავებად“.** ეს იყო განაჩენი, რომელიც ხელისუფლებამ მაშინ შიმშილისთვის განწირულ სოფელს ერთი ხელის მოსმით გამოუტანა და ეს განაჩენი მალე აღასრულა — ქართველი კაცები მართლაც ვირის მუშებად მოედნენ ევროპის ქვეყნებს, ქალები — უკეთეს შემთხვევაში, მოხუცების მომვლელებად.

ეს მცირე გადახვევა და უახლოესი ჩვენი წარსულის ქრონოლოგიურად გახსენება იმისთვის არ დამჭირვებია, რომ რეალობა გავამუქო, მაგრამ ფაქტია: დღესაც არანაკლებ მჭიდროდაა ქართული ეკონომიკა რუსეთის ბაზართან დაკავშირებული. მაგალითად, წინა წლის მონაცემებით, რომელსაც ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გაავრცელა, რუსეთში 13 279 083 ბოთლი ქართული ღვინო გაიყიდა, რითაც ის სხვა ქვეყნებთან შედარებით უპირობო ლიდერია, ექსპორტი ასზე მეტმა მსხვილმა კომპანიამ განახორციელა და მიღებულმა მოგებამ რამდენიმე ასეული მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ყველასთვის გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს, რომ **ქართული მეღვინეობა და არა მხოლოდ მეღვინეობა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც დღეს პრაქტიკულად რუსულ ბაზარზე დგას, ისევე, როგორც ტურიზმი; ისევე, როგორც სამშენებლო ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი და ა.შ.** ამ ყველაფრის გათვალისწინებით ცხადია, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა შეიძლება დაემართოს უახლოეს მომავალში ქართულ ეკონომიკას, თუ რუსთაველზე „ნაცსექტანტების“ მიერ დაწყებული ანტირუსული ისტერიკა სასწრაფოდ არ შეწყდება და ქართული პოლიტიკა მეტ-ნაკლებად ნორმალურ კალაპოტს არ დაუბრუნდება. ისიც ფაქტია, რომ **ეს ეკონომიკური საფრთხე, პირველ რიგში, გლეხს ემუქრება, თორემ ქვეყნის ამრევები და დამქცევები, როგორებიც არიან ნიკანორ მელია, ბოკერია, უგულავა, ბაქრაძე და სხვები, არაფერს მოიკლებენ. ისე, საინტერესოა, რას ეტყვიან რუსთაველზე მოხტუნავე ურაპატრიოტები წელს კახელ გლეხს, ქართლელს, იმერელს, გურულს, მეგრელს და ა.შ., რომლებსაც, დიდი ალბათობით, საკუთარი ნაოფლარი სახლში დაულპებათ. საინტერესოა, რით ჩაუნაცვლებენ რუსულ ბაზარს (რომელიც ამდენი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ძლივს გაგვიხსნეს და გლეხზე უკეთ არავინ იცის, რამხელა შვება იყო ეს ქვეყნისთვის), ქართულ ღვინოს, ვაშლს, ციტრუსს, ბოსტნეულს...** ალბათ, ეტყვიან, რომ ყველაფერი „ბოროტი რუსეთის“ ბრალია და სამშობლოს დაცვა მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ იმ ფაქტს რას უზამენ, რომ 20 ივნისს პროვოკაცია მოაწყვეს?! (ცხადია, დასავლეთის გლობალისტური ძალების დირიჟორობით, რომლებსაც ბოლო პერიოდში რუსულ-ქართული ურთიერთობის გაუმჯობესება სერიოზულად აშფოთებდათ).

რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, **რა კუთხიდან და პოზიციიდანაც უნდა შევხედოთ განვითარებულ მოვლენებს, ცხადია, საბოლოოდ მაინც ერთ რამეს დავინახავთ — დაზარალებული მხოლოდ საქართველოა. „ნაც-ქოცებმა“ კი, ამდენი ვაი-ვიშისა თუ გაწევ-გამოწევის შემდეგ, როგორც სჩვევიათ, ისევ შეძლეს საერთო ენის გამონახვა და 2012 წელს გაფორმებული პოლიტიკური თანაცხოვრების შენარჩუნება.** „ქართული ოცნება“ „გამოძვრა“ იმით, რომ **კობახიძე** და **ქუცნაშვილი** პარლამენტიდან გააპანღურა, ხოლო ნაცები იმით, რომ ნიკანორ მელიას დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნეს, შემდეგ კი 30 ათასი ლარით დაჯარიმდა. ნაცებისა და ქოცებისთვის ეს ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკური ყულაბიდან გაღებული ხურდა იყო, რომელიც უფრო ძვირად ღირებულ საქმეში თუ შედეგში გადაიხადეს: რუსულ-ქართული ურთიერთობები ისევ უკუსვლისა და გამწვავების რეჟიმშია, რუსეთის „ძალისხმევით“ გააქტიურებული „პოპულისტური ძალები“ კი, რომლებმაც დასავლეთიდან ნაკარნახევ ულტრალიბერალურ დღის წესრიგს ბოლო პერიოდში წყალი შეუყენეს — გადაფარული. თუმცა ქართველი საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ უმრავლესობიდან გაჭიტლაყებული წვრილფეხა „მეოცნებეები“ მხოლოდ განტევების ვაცები იყვნენ, რომელთა არც მოსვლით მომატებია ქართულ პოლიტიკას არაფერი და, ბუნებრივია, არც წასვლით დააკლდება. ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ამ გათამაშებული „ნაცქოცური“ მასკარადის საზღაური არც ქუცნაშვილ-კობახიძის ისედაც უპერსპექტივო პოლიტიკური კარიერაა და მით უფრო ნიკანორ მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი. ქართველი გლეხის ნაშრომ-ნაოფლარის წყალში გადაყრა, რა თქმა უნდა, გაცილებით მძიმე და სერიოზული პასუხისმგებლობის საკითხია, რომლის საფასურიც ნაცებსაც და ქოცებსაც მხოლოდ მაშინ ექნებათ გადახდილი, როცა პოლიტიკური სპექტრიდან ძირფესვიანად ამოიძირკვებიან.

**ჯაბა ჟვანია**

ბაჩულ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გიორგი გახარიასთან ჟურნალისტების შეხვედრაზე „რუსთავი 2“-ელი თამარ ბაღაშვილი და „ტვ-პირველის“ ჟურნალისტი დიანა ტრაპაიძე დაჟინებით მოითხოვდნენ შს მინისტრისგან, გაეკეთებინა მათთვის განმარტება, რატომ გამოიყენეს მომიტინგეების წინააღმდეგ „ლეტალური“ (სასიკვდილო) და „დათვზე სანადირო ტყვიები“. მოუხედავად მინისტრის არაერთგზის განმარტებისა, რომ ეს ტყვიები არც „სასიკვდილოა“ და მით უფრო მათ არანაირი საერთო არ აქვთ „დათვზე ნადირობასთან“, თამარა და დიანა მაინც სრული თავდაჯერებით აცხადებდნენ, რომ მათ ეს ზუსტად იციან და არავითარი ექსპერტიზა არ აინტერესებთ.**

# «გახარიადა», ანუ ჩვენი «ყველაფერშჩიკი» ჟურნალისტები

**თავიდანვე ვიტყვი, რომ ამ წერილის მიზანი არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას ქება-დიდება და მისი გმირად წარმოჩენა; არც პირიქით — გახარიას პიროვნული ლანძღვა და მისი ფიგურის დაკნინება გვაქვს მიზნად დასახული. ჩვენ გვსურს საუბარი ინსტიტუტებზე და არა პიროვნებებზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ქართველი საზოგადოების ძირითადი პრობლემა და ერთგვარი სენი სწორედ ესაა — ნებისმიერი კრიზისის პირობებში აქცენტი გადადის კონკრეტულ პიროვნებებზე და არა საზოგადოდ სახელმწიფო ინსტიტუტებზე. ამ დღეების უმთავრესი თემაც ხომ სწორედ ეს იყო — უნდა გადადგეს თუ არა გიორგი გახარია?**



ერთი მხარე კატეგორიულად მოითხოვს გახარიას „ძელზე გასმას“, ხოლო მეორე მხარემ წამოიწყო კამპანია: „გიორგი გახარია ჩემი მინისტრია“, რომლის მთავარი მიზანი არის ის, რომ **გიორგი გახარიამ** შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი შეინარჩუნოს.

ერთი მხარე გახარიას უარყოფით პიროვნულ თვისებებზე აკეთებს აქცენტს, მეორეს კი პირიქით — იგივე პიროვნული თვისებები ძალიან დადებით თვისებებად მიაჩნია და ძირითადი დავაც სწორედ იმაზეა — „კაი ტიპია თუ ცუდი გიორგი გახარია“.

არც ერთ მხარეს არ მოსდის აზრად, ისაუბროს არა პიროვნება გიორგი გახარიაზე, არამედ, საზოგადოდ, შინაგან საქმეთა მინისტრზე. გახარიას გადადგომის მომხრეებისგან ეს გასაგებია (თუ რატომ, მოგვიანებით ავხსნი), სამაგიეროდ, იმავეს ვერ ვიტყვი გახარიას არგადადგომის მომხრეებზე. აკი, გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ არსებულ სიტუაციაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვინც არ უნდა იყოს ის. და არა კონკრეტულად გიორგი გახარია, რადგან იგი თურმე ვილაცებისთვის „კაი ტიპი“ და „ჩემი მინისტრია“.

სწორედ ესაა ამ საგაზეთო სტატიის ძირითადი მიზანიც, რომ ქართველმა საზოგადოებამ, თუნდაც მისმა მცირე ნაწილმა მაინც შეძლოს სწორი აზროვნება, რომ გარკვეული ექსტრემალური სიტუაციების დროს ვისაუბროთ სახელმწიფო ინსტიტუტებზე და არა პიროვნებებზე.

რაც უნდა ცუდი მინისტრი იყოს გიორგი გახარია, ის ამ კონკრეტულ სიტუაციაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადადგეს. ვიმეორებ: არ უნდა გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი და არა გიორგი გახარია. სახელსა და გვარს, პიროვნებას, მის ნამოღვაწარს მნიშვნელობა არ აქვს. ამ კონკრეტულ სიტუციაში კახა თარგამაძე რომ იყოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან ვინმე პარმენ სეფერთელაძე, ან თუნდაც ქრისტეფორე მგალობლიშვილი, მაინც არ უნდა გადადგეს.

გახარიას გადადგომის მომხრეებს რაც შეეხება, ზემოთ ვთქვი, ავხსნი, რატომ არის მათგან გასაგები გახარიას პიროვნებაზე ხაზგასმა-მეთქი. დიახ ეს ასეა — მათ არ აქვთ არაფერი სათქმელი სახელმწიფო ინსტიტუტებზე, მომიტინგეების აგრესიულობაზე და ა. შ., **ერთადერთი „არგუმენტი“, რომლის გამოც მათ გახარიას გადადგომა შეიძლება მოითხოვონ, გახარიას პიროვნებაა. მათთვის ეფექტის მომტანია გახარიასგან „სისხლიანი ჯალათის“ თუ „დაუნდობელი და ხისტი სახელმწიფო ჩინოვნიკის“ სახის დახატვა და ცდილობენ კიდეც, ამით მოახდინონ გავლენა საზოგადოებაზე — შეაძულონ ხალხს გიორგი გახარია, როგორც პიროვნება.**

აი, გიორგი გახარიას არგადადგომის მომხრეებმა კი, თუკი ცოტა მაინც დაფიქრდებიან, საერთოდ არ უნდა ახსენონ მისი პიროვნული თვისებები და უნდა „მიაწვნენ“ იმას, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის შენობაზე განხორციელებული შტურმის მოგერიების გამო შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა, გახარია იქნება ეს თუ სხვა, გამოიწვევს სახელმწიფოს კოლაფსს.

ეს იქნება პრეცედენტული ფაქტი და მომავალში, თუკი ოდესმე კვლავ გახდება საჭირო სახელმწიფო მნიშვნელობის შენობების დაცვა, არაა გამორიცხული, პოლიციამ ე.წ. საზოგადოებრივი წნეხის გამო უარი განაცხადოს ამაზე. ასეთ შემთხვევაში ქვეყანას სახელმწიფო უკვე აღარ ეწოდება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ **ეს ე.წ. საპროტესტო აქციები სწორედ „გახარიას ხაზით“ წაიყვანა ე.წ. ოპოზიციამ. გავიხსენოთ, რომ ირაკლი კობახიძისა და ზაქარია ქუცნაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც კი უფრო მოგვიანებით წამოიჭრა. პირველი, რაც ე.წ. ოპოზიციამ მოითხოვა, სწორედ გიორგი გახარიას გადაყენება იყო, რადგან მან „რუსი დეპუტატი გავრილოვი საქართველოში შემოუშვა“.**

მას შემდეგაც, რაც მძიმედ ჩასვრილმა „ქართულმა ოცნებამ“ უმაღლესი პოლიტიკური ფასი გადაიხადა — ერთი დეპუტატი საერთოდ გაუშვა პარლამენტიდან, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარეს პოსტი დაატოვებინა, ე.წ. ოპოზიცია მაინც ითხოვს პირადად გახარიას გადადგომას.

**იმ ფონზეც კი, როდესაც საპროტესტო აქციებს ხალხი შემოეცალა და, როგორც მათ უწოდეს, „გულწრფელად მოპროტესტე სტუდენტების“ უდიდესმა ნაწილმა საკმარისად მიიჩნია კობახიძის გადადგომა და აქციები დატოვა, იქ დარჩენილი 500-ოდე ადამიანი მაინც ჯიუტად ითხოვს გიორგი გახარიას გადადგომას. ნეტავ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

იმ ფონზეც კი, როდესაც საპროტესტო აქციებს ხალხი შემოეცალა და, როგორც მათ უწოდეს, „გულწრფელად მოპროტესტე სტუდენტების“ უდიდესმა ნაწილმა საკმარისად მიიჩნია კობახიძის გადადგომა და აქციები დატოვა, იქ დარჩენილი 500-ოდე ადამიანი მაინც ჯიუტად ითხოვს გიორგი გახარიას გადადგომას. ნეტავ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?



პირველ რიგში, ამაზე პასუხს გავიგებთ, თუკი კარგად გადავხედავთ ვინ არიან დარჩენილი რუსთაველზე „საპროტესტოდ“. ხალხმა ამას უკვე უწოდა „გეი რევოლუციის მცდელობა“ და მართლაც ფაქტია — უმეტესი ნაწილი იქ დარჩენილებისა ვერჩატარებული „თბილისი პრაიდის“ აქტივისტები არიან. თავად მიტინგის „მოდერატორი“, ანუ წამყვანიც „თბილისი პრაიდის“ ერთ-ერთი მხარდამჭერი და გეიაქტივისტი გიგა მაქარაშვილია.

**თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ორიოდე თვით ადრე გიორგი გახარიას უწყებამ „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს პირდაპირ უთხრა უარი ამ ღინისძიების ჩატარების შემთხვევაში მათ დაცვაზე, ფაქტობრივად, ყველაფერი ნათელი ხდება. საქმე გვაქვს გიორგი გახარიას მიმართ პირად ბოღმასთან და არა იმასთან, რომ ვინმე მომხდარი მოვლენების გამო შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებას მოითხოვდეს. მათ პირადად გიორგი გახარიას მოშორება სურთ, ჯერ ერთი, ძველი ბოღმებისა და მერე კიდევ, მომავალში მოსალოდნელი ბოღმების გამო და ყველაფერს აკეთებენ ამისთვის.**

აქედან გამომდინარეობს გიორგი გახარიას წინააღმდეგ წარმოებული კიდევ ერთი კამპანია „გახარია რუსეთის კაცია, ის პუტინის ინტერესებს იცავს!“.

ამ ფონზე, საყურადღებოა სოციალურ ქსელში სპონტანურად დაწყებული ერთგვარი „ჩელენჯი“, რომელიც გახარიასთან ერთადერთი სიტყვის — ბოდიშის გამო ასოცირდება, თორემ ისე ამას საერთო არაფერი აქვს შს მინისტრთან.

კერძოდ, ქართველმა ე.წ. ხელოვანებმა დაიწყეს მაყურებლისა და მსმენელის წინაშე ბოდიშების მოხდა იმის გამო, რომ უახლოეს წარსულში რუსეთში მღეროდნენ. ეს ერთგვარი „ჩელენჯი“ **ანიტა რაჭველიშვილმა** გახსნა და მას **ბუბა კიკაბიძემ** მიბაძა. მომდევნო **ნინო ქათამაძე** იყო, მაგრამ ვიხილეთ მისი დემარშიც — მომღერალმა „საბოდიშო“ სტატუსი, სადაც ის პირობას იძლეოდა, რომ რუსეთში აღარასოდეს ჩავიდოდა, თავისი „ფეისბუქ“-გვერდიდან გააქრო.

როგორც ამბობენ, ნინო ქათამაძეს ცნობილი რუსი პროდიუსერი დაუკავშირდა და უთხრა, რომ ასეთ შემთხვევაში სხვა ქვეყნებშიც აღარ მოუწყობდა გასტროლებს. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ქალბატონმა „ლაბადებუდეიმ“ მოსალოდნელი „პირადი ზარალი“ ჩამოჩოთქა და „ფეისბუკის“ სტატუსიც გააქრო.

პირადი ზარალის მიხედვით „პატრიოტობა-არპატრიოტობის“ კიდევ უფრო ნათელი მაგალითი დაგვიდო ტელეკომპანია „კავკასიის“ მფლობელმა და გენერალურმა დირექტორმა **ნინო ჯანგირაშვილმა. „ვფიქრობ, რომ უნდა შევწყვიტოთ საქართველოში რუსი ტურისტების წინააღმდეგ წარმოებული კამპანიები“, — დაწერა საკუთარ „ფეისბუკ-გვერდზე“ ნინო ჯანგირაშვილმა და ამ მოსაზრებას საოცარი ახსნა მოუძებნა: „მე, უკვე რამდენიმე წელია, ბინას ვაქირავებ ტურისტებზე და წელს აღარავინ იქირავა, რადგან რუსი ტურისტები არ ჩამოვიდნენ“.**

გამოდის რომ, რადგან ნინო ჯანგირაშვილის ბინაში ფრანგმა, იტალიელმა, გერმანელმა თუ ამერიკელმა ტურისტებმა არ იკადრეს შესვლა და მისი დაქირავება, ამიტომ რუსეთი ოკუპანტი აღარაა და ამიტომ აღარ უნდა შევუქმნათ დისკომფორტი საქართველოში რუს ტურისტებს.

აქამდე, როდესაც რესტორნებში, კაფეებსა თუ სხვა გასართობ-დასასვენებელ ადგილებში საჯაროდ იყო გამოკრული სტიკერები: „რუსეთი ოკუპანტია“ და მსგავსი ლოზუნგები, ჯანგირაშვილიც და დანარჩენი მისნაირი „პატრიოტებიც“ ამას მიესალმებოდნენ, მაგრამ, როდესაც მე და ჩემნაირები ვწერდით, რომ, თუკი ტურისტები შემოგყავს, მათ დისკომფორტი არ უნდა შეუქმნა-თქო, ჩვენ ვიყავით რუსეთუმეები და პუტინისტები.

საზოგადოდაც, ძალიან საინტერესოა, ეს ქართველი ჟურნალისტები „ყველაფერშიკობაზე“ რატომ აცხადებენ პრეტენზიას?! აგერ, ტურიზმის სფერო ხომ სცოდნიათ „სხაპასხუპით“ და თურმე იარაღის, ტყვიებისა და ნადირობის ექსპერტებიც ყოფილან. ისევ და ისევ **გიორგი გახარიასთან ჟურნალისტების შეხვედრაზე, „რუსთავი 2“-ელი თამარ ბაღაშვილი და „ტვ-პირველის“ ჟურნალისტი დიანა ტრაპაიძე დაჟინებით მოითხოვდნენ შს მინისტრისგან, გაეკეთებინა მათთვის განმარტება, რატომ გამოიყენეს მომიტინგეების წინააღმდეგ „ლეტალური“ (სასიკვდილო) და „დათვზე სანადირო ტყვიები“. მოუხედავად მინისტრის არაერთგზის განმარტებისა, რომ ეს ტყვიები არც „სასიკვდილოა“ და მით უფრო მათ არანაირი საერთო არ აქვს „დათვზე ნადირობასთან“, თამარა და დიანა მაინც სრული თავდაჯერებით აცხადებდნენ, რომ მათ ეს ზუსტად იციან და არავითარი ექსპერტიზა არ აინტერესებთ.**

როგორც ჩანს, დროა, საქართველოში გავაუქმოთ ტურიზმის სამხახურიც, ბალისტიკური ექსპერტიზაც, პარლამენტიც, სამინისტროებიც და ყველა თემასა და საკითხზე ქართველ ჟურნალისტებს დავეკითხოთ, როდის როგორ მოვიქცეთ. ვნახოთ, იქნებ გაამართლოს კიდეც... თუ არადა, როგორც ერთ-ერთ ცნობილ ქართულ ნაწარმოებშია, მაინც ქე ვართ დაქცეული და ამაზე უარესი რაღა დაგვემართება?!

**„რომელ გულწრფელ პროტესტსა და შეშფოთებაზეა საუბარი, როცა გამოდის ბოკერია, გამოდის უგულავა — მთელი ეს „ნაციონალური“ კრიმინალური ბანდა და გელაპარაკება პატრიოტიზმზე?! ვინ არიან პატრიოტები, ცხრა წელი რომ ქართველების სისხლში იბანავეს, 7 ნოემბერი და 26 მაისი რომ მოაწყვეს, ეკლესიებს რომ ანგრევდნენ?!“**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს პარლამენტის ახალდანიშნულმა თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ, რომელსაც ირაკლი კობახიძის დაქვეითებით, როგორც იტყვიან, ტუზი დაეცა, პირველი, რაც თავმჯდომარის სავარძელში ოფიციალურად ჩასკუპების შემდეგ გააკეთა, წარსულში მის მიერვე არაერთხელ ირიბად გაკრიტიკებულ ეკლესიას კოჭი გაუგორა და 29 ივნისს, ოჯახთან ერთად, უწმინდესთან შესახვედრად საპატრიარქოში მიცუნცულდა. შეხვედრის დეტალები, გამომდინარე იქიდან, რომ ის დახურულ კარს მიღმა გაიმართა, უცნობია, თუმცა მოგვიანებით თვითონ თალაკვაძემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ უწმინდესს დალოცვისა და იმ ღვაწლისთვის, რომელსაც ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ იღებს, მადლობა გადაუხადა.**

# ვაჟა ოთარაშვილი: ხმალამოღებული მტერიც რომ ყოფილიყო გავრილოვი, ვაჟა-ფშაველას ფრაზა მაინც გახსენებოდათ: «დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა»

## «ჩვენ უნდა გავარჩიოთ ეკლესიის ნამდვილი და ცრუ მამები, როგორიცაა, მაგალითად, ცრუ პეტრე ცაავა»

შეგახსენებთ, რომ **არჩილ თალაკვაძე**, რომელიც პატრიარქს პარლამენტის თავმჯდომარის რანგში ესტუმრა და გასპეტაკებული სახით მადლობა გადაუხადა ოჯახის დალოცვისთვის, ცოტა ხნის წინათ საპარლამენტო უმრავლესობის რიგითი წევრის ამპლუაში ერთ-ერთი იყო, ვინც უწმინდესის მიერ დაფუძნებულ ოჯახის სიწმინდის დღეს გაემიჯნა და 17 მაისს „ბნელი გრუზინების“ მიერ „დაჩაგრულ“ ლგბტ პირებს სოლიდარობა გამოუცხადა. მაშინ მისი „არგუმენტი“, ისევე, როგორც ბევრი სხვა „ლიბერალი მეოცნებისა“ უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებში, იყო ის, რომ თურმე ქვეყანაში ყველას და ყველაფრის უფლება დაცული უნდა იყოს. ამ პოზიციის გამოხატვისას მას, ალბათ, ვერც კი წარმოედგინა, რომ, სულ რაღაც, ერთი თვის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში პირველი კაცი გახდებოდა და ფართო საზოგადოების კეთილგანწყობა დასჭირდებოდა...

**თუ რა მიზანს ემსახურებოდა პარლამენტის ახალი თავმჯდომარის ვიზიტი საპატრიარქოში და, საერთოდ, რით არის განპირობებული ბოლო პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან თითქოს პატრიოტული მოტივებით გაჯერებული განცხადებები, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ბოლო ხანს ხელისუფლების რიტორიკაში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება სჭარბობს, გვესმის ისეთი განცხადებები, როგორიც წლების წინათ უბრალოდ გასაოცარი იქნებოდა... წინა კვირას არჩილ თალაკვაძე უწმინდესს შეხვდა და ოჯახი დაალოცვინა. არადა, ყველამ ვიცით, რომ ეს კაცი ოჯახის სიწმინდის დღეს, ისევე, როგორც ბევრი სხვა „მეოცნებე“, ამრეზით უყურებდა. რა შეიცვალა, რის მიღწევას ცდილობს ამით ხელისუფლება?**

— ვფიქრობ, ეს არის განპირობებული ამ ხალხის ფარისევლობით, მათი უსირცხვილობით, უსინდისობითა და უნამუსობით. ჩვენ ამ ადამიანებისგან არ უნდა გვიკვირდეს არაფერი, რადგან ეს არის ხალხი, რომელსაც შეუძლია ერთ დღეს დაჩოქილმა ილოცოს სამების საკათედრო ტაძარში და მეორე დღეს სამღვდელოებას ბნელი უწოდოს იმის გამო, რომ თურმე როგორ ბედავენ და მრევლს სექსუალური უმცირესობების „გამოხატვის თავისუფლების“ შეზღუდვისკენ მოუწოდებენ. ეს არის ხალხი, რომელსაც შეუძლია ქართულ კულტურას ძალადობრივი უწოდოს, ეკლესიას კი — ამ ძალადობის მაპროვოცირებელი ინსტიტუტი, ხმა მისცეს ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მამათმავლობის საკანონმდებლო პროპაგანდა, და მერე უწმინდესის გვერდით დადგეს საშობაო წირვა-ლოცვაზე. ამ ადამიანებს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვთ, სირცხვილის განცდა, ზნეობა არ გააჩნიათ. რაც შეეხება შეკითხვას, რის მიღწევას ცდილობენ ამ ყველაფრით?! ნუ დაგავიწყდებათ, რომ წინ არის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც არათუ დიდი გამოწვევაა ამ ხელისუფლებისთვის, საერთოდ სათუოა, მიაღწევენ თუ არა იქამდე...

**— გინდათ, თქვათ, რომ ეს მცდელობები საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის კეთილგანწყობაზე ნადირობაა?**

— ვინც არის თავი და ბოლო ამ ხელისუფლებისა, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ, ცხადია, მან კარგად იცის, რომ, მიუხედავად 24-საათიანი „ლიბერალური“ პროპაგანდისა, რომლის მიზანიც ადამიანების გამოლენჩებაა, მოსახლეობის, სულ ცოტა, 90-95% ეროვნულად აზროვნებს. გამომდინარე აქედან, მათ იციან, სად რაზე გააკეთონ აქცენტები და რა ფორმით გაუგორონ კოჭი საზოგადოების ამა თუ იმ სეგმენტს. ისე, თალაკვაძის რა გიკვირთ, ისეთი გაქანებული „ლიბერალიც“ კი, როგორიც პარლამენტის წინა თავმჯდომარე დავით უსუფაშვილია, ხშირად სტუმრობდა პატრიარქს, ხშირად თუ არა, ზოგჯერ მაინც. ქართულ პოლიტიკაში ეს ერთგვარი ტრადიციაა — შეუძლიათ წლების განმავლობაში აგინონ და აკრიტიკონ ეკლესია, დაუფარავად ლანძღონ და აქილიკონ პატრიარქი, მიიღონ კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ტრადიციულ კულტურას და მერე ერთბაშად მოინდომონ ამ ყველაფრის გადაფარვა, ვთქვათ, უწმინდესთან ვიზიტით, ხელზე მთხვევით, პირჯვრის ხშირი გადაწერით, სინამდვილეში იმისთვის, რომ კამერებმა გადაიღონ... თუმცა ძალიან მიკვირს, როცა ჰგონიათ, რომ ამით მათი რეიტინგი იზრდება. **კაცს, რომელიც მხარს დაუჭერს მამათმავლობის დაკანონებას, მხარს დაუჭერს ბავშვის უფლებათა კოდექსს, რომელიც ოჯახის გამოცხადებული ნგრევაა, პატრიარქთან ვიზიტი და პირჯვრის გადაწერა უშველის?! უწმინდესმა კი დაგლოცათ, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, მაგრამ თქვენი გუნდი რომ ულმერთობის განსახიერებაა, ამას რამე ეშველება?!** არ გამოგივათ ეს იაფფასიანი აფერა, იმიტომ, რომ თქვენი პოლიტიკური სულისკვეთება ძალიან კარგად გამოჩნდა წლების წინათ, როცა დასავლეთის კარნახით იღებდით კანონებს, რომლებსაც სრულიად საქართველო ეწინააღმდეგებოდა. ერთ მხარეს იდგა ქართველი ხალხი, მეორე მხარეს იდექით თქვენ. ეს იყო და არის თქვენი არჩევანი, რომელსაც ვერ დაფარავთ საპატრიარქოში ვიზიტებით.

**— ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი უეფექტოა ხელისუფლებისთვის?**

— ყოველ შემთხვევაში საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც აქტიურია და კარგადაა გათვითცნობიერებული პოლიტიკურ პროცესებში, მხოლოდ უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს ხელისუფლების წარმომადგენლების ამ, მე ვიტყოდი, ვირეშმაკობამ. სხვათა შორის, მსგავს რაღაცებს თავის დროზე ხშირად აკეთებდა **მიხეილ სააკაშვილი** და ამით კიდევ უფრო აგიჟებდა ისედაც უკმაყოფილო მოსახლეობას. გახსოვთ, ალბათ, კადრები, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი, როგორ მიბანცალდა მახათას მთაზე და პატრიარქის გვერდით როგორ ლულავდა თვალებს. აი ასეთი სასაცილოები არიან. ჰგონიათ, რომ იაფფასიანი პიარსვლებით ხალხს ნაცარს შეაყრიან თვალებში და ხმებს დასცინცლავენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ხალხი უკვე აღარ არის ისეთი გულუბრყვილო, როგორიც ათი და თხუთმეტი წლის წინათ იყო. **არავინ ჭამს იმას, რომ თურმე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიმღები და ახალგაზრდების ცნობიერებიდან ყველაფერი ქართული ამომძირკვავი ნაძირალა ნაც-ქოცები პატრიარქის დალოცვას დიდ პატივს სცემენ. მათი „დამლოცავია“ სოროსი და ის დასავლური გლობალისტური ორგანიზაციები, რომლებმაც ძალაუფლება გაუნაღდეს. პატრიარქს პატივს რომ სცემდნენ, მის ქადაგებას მოუსმენდნენ და ქვეყანას თავზე არ დაგვამხობდნენ.** ისე, იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდში კონსერვატიული სულისკვეთება მძლავრობს, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სრულიად დასავლურ სამყაროში, არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი ლიბერალური ძალების „მეტამორფოზი“ ვიხილოთ.

**— რას გულისხმობთ?**

— ხვალ-ზეგ სხვადახვა ეკლესიასთან შეიძლება დამხობილ-დაჩოქილი დავინახოთ ბოკერიები, უგულავები, თალაკვაძეები, მდინარაძეები, ზარდიაშვილები... ესენი ყველაფრის მკადრებელი ადამიანები არიან, არანაირი სინდისისა და ზნეობის ალვირი მათ არ გააჩნიათ. აქვე მინდა მოკლედ გამოვეხმაურო იმ სამარცხვინო პროვოკაციას, რომელიც 20 ივნისს ნაციონალებმა მოაწყვეს პარლამენტში. ეს დღეებია, ყველა ლაპარაკობს, რომ შემაშფოთებელი იყო რუსი დეპუტატის ხილვა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში — ამის დაშვება როგორ შეიძლებოდაო. ჯერ ერთი, **თუ არ შეიძლებოდა და ასე ძალიან აშფოთებდათ ეს ამბავი, რატომ ჩასვეს იმ სავარძელში?! ვეჭვობ, ის კაცი თავისით არ დაჯდებოდა იქ და მეორე — ხმალამოღებული მტერიც რომ ყოფილიყო გავრილოვი, ვაჟა-ფშაველას ფრაზა მაინც გახსენებოდათ: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა...“** საერთოდ, ტრაგედიაა, როცა ეს ორი მართლმადიდებელი სახელმწიფო — რუსეთი და საქართველო — სამტროდაა ერთმანეთს გადაკიდებული. რაც შეეხება რუსთაველზე მიმდინარე აქციებს, ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ეს არის ზუსტად ის ფარისევლობა, რომელიც უფსკრულისკენ მიაქანებს ჩვენს ქვეყანას. რომელ გულწრფელ პროტესტსა და შეშფოთებაზეა საუბარი, როცა გამოდის ბოკერია, გამოდის უგულავა — მთელი ეს ნაციონალური კრიმინალური ბანდა და გელაპარაკება პატრიოტიზმზე?! ვინ არიან პატრიოტები, ცხრა წელი რომ ქართველების სისხლში იბანავეს, 7 ნოემბერი და 26 მაისი რომ მოაწყვეს, ეკლესიებს რომ ანგრევდნენ?!** ეს ვისაც სჯერა, შეუძლია იდგეს და **ნიკანორ მელიას** დაძახილზე ორთქლი გამოუშვას, მაგრამ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს, რომელიც, საბედნიეროდ, უმრავლესობაა, ამ ზღაპრების არ სჯერა, ისევე, როგორც არ სჯერა „მეოცნებეების“ ფარისევლობის.

**— როგორც ამბობთ, ხვალ-ზეგ შეიძლება ბოკერიები, უგულავები, თალაკვაძეები და სხვა პროდასავლელი პოლიტიკოსები, რომლებიც „ლიბერალური“ დღის წესრიგის წარმომადგენლები არიან, ტაძრებში ვიხილოთ დამხობილები პოლიტიკური ქულებისთვის. როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა დაიკავოს თვით ეკლესიამ და სამღვდელოებამ ასეთი მცდელობების შემთხვევაში?**

— ეკლესიამ ძალიან კარგად იცის, რაც უნდა გააკეთოს და ვფიქრობ, ჩვენი ჭკუის სწავლება არ სჭირდება, აქეთ დაგვარიგებენ, მაგრამ **ჩვენ უნდა გავარჩიოთ ეკლესიის ნამდვილი და ცრუ მამები, როგორიცაა, მაგალითად, ცრუ პეტრე ცაავა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ იქ კიდევ ვილაც „დედაოა“, რომელიც საოცრებებს იძახის... მხილება — აი, რა არის ასეთი ხალხის წამალი...** პოლიტიკოსებს რაც შეეხება, კიდევ გავიმეორებ, რომ პირჯვრის გადაწერა კამერების წინ და ხშირი ვიზიტები საპატრიარქოში ფარისევლებს ვერ უშველით. პირიქით, ეს უფრო მეტად გაზრდის აგრესიას მათ მიმართ, იმიტომ, რომ ათმაგად და ასმაგად უფრო **გამაღიზიანებელია, როცა ნეოლიბერალური დიქტატურის ჭანჭიკები პატრიარქის გვერდით ცდილობენ დადგომას.** არაფერი მათ არ ესაქმებათ არც საპატრიარქოში და არც ეკლესიაში, მათი ეკლესია და საპატრიარქო არის **ჯორჯ სოროსის** კანტორა, რომელიც ევროპის ზოგიერთი ქვეყნიდან გააძევეს უკვე და იმედია, მათ პარპაშს მალე საქართველოშიც აღკვეთენ სამუდამოდ.



**«კაცს, რომელიც მხარს დაუჭერს მამათმავლობის დაკანონებას, მხარს დაუჭერს ბავშვის უფლებათა კოდექსს, რომელიც ოჯახის გამოცხადებული ნგრევაა, პატრიარქთან ვიზიტი და პირჯვრის გადაწერა უშველის?! უწმინდესმა კი დაგლოცათ, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, მაგრამ თქვენი გუნდი რომ ულმერთობის განსახიერებაა, ამას რამე ეშველება?! არ გამოგივათ ეს იაფფასიანი აფერა იმიტომ, რომ თქვენი პოლიტიკური სულისკვეთება ძალიან კარგად გამოჩნდა წლების წინათ, როცა დასავლეთის კარნახით იღებდით კანონებს, რომლებსაც სრულიად საქართველო ეწინააღმდეგებოდა»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„წყალბადის წარმოება სინათლის დახმარებით — ეს მომავალია. ჩვენმა გამოგონებამ დაძლია უზარმაზარი წინაღობა ამ მომავლისკენ მიმავალ გზაზე. კიდევ მეტის გაკეთებაა საჭირო, რათა წყალბადი საწვავის წყაროდ იქცეს“, — განაცხადა პროექტის თანაავტორმა ტეცურო მაჯიმამ.



# იაპონელებმა სუპერიაფი წყალბადის მიღება ისწავლეს

## ეს მათ საყურადღებოდ, ვინც საქართველოში ელექტრომობილების წარმოებას უკრავს ტაშს

### ჩინელებმა ელექტრომობილების წარმოებაში ინვესტიციები უკვე შეწყვიტეს

**იაპონიაში შექმნეს ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, წყალბადი სამჯერ უფრო იაფად მიიღონ, ვიდრე ტრადიციული მეთოდით. როგორც გამოცემა Hydrogen Fuel News-ი წერს, ეს ტექნოლოგია შეიმუშავა Eneco Holdings-მა.**

ტექნოლოგია, რომელსაც Plasma R Hydrogen-ი დაარქვეს, მცირე მოცულობის წყლის ელექტროლიზის მეშვეობით სამრეწველო მასშტაბის წყალბადის წარმოების საშუალებას იძლევა. შექმნილი მოწყობილობა მოიხმარს მინიმალური რაოდენობის ელექტროენერგიას და დაბალ ტემპერატურაზეც კი შეუძლია შეინარჩუნოს მაღალი მწარმოებლობა.

Plasma R Hydrogen-ს არ სჭირდება დიდი მოცულობის რესურსის იმპორტი ან ტრანსპორტირება, ან კიდევ დიდი კაპიტალდაბანდება; მისი ერთადერთი ნედლეული არის წყალი, რაც, აგრეთვე, პასუხობს CO2-ის გამოყოფის შემცირებაზე მომუშავე კომპანიის მიზნებს.

**Eneco Holdings-ის მიზანია, მიაღწიოს საათში 65 კვტ ელექტროენერგიის გამომუშავებას 2 ლიტრი წყლით. ამჟამად 1 კუბ. მ წყალბადის საწვავის ფასი იაპონიაში 100 იენია (0,93 დოლარი). ვარაუდობენ, რომ ახალი ტექნოლოგიის გამოყენების ფასი 30 იენამდე (0,28 დოლარი) შემცირდება.**

იაპონია, დიდი ხანია, ეძებს ენერგიის ახალ წყაროს, რომელიც შეცვლის ნახშირწყალბადსა და ატომურ ენერგიას. ყველაზე პერსპექტიულად კი ამ ქვეყნის მთავრობას წყალბადის ენერგეტიკა მიაჩნია, ამიტომ კვლევები ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს. შარშან **ოსაკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომელიც წყალბადის მიღების საშუალებას იძლევა მზის სხივებზე მიმდინარე კატალიზური რეაქციის მეშვეობით ოთახის ტემპერატურზე.**

„ადრე შეუძლებელი იყო სინათლის გამოყენება ფოტოკატალიზისთვის, — ამბობს კვლევის ხელმძღვანელი **მინშან ჩუუ,** — მაგრამ ჩვენ ამ რეაქციისთვის შევძელით ნანოსტრუქტურირებული შავი ფოსფორისა და ბისმუთის ვანადატის გამოყენება. შედეგად მზის სინათლის ხილულმა სპექტრმა აამუშავა წყალბადად და ჟანგბადად წყლის დაშლის რეაქცია, თანაც მაღალი ეფექტიანობით“.

შავ ფოსფორს აქვს ბრტყელი ორგანზომილებიანი სტრუქტურა, გრაფენის მსგავსი, და აქტიურად შთანთქავს სპექტრის ხილულ ნაწილს, ბისმუთის ვანადატი კი ჟანგვის ცნობილი კატალიზატორია.

იაპონელმა მეცნიერებმა შეძლეს ბუნებრივი ფოტოსინთეზის პროცესის ასლის შექმნა, თანაც ისე, რომ ორივე კომპონენტის — წყალბადისა და ჟანგბადის — მოცულობას იღებენ შეფარდებით 2:1-თან. „წყალბადის წარმოება სინათლის დახმარებით — ეს მომავალია. ჩვენმა გამოგონებამ დაძლია უზარმაზარი წინაღობა ამ მომავლისკენ მიმავალ გზაზე. კიდევ მეტის გაკეთებაა საჭირო, რათა წყალბადი საწვავის წყაროდ იქცეს“, — განაცხადა პროექტის თანაავტორმა **ტეცურო მაჯიმამ.**

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

# რუსეთი და ჩინეთი უარს ამბობენ დოლარზე და ეროვნული ვალუტებით ვაჭრობაზე გადადიან. როგორ მოვიქცეთ ჩვენ — ქართველები?

**რუსეთი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იწყებენ ანგარიშსწორების გადაყვანას დოლარიდან ეროვნულ ვალუტებზე, — ნათქვამია რფ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილე სერგეი სტორჩაკის მიმართვაში სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი აქსაკოვისადმი.**



როგორც ირკვევა, შესაბამის შეთანხმებას 5 ივნისს მოაწერეს ხელი რუსეთის ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილე **ანტონ სილუანოვმა** და ჩინეთის სახალხო ბანკის თავმჯდომარე **ი განმა.** ამჟამად მიმდინარეობს ანგარიშსწორების ახალი მექანიზმების შექმნაზე მუშაობა. ეს მექანიზმი რუსეთსა და ჩინეთს შორის შეიძლება იყოს SWIFT-ის ანალოგი. SWIFT-ი — ეს არის ფინანსური მონაცემების საერთაშორისო საბანკო სისტემა. რუსული ანალოგი — ფინანსური ცნობების გადაცემის სისტემა; ჩინური ანალოგი — CIPS. ანატოლი აქსაკოვს მიაჩნია, რომ ეროვნულ ვალუტებში ანგარიშსწორების მოცულობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია, შეიქმნას რუბლისა და ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი, რომელიც რყევებისგან დააზღვევს ერთობლივი ვაჭრობის საქონელს. უახლოეს წლებში რუბლებში ჩინეთთან ანგარიშსწორების წილი მიაღწევს 50%-ს, როცა ამჟამინდელი მაჩვენებელი მხოლოდ 10%-ია.

როგორც ხედავთ, რუსეთი და ჩინეთი აპირებენ, ერთმანეთთან ანგარიშსწორება, ანუ ვაჭრობა აწარმოონ მხოლოდ ეროვნულ ვალუტებში ჯერ მხოლოდ ერთმანეთთან. როცა ისინი საკუთარი ვალუტით ვაჭრობას სხვა ქვეყნებთანაც დაიწყებენ და ეს დღე მალე დადგება, ჩვენ, ქართველებმა, რა უნდა ვქნათ? რით ვიყიდოთ რუსული ენერგომატარებლები, ხორბალი ან ჩინური საქონელი?

# მეორეხარისხოვანი საკვები პროდუქტები აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობისთვის, ჩვენთვის, ალბათ, მესამეხარისხოვანი



**როგორც საკვები პროდუქტების საკონტროლო შესყიდვის შედეგებმა აჩვენა, ტესტირებაგავლილი პროდუქტების მესამედის შეფუთვაზე დატანილი მონაცემები სიმართლეს არ შეესაბამება.**

შეფუთვა ხშირად ატყუებს მომხმარებელს. ეს ოფიციალურად არის დადასტურებული მოხსენებაში, რომელიც ევროპის კომისიამ გამოაქვეყნა ევროპის 19 ქვეყნის მაღაზიებში ნაყიდი საკვები პროდუქტების შემოწმების შედეგების მიხედვით. პროდუქტების მხოლოდ 2/3-ს ჰქონდა ერთნაირი ხარისხი და შემადგენლობა სხვადასხვა რეგიონში. შემთხვევათა 9 პროცენტში იდენტური შეფუთვაც კი არ იყო საკვების ერთნაირი შემადგენლობის გარანტია. პროდუქტების 22 პროცენტი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მსგავსი დასახელებისა და გაფორმების მიუხედავად.

**პოლინ კონსტანი — მომხმარებელთა ევროპული ორგანიზაცია:** ეს აჩვენებს, რომ საკვები პროდუქტების ხარისხში განსხვავება, მითი კი არა, რეალობაა. თუ ნახავთ ციფრებს, შემოწმებული პროდუქტების მესამედს მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავდა. და ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ მხოლოდ ერთ შემოწმებაზე.

განსხვავებული ხარისხის მქონე ერთსა და იმავე პროდუქტზე ჯერ კიდევ საკონტროლო შესყიდვებამდე ჩიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებლები, უფრო ხშირად — აღმოსავლეთ ევროპისა;

**მომხმარებელი:** ვიმედოვნებთ, ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, რომ აქ, უნგრეთში, ბრენდული პროდუქტის სახელით ცუდი ხარისხის პროდუქტები იყიდება. **მეორე მომხმარებელი:** აი, მაგალითად, ამ მაღაზიაში, რომელიც გერმანულ კომპანიას ეკუთვნის, „ნუტელას“ სხვა გემო აქვს, ვიდრე იმ „ნუტელას“, რომელიც სხვა მაღაზიაში იყიდება.

**შეფუთვა ხშირად ატყუებს მომხმარებელს. ეს ოფიციალურად არის დადასტურებული მოხსენებაში, რომელიც ევროპის კომისიამ გამოაქვეყნა ევროპის 9 ქვეყნის მაღაზიებში ნაყიდი საკვები პროდუქტების შემოწმების შედეგად. პროდუქტების მხოლოდ 2/3-ს ჰქონდა ერთნაირი ხარისხი და შემადგენლობა სხვადასხვა რეგიონში**

**ბუნდესბანკმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა: თუკი ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც არის იტალია, გავა ევროს ზონიდან და გამოაცხადებს დეფოლტს ევროპის ცენტრალური ბანკის წინაშე, სუვერენული ვალის კრიზისი აუცილებლად დაიწყება ესპანეთსა და პორტუგალიაშიც. შედეგად ევროპის ცენტრალური ბანკის ბალანსში გაჩნდება დაახლოებით ტრილიონი ევროს ზომის ნახვრეტი, რომლის ამოვსებასაც მთელი კაპიტალი დასჭირდება და, ამასთანავე, საჭირო იქნება ევროკავშირის ქვეყნების ცენტრალური ბანკებიდან თანხების ამოღება.**

ევროკრიზისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბომბი ევროსთვის: რატომ აპირებს იტალია ევროს პარალელური ვალუტის შემოღებას

**იტალიის პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე კლაუდიო ბორგიმ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ევროს პარალელური ე.წ. Mini-BOT-ის — ეროვნული ვალუტის — გამოსახულება. რა სურს რომს და როგორ აისახება ეს გეგმები ევროკავშირის ფულად ერთეულზე?**

## რა არის BOT-ი

BOT-ი — Buoni Ordinari del Tesoro ითარგმნება ასე: „ჩვეულებრივი სახაზინო ობლიგაცია". „მინი" ნიშნავს, რომ მისი ნომინალი გაცილებით მცირეა ჩვეულებრივი ობლიგაციის ღირებულებაზე (სულ 100 ევრო).

გადაწყვეტილების აზრი არის ის, რომ ამ ქაღალდებით იტალიის მთავრობა დაფარავს ნაციონალური კომპანიებისა და მეურნეობების დავალიანებას, რომელიც 52 მლრდ ევროს შეადგენს. შემდეგ Mini-BOT-ის მფლობელებს შეეძლებათ გადასახადების, აგრეთვე, საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდა, თუ მიმწოდებელი დათანხმდება. გამყიდველებს არ ავალდებულებენ „ჩვეულებრივი სახაზინო ობლიგაციების" მიღებას. ეს საშუალებას აძლევს რომს, ამტკიცოს, რომ Mini BOT-ი სულაც არ არის ევროპული კანონმდებლობით აკრძალული ევროს პარალელური ვალუტა. მინი-ობლიგაციის მომხრეები თავგამოდებით ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ეს მხოლოდ სახელმწიფო ვალის დაფარვის საშუალებაა.

ყველაფრის მიუხედავად, ასეთი ქაღალდების გამოშვება ცოტათი თუ განსხვავდება ფულის გამოშვებისგან. კერძოდ, კომპანიები, რომლებიც მიიღებენ უფლებას, გადასახადები Mini-BOT-ებით დაფარონ, თავიანთი განვითარებისთვის მეტ ფულს დახარჯავენ.

შედეგი, არსობრივად, ისეთივეა, როგორც გადასახადების მასშტაბური შემცირების დროს. ეს გარანტიას იძლევა, რომ Mini-BOT-ებზე დიდი მოთხოვნა იქნება კომერსანტთა შორის და საგადასახადო საშუალებად მათ დაკანონებას ბევრი კომპანია დასთანხმდება. ამას გარდა, **მიუხედავად იმისა, რომ „ჩვეულებრივი სახაზინო ობლიგაციები" ნომინირებულია ევროებში, მთავრობას შეეძლება, თავისი შეხედულებისამებრ დააწესოს ამ ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთი და დაარეგულიროს MINI BOT-ის კურსი. ეს აჩენს ეკონომიკის სტიმულირების დამატებით პერსპექტივას, კერძოდ, ექსპორტიორების მხარდაჭერის მხრივ.**

გამორიცხული არ არის, რომ ამ უპირატესობების წყალობით რამდენიმე წლის შემდეგ Mini BOT-ი ძირითად საგადასახადო საშუალებად იქცეს იტალიაში, ევროს კი გამოიყენებენ საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის.

## ჩაო, ევრო!

ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ რომის გეგმა გაცილებით მასშტაბურია. „ეს არის პირველი ნაბიჯი ევროს ზონიდან გამოსვლისთვის იტალიის მოსამზადებლად", — განუცხადა ჰავიის უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის დოცენტმა **რიკარდო პუგლისიმ** გამოცემა The New York Times-ს. პუგლისი აღნიშნავს, რომ, **როცა MINI-BOT შევა მიმოქცევაში, საკმარისი იქნება, მთავრობამ გამოსცეს ბრძანება, მათი, როგორც საგადასახადო საშუალების ,აუცილებელი მოხმარების შესახებ და იტალიის საკუთარი ვალუტა მყისვე რეალობად იქცევა. მოვლენების ასეთი განვითარება შესაძლებელია, თუკი გავიხსენებთ, რომ მატეო სალვინისა („ჩრდილოეთის ლიგა") და ლუიჯი დი მაიოს („5 ვარსკვლავის მოძრაობა") მმართველი კოალიცია ევროსკეპტიციზმით გამოირჩევა.** სალვინი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას პირდაპირ ამბობდა, რომ მისი პარტიისთვის მიცემული ხმა — ეს არის ევროზე უარის თქმისა და ნაციონალური ვალუტის დაბრუნებისთვის მიცემული ხმა. გასაკვირი არ არის, რომ ამ ინიციატივის ავტორია „ჩრდილოეთის ლიგის" დეპუტატი **კლაუდიო ბორგი** — პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. თავის წიგნში „Mini- BOT: დემოკრატია და სუვერენიტეტი" ბორგიმ ამ ობლიგაციებს უწოდა „სათადარიგო ბორბალი, რომელიც მნიშვნელოვნად გააიოლებს ეროვნულ ვალუტაზე შესაძლო გადასვლას".

„თუ იტალია ოდესმე გადაწყვეტს ევროზე უარის თქმას, ლოდინი არ დაგვჭირდება ბანკნოტების დაბეჭდვის გამო, — აღნიშნა მან, — იმიტომ, რომ უკვე ყველაფერი გაკეთებულია: საკმარისია, უბრალოდ, გამოცხადდეს Mini-BOT-ი ახალ ვალუტად".

## საქმე სერიოზულადაა

ივნისის დასაწყისში იტალიის პარლამენტმა ერთხმად მოიწონა „ჩრდილოეთის ლიგის" წინადადება „Mini-BOT-ის შესაძლო შემოღების საკითხის შესწავლის შესახებ". სალვინის პარტიის ინიციატივის ასეთმა ნეიტრალურმა ფორმულირებამაც კი გამოიწვია ბრიუსელის შეშფოთება. „Mini-BOT-ი — ეს არის ან ფული, რაც არაკანონიერია, ან ვალის ქაღალდები, რომელთა გამოც სახელმწიფოს ვალი მოიმატებს ევროკავშირის ნორმატივების დარღვევით, — განაცხადა ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა **მარიო დრაგიმ**, — არ ვფიქრობ, რომ არსებობს მესამე ვარიანტი".

13 ივნისს იტალიის ეკონომიკის მინისტრი **ჯუზეპე ტრია,** რომელიც არაერთხელ გამოვიდა ახალი ობლიგაციების წინააღმდეგ, ევროკავშირის მაღალჩინოსნების დაწყნარებას შეეცადა. „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ mini BOT-ის გამოშვებაზე არანაირი ზომები მიღებული არ არის. ევრო კვლავინდებურად პოპულარულია იტალიაში", — განაცხადა მან ევროპარლამენტში. გახარებული ექსპერტები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ Mini-BOT-ის საშუალებით რომი ცდილობს, დათმობები მიიღოს ბრიუსელისგან ბიუჯეტის საკითხში, მაგრამ **კლაუდიო ბორგიმ რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ახალი ობლიგაციების გამოსახულება იტალიის სანავთობე კომპანია ENI-ის დამფუძნებელ ენრიკო მატეის პორტრეტით და ვითარება მკვეთრად შეიცვალა.**




**„კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ენრიკო მატეიმ გაიმარჯვა კამილოსა და ადრიანო ოლივეტოზე, პიეტრო ფერერისა და ჯოვანი ანიელიზე",** — მიაწერა ილუსტრაციას ბორგიმ. აღსანიშნავია, რომ იტალიაში **ენრიკო მატეი ეკონომიკური სუვერენიტეტისა და გლობალური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ ითვლება. მის მიერ შექმნილმა ENI-მა მსოფლიო ბაზარზე დაანგრია ბატონობა „შვიდი დის" ოლიგოპოლიისა — უდიდესი ამერიკული და ბრიტანული სანავთობე კომპანიების. ამას გარდა, იტალიელები არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობენ, რომ ავიაკატასტროფა, რომელშიც დაიღუპა მატეი, ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული. ასე რომ, მატეის პორტრეტის არჩევა „პარალელური ფულისთვის" ბევრ რამეზე მეტყველებს.**

## კრიზისი გარდაუვალია

Mini BOT-ის გამოშვების თარიღს არ ასახელებენ, თუმცა ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს უახლოეს თვეებში მოხდება ბიუჯეტის საკითხზე რომისა და ბრიუსელის კონფლიქტის გამო.

5 ივნისს ევროკომისიამ ოფიციალურად დაადანაშაულა იტალია ევროკავშირის საბიუჯეტო წესების დარღვევაში. ერთი კვირის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ იტალიის დიდი ვალი ეწინააღმდეგება წესებს და ქვეყანა უნდა დაისაჯოს 3-დან 4 მლრდ ევრომდე თანხის ჯარიმით. ამას გარდა, მინისტრებმა გადაწყვიტეს, რომის წინააღმდეგ აამოქმედონ ბიუჯეტის მეტისმეტი დეფიციტის საწინააღმდეგო პროცედურა, როდესაც ბრიუსელი, ფაქტობრივად, გააკონტროლებს სახელმწიფოს ყველა გასავალს.

მატეო სალვინიმ და მისმა პარტნიორმა კოალიციაში — ლუიჯი დი მაიომ უკვე განაცხადეს, რომ არ აპირებენ კაპიტულაციას ბრიუსელის წინაშე და უარს არ იტყვიან გადასახადების შემცირებასა და სოციალური დახმარების გაზრდაზე. „არ ვაპირებ თავის ჩამოხრჩობას რაღაც სულელური ნორმატივის გამო, — განაცხადა „ჩრდილოეთის ლიგის" ლიდერმა. — სანამ უმუშევრობის დონე არ დაეცემა 5 პროცენტამდე, ჩვენ უფლება გვაქვს, ინვესტიციები ჩავდოთ ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენ გვაქვს რეგიონები, რომლებშიც უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში 50%-ს აღწევს. ჩვენ გვჭირდება დადებითი ფინანსური შოკი ქვეყნის გადასატვირთად".

**მატეო სალვინიმ და მისმა პარტნიორმა კოალიციაში — ლუიჯი დი მაიომ უკვე განაცხადეს, რომ არ აპირებენ კაპიტულაციას ბრიუსელის წინაშე და უარს არ იტყვიან გადასახადების შემცირებასა და სოციალური დახმარების გაზრდაზე. «არ ვაპირებ თავის ჩამოხრჩობას რაღაც სულელური ნორმატივის გამო», — განაცხადა «ჩრდილოეთის ლიგის» ლიდერმა. — სანამ უმუშევრობის დონე არ დაეცემა 5 პროცენტამდე, ჩვენ უფლება გვაქვს, ინვესტიციები ჩავდოთ ეკონომიკის განვითარებაში. გვაქვს რეგიონები, რომლებშიც უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში 50%-ს აღწევს. ჩვენ გვჭირდება დადებითი ფინანსური შოკი ქვეყნის გადასატვირთად»**

ეს ნიშნავს იმას, რომ, თუ ევროკავშირი მართლა შეეცდება იტალიის საბიუჯეტო პოლიტიკის გაკონტროლებას, სალვინისა და დი მაიოს მოქმედებას ერთადერთ ვარიანტად დარჩებათ პარლამენტში კანონპროექტის შეტანა Mini -BOT-ის შესახებ, რომელსაც დეპუტატები უეჭველად მოიწონებენ. შემდეგ იტალიის გასვლა ევროზონიდან მხოლოდ დროის საკითხი იქნება.




ეს მუქარაა ევროპის ცენტრალური ბანკისთვისაც. ბუნდესბანკმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა: „თუკი ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც არის იტალია, გავა ევროს ზონიდან და გამოაცხადებს დეფოლტს ევროპის ცენტრალური ბანკის წინაშე, სუვერენული ვალის კრიზისი აუცილებლად დაიწყება ესპანეთსა და პორტუგალიაშიც. შედეგად ევროპის ცენტრალური ბანკის ბალანსში გაჩნდება დაახლოებით ტრილიონი ევროს ზომის ნახვრეტი, რომლის ამოვსებასაც მთელი კაპიტალი დასჭირდება და, ამასთანავე, საჭირო იქნება ევროკავშირის ქვეყნების ცენტრალური ბანკებიდან თანხების ამოღება".

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ჩემო სოსო, — სტალინმა, უცებ, მშვიდად და მტკიცედ მიმართა, — მე არც სიცოცხლის ჩუქება შემიძლია და არც მინიჭება, სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა ყოვლად შეუძლებელია. ეს არ შეიძლება, მე გავაკეთო. გაასაჩივრე, განიხილოს საქართველოს მთავრობამ და, თუ შესაძლებელია, დასვან საკავშირო მთავრობის და სასამართლოს წინაშე უმაღლესი სასჯელის — ოცდახუთი წლით პატიმრობის შეცვლის საკითხი... ნუ ღელავ, ჩემო სოსო, უსაშველო არ არის რა ამქვეყნად. შენ ისა თქვი, მოკლულს რომ აღარა ეშველება“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-23, 2019 წ.

# გავიცნოთ და ვისწავლოთ სტალინი

## სტალინი — ქართველი მასპინძელი

**...ნამდვილი რაინდები იყვნენ სულითაც და შესახედაობითაც. ახლაც ცხადად მახსოვს მათი იერი. სამწუხაროდ, გვარები დამავიწყდა. შესაძლებელია, შემდეგ ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ მაინც კარგი ბიჭები იყვნენ. კიდევ რამდენიმე ხანს რომ ,,მემოძღვრა“ მათთვის ან რაიმე შემთხვევის გამო ჩემთან ერთად რომ ამოეყოთ თავი ციხეში, ნამდვილი თავდადებული რევოლუციონერები დადგებოდნენ... აი, თქვენი იმერლებიც როგორები არიან: უცებ ედებათ ალი, მგრძნობიარე გული და დაინტერესებული ჭკუა აქვთ.**

— ალი, კი, უცებ ედებათ, მაგრამ უცბადვე იცის იმათმა ალმა ჩაქრობა, — ხუმრობით მიუგო **კანდიდ ჩარკვიანმა.**

— ეგ, ეგებ ასეც იყოს, — ჩაიღიმა სტალინმა, მაგრამ ისიც კარგი თვისებაა, გული უცებ აგენთოს და სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება. რევოლუციონერისთვის ეს უთუოდ დიდი თვისებაა.

ამის შემდეგ ომზე ჩამოვარდა სიტყვა, საბჭოთა ხალხის გმირობასა და ღვაწლზე მსოფლიოს წინაშე ფაშიზმის განადგურების საქმეში. საუბრის სერიოზული ტონი ისევ სტალინმა შეცვალა, როგორც ღირსეულმა თამადამ, რომელიც უფრთხილდებოდა სუფრასთან ლაღი განწყობის შენარჩუნებას:

— ეს ფაშისტები მართლა მაგრები იყვნენ: ჯარისკაცები — გაწვრთნილები, უკვე ომის ქარ-ცეცხლში გამოტარებულნი; ოფიცრობა — სამხედრო მეცნიერებას დაუფლებული; კბილებამდე შეიარაღებულნი. დაგვესხნენ ისეთი ზათქით, ისეთი რეკლამებითა და აგიტაციით, რომ მხოლოდ ეს შეაშინებდა კაცს. აი აქ სტრატეგია და ტაქტიკა ახსენეთ. მეც ახლა მხოლოდ ამ ორ მხარეს შევეხები და მარტივად გეტყვით, სტრატეგიისა და ტაქტიკის მხრივ როგორ ვაჯობეთ ფაშისტების სამხედრო მეცნიერებას; უფრო სწორად, ორ პატარა მაგალითს მოგიყვანთ.

**ყველამ იცით, როგორ მოინდომეს მოსკოვის აღება, რკალისებრ მარწუხებში მოაქციეს დედაქალაქი, მათი ჯარები მოსკოვის გარშემო მშვილდივით იყო მოზიდული, რომლის მარცხენა ფლანგი კალინინს უტევდა, მარჯვენა კი — ტულას. და აი გადაწყვიტეთ ფლანგების მორღვევა. როდესაც ჩვენმა არმიებმა კალინინსა და ტულასთან ჩაჭრა მოზიდული მშვილდის ლარი, მშვილდისებრი წყობა მტრისა დაირღვა, მშვილდი იქით შებრუნდა,** — თქვა სტალინმა და წამით შეყოვნდა, გაიღიმა და განაგრძო, — კიდევ უფრო მარტივად აგიხსნით სტრატეგიასა და ტაქტიკასაც. აი, უცებ რა გამახსენდა: გორში ორი სასწავლებელი იყო — სასულიერო და სამოქალაქო, ანუ „გოროდსკოე უჩილიშჩე“. ამ „უჩილიშჩეს“ მოსწავლეებს „გოროდისტებს“ ვეძახდით, რაც ძალზე აბრაზებდათ. ჩვენსა და მათ შორის გაუთავებელი პაექრობა და ჩხუბი იყო. გაზაფხულობით კრივში გვიწვევდნენ სამოქალაქო სკოლის მაგარ-მაგარი ბიჭები. ერთ გაზაფხულს მოდის პეტა და მეუბნება: რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ „გოროდისტებმა“ კრივში კვლავ არ დაგვჯაბნონო. ბევრი ვიფიქრე, მერე შევიყარეთ კლასელები და მე ასეთი წინადადება წამოვაყენე: მთელი სასულიერო სასწავლებელი სამ მოკრივე ჯგუფად დაგვეყო, პირველ ჯგუფში სუსტები შეგვეყვანა, მეორეში — უფრო ძლიერნი და მესამეში კი — უძლიერესნი, ვინც კი გვყავდა, ჯერ ეს სუსტები მიგვეშვა „გოროდისტების“ წინააღმდეგ; „გოროდისტები“, მათ, რა თქმა უნდა, იოლად გაუმკლავდებოდნენ; მერე მეორე ჯგუფი მიგვეშვა, მაგრამ პირველსაც არ მოესვენა და გალახულებს ისევ ეძახათ და ეყვირათ „გოროდისტებო“, რომ ნერვები მოეშალათ მათთვის, მწყობრიდან გამოეყვანათ, მეორე ჯგუფსაც მოერეოდნენ „გოროდისტები“, მაგრამ საკმაოდაც დაიღლებოდნენ და, იმასაც იფიქრებდნენ, ახლა კი მოვათავეთ მაგათი საქმეო, სწორედ ამ დროს უნდა მიგვეშვა მესამე უძლიერესი ჯგუფი ჩვენი მოკრივეებისა და, არაქათგამოცლილებისთვის ამოსუნთქვის საშუალება არ მიგვეცა. პირველ და მეორე ჯგუფს ერთად უნდა ეღრიალათ: „გოროდისტებო, გოროდისტებოო“, გაეცეცხლებინათ ისინი და ჩვენ კი უკვე დასუსტებულებისა და მაინც გაცეცხლებულებისთვის ახალი ძალებით, ყველაზე ძლიერი ძალებით შეგვეტია; დასვენებულები და მომზადებულები, ისინი ჩვენს უძლიერესებსაც გალახავდნენ, მაგრამ ახლა, წესით, ჩვენ უნდა გვეჯობნა. როგორც მოვილაპარაკეთ იმ თავშეყრაზე, ისეც აღვასრულეთ და მაშინ პირველად იყო კიდეც, სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა ჩხუბში „გოროდისტები“ დავჯაბნეთ და კუდით ქვა ვასროლინეთ. ჰოდა, ჰიტლერსაც სწორედ ასეთი „გორული ილეთი“ გავუკეთე, — უცებ ასე დაასრულა სტალინმა, გულიანად გადაიხარხარა და, მისი მონაყოლით ისედაც გამხიარულებულები, ბევრი გვაცინა.

— აი, შენი ბავშვობის თამაშობებიც, **მაშინ რომ არ მომეფიქრებინა და „გოროდისტებთან“ გამარჯვებაში არ გამომეცადა ჩემი „ხერხი“, ალბათ, ომშიც და სხვა საქმეშიც საჭირო გამჭრიახობას ვერ გამოვიჩენდი. ამხანაგი ფსიქოლოგები არ ცდებიან, როცა ამბობენ, რომ წყობა პიროვნების აზროვნებისა და ხასიათისა ბავშვობის წლებში ყალიბდებაო. აი, მეც ამათთან ერთად ჩამომიყალიბდა ჩემი ხასიათი და აზროვნების უნარი, — გაიღიმა და თავის სიყრმის მეგობრებს გადახედა.**

განცვიფრებული ვუსმენდი უზარმაზარი სახელმწიფოს ხელმძღვანელს, რომელიც ასე უბრალოდ საუბრობდა უდიდეს მსოფლიო მოვლენებზე და თავის ნამოღვაწარსაც უკიდურესი უბრალოებით წარმოაჩენდა ხოლმე. იმ სამი დღის განმავლობაში, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრი ითქვა, რომლიდანაც ზოგი კარგად აღარ მახსოვს და ზოგის კიდევ „თქმითაც დაშავდებისო“, როგორც ჩვენს ხალხს უთქვამს. ძალიან ლაღად ვიყავით ყველანი, ძალზე შინაურულად ვგრძნობდით თავს, თავისუფლად. თითქმის ვისვენებდით და არავითარი საქმით არ ვიყავით დატვირთულნი, მაგრამ ამ დიდი პიროვნების გვერდით ყოფნამ მაინც დამღალა და, როდესაც ჩემი ხელმძღვანელი ამხანაგების მიერ სტალინის სიყრმის მეგობრების მიერაც ითქვა, რომ საღამოს სახლისაკენ უნდა გაგვეწია, გამიხარდა.

— მაშ, თქვენ უკვე წასვლა გინდათ?

ჩვენ წამოვდექით და უკვე გავემზადეთ დასამშვიდობებლად.

— მოიცათ, მოიცათ, თუ ღმერთი გწამთ, — უცებ შემოგვძახა და ხელი დაგვიქნია, დაჯექითო. წამით ნაღვლიანი მზერა შეგვავლო, პეტაზე შეჩერდა და თქვა, — მტოვებთ, არა?

— ჩვენ რასა გტოვებთ, სოსო, კაცი არ მეგულება, ყოველდღე გულში არა ჰყავდე და თავლწინ არ ედგე, — თქვა პეტამ.

— აბა, ის თუ გახსოვს, — და სტალინმა ყრმობისდროინდელი ამბავი გაიხსენა: ერთს მეორე მოჰყვა, ისევ გალაღდა სუფრა, ისევ მოესიყვარულნენ ერთმანეთს სიყრმის მეგობრები და მისი ფიქრები კვლავ ჩვენი მიწა-წყლის დოვლათის გაზრდასა და განვითარებას დასტრიალებს. ისე როგორ მოვკვდები, კახეთი კარგად არ მოვინახულოო.

— მაშ, წავსულვართ, — უცებ თვითონ თქვა და შეყოყმანდა.

— დროა უკვე, — უთხრა ისევ პეტამ, — ისედაც ბევრი შეგაწუხეთ.

— დიდად შემაწუხეთ, ძალიან, ძალიან შემაწუხეთ, ისე შემაწუხეთ რომ... წამით ისევ ნაღველი ჩაუდგა თვალებში და ალერსით გაგვიღიმა, — რა გიყოთ, რაკი არ გინდათ ჩემთან დარჩენა, — და პირველი თვითონ წამოიწია.

— კარგი, გაგიშვებთ, მაგრამ ერთი გავიაროთ ეზოში. ფეხები გავშალოთ და თითოეულმა გულის ნადები თხოვნა, რაც გაქვთ, ალალად მითხრას, მანამდე, მანქანებსაც მოგართმევენ და ... აბა, გურულო, პირდაპირ მითხარ, რა გაწუხებს? გინდა რამე?

— თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა, ამხანაგო სტალინ!





— ბიჭო. მაგ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ახლა თავი დაანებე. ვიცი, რომ ჩემი დღეგრძელობა გინდა, მაგრამ მე გეკითხები, შენთვის რამე თუ გინდა? რა გჭირდება?

— მე სათხოვარი არა მაქვს რა, არც რამე მქონია გულში აქეთ წამოსვლისას, რომ მეთხოვა. მაგრამ, რადგან მეკითხებით, აი, აქ, თეატრზე ჩამოვარდა სიტყვა... უკვე გთხოვეთ და, გავიმეორებ მხოლოდ იმ თხოვნას, ჩვენი თეატრის წარმოდგენა იხილოთ, თუ საშუალება მოგვეცა მოსკოვში გასტროლებზე წასვლისა, მინდა ნახოთ, თუ როგორი გზით ვითარდება ჩვენი თეატრი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და შეაფასოთ, ამასთანავე, გაითვალისწინოთ შეფასებისას ისიც, რომ ტექნიკურად და მატერიალურად დედაქალაქის ყველა თეატრს ჩამოვრჩებით, მაგრამ შემოქმედებითად, პირობას გაძლევთ, მათზე დაბლა არ ვდგავართ. მოგეხსენებათ, მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი თეატრები დედაქალაქის თეატრებს უსწორდება, იმათ ეჯიბრება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, მატერიალური და ტექნიკური პირობები ჩვენს თეატრს გაცილებით დაბალი აქვს. აი, თანაბარ პირობებს თუ შეგვიქმნიან, მაშინ ვნახოთ, ვის მეტი შეუძლია.

— სულ ესაა შენი თხოვნა?

— ეგ არის, ამხანაგო სტალინ.

— მაგ თხოვნაზე აკი გიპასუხე: თბილისში ვერ ჩამოვალ, რას იტყვიან უკრაინელები, ბელორუსები, სომხები და სხვები. აბა, კანდიდ, მოსკოვში მოვიწვიოთ რუსთაველის თეატრი და მოსკოვში აუცილებლად დაგესწრებით. მის მატერიალურ მხარეზეც იქ მოვილაპარაკოთ, ადგილზევე, მანამდე კი, არა მგონია, საქართველოს მთავრობაც არ დაგეხმაროს. სულ ეს არის? მაშ, შენთვის არა გინდა რა მთხოვო?

— ისევ და ისევ თქვენი მზრუნველობითაა, თუ სათხოვარიც მეტი არაფერი მაქვს, — ვუპასუხე და მანაც მოწონების ნიშნად თავი დამიქნია.

— აბა, მიხეილ, შენ რასა მთხოვ? — ახლა ტიტვინიძეს მიმართა.

**მიხეილ ტიტვინიძემ** ჯიბიდან ცხვირსახოცში გახვეული ძეწკვიანი პატარა ფანქარი ამოიღო, სტალინს ახლოს მიუტანა და ჰკითხა:

— ყველაფერი რომ გახსოვს, აბა, ამას თუ გაიხსენებ?

სტალინი წამით ფანქარს შეაჩერდა, ჩაფიქრდა, უცებ სახე გაებადრა.

— ამას უყურე, ეგ ხომ ჩემი ნაჩუქარი ფანქარია, შე ღმერთძაღლო, საიდან? რამ შეგანახვინა ამდენ ხანს ეს შაურიანი ფანქარი?

— სიყვარულმა! — წყნარად უპასუხა მიხეილმა, — ჩემი ძმა გახსოვს? იმასაც უყვარდი. გახსოვს, ნაძალადევში კაზაკებთან შეტაკებისას დაიღუპა. ჩემთვის არაფერი მაქვს სათხოვარი, რა ვიცი, იმის სახელის ხსოვნისთვის, ეგებ კასპში ან ბიბლიოთეკას ან სასწავლებელს ან კულტურის სახლს მისი სახელი დაარქვან...

— ამ თხოვნას ამხანაგი ჩარკვიანიც შეგისრულებს. აი, მე კი, ნება მიბოძე, ჩვენი მეგობრობის ნიშნად, ეს პატარა ნობათი მოგართვა, — და ქაღალდში გახვეული ჩამოართვა იმხანად ვერანდაზე გამოსულ გენერალ-მაიორს. მერე მეორე გამოართვა გენერალ-მაიორს და სოსოს მიაწოდა, — ეგეც შენა, ჩე-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „მაშინ რომ არ მომეფიქრებინა და „გოროდისტებთან“ გამარჯვებაში არ გამომეცადა ჩემი „ხერხი“, ალბათ, ომშიც და სხვა საქმეშიც საჭირო გამჭრიახობას ვერ გამოვიჩენდი. ამხანაგი ფსიქოლოგები არ ცდებიან, როცა ამბობენ, რომ წყობა პიროვნების აზროვნებისა და ხასიათისა ბავშვობის წლებში ყალიბდებაო, აი, მეც ამათთან ერთად ჩამომიყალიბდა ჩემი ხასიათი და აზროვნების უნარი, — გაიღიმა და თავის სიყრმის მეგობრებს გადახედა“.

**ჰიტლერი თავისი განუსაზღვრელი ბოროტებითა და კაცთმოძულეობით მაინც ჰიტლერია, მაგრამ გრიგოლ რობაქიძემ არანაკლებ ისტორიულ და სისულელის კვარცხლბეკზე ასულ მუსოლინისაც, რომელიც ქალის კაბაში გადაცმული საყვარელთან ერთად მიიპარებოდა დამარცხებული იტალიიდან, მაგრამ შეიპყრეს და ავტობუსის გაჩერებაზე ფეხებით დაკიდეს, ისეთივე ქება-დიდებით აღვსილი წიგნი უძღვნა, როგორიც ჰიტლერს და ამით ჯოჯოხეთის კუპრში ამოავლო არამხოლოდ კავკასიელი კაცის მორალი და შორსმჭვრეტელობა, არამედ ლაფში ამოსვარა «პოეტების მხარედ» წოდებული რუსთაველის საქართველო**

◀მო სოსო, — თვალებში ჩააცქერდა და უთხრა, — შენც რაღაც უნდა გქონდეს ჩემთან სათქმელი, ეს დღეებია სულ გარშემო მიტრიალებ და კი ვერ გითქვამს. აბა, ერთი მითხარი: რა არის, რომ შენც გაგიჭირდა თქმა და მე შენი თხოვნის შესრულება გამიჭირდეს.

— შენ ყველაფერი შეგიძლია... თუ გამიგებ, თორემ სიკვდილი კარზე მიკაკუნებს და ის არის...

— უცებ პეტამ ჩაულაპარაკა, — არ გინდა, სოსო, კობას მაგ თხოვნით ნუ შეაწუხებ.

— მოიცა ერთი, თუ ძმა ხარ! მაგაზე უკეთ ვინ უნდა დამეხმაროს თუ დასახმარებელია! — რიხიანად და გადაწყვეტით უპასუხა პეტას **სოსო ცერაძემ.**

— ჰოდა, მითხარი სოსო, — სიტყვა მიაშველა სტალინმა.

— აგერ ვარ მე და აგერ კიდევ შენა — ყველაზე დიდი კაცი დედამიწის ზურგზე! მაჩუქე ჩემი დისშვილის სიცოცხლე, ოცდაერთი წლის სტუდენტის, რომელსაც დახვრეტა აქვს მისჯილი...

— რატომ? რისთვის მიუსაჯეს ეს უმაღლესი სასჯელი?

— ოქრო-ვერცხლის მაღაზიის გაძარცვა მოუწადინებია სტუდენტების ერთ ჯგუფს, მათ შორის, შავ დღეზე გაჩენილსაც, მაღაზიაზე დაცემის დროს დარაჯი შემოკვდომია და...

**— რა საოცარია ქართული ზმნა! როგორ არ მიმოაქცევს ქართველი კაცი ამ ზმნას! პირდაპირ თქვი, მოკლა-თქო! ჰმ, შემოკვდომია, ასეთ ფორმას, ყველა ენა რომ დაჩხრიკო, ალბათ, ვერა ნახავ. ამ სიტყვის მეშვეობით ქართველ კაცს შეუძლია მკვლელობა თვით მოკლულს გადააბრალოს... საოცარი არ არის? — სიცილით მოგვიბრუნდა.**

— ჰოდა, მაჩუქე მისი სიცოცხლე; გადასახლებით, ოცდახუთი წლის პატიმრობით მაინც შეუცვალონ, — არ დაცხრა და აღელვებით განაგრძო სოსო ცერაძემ.

— ჩემო სოსო, — სტალინმა, უცებ, მშვიდად და მტკიცედ მიმართა, — მე არც სიცოცხლის ჩუქება შემიძლია და არც მინიჭება, სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა ყოვლად შეუძლებელია. ეს არ შეიძლება, მე გავაკეთო. გაასაჩივრე, განიხილოს საქართველოს მთავრობამ და, თუ შესაძლებელია, დასვან საკავშირო მთავრობისა და სასამართლოს წინაშე უმაღლესი სასჯელის, ოცდახუთი წლით პატიმრობის შეცვლის საკითხი... ნუ ღელავ, ჩემო სოსო, უსაშველო არ არის რა ამქვეყნად. შენ ისა თქვი, მოკლულს რომ აღარა ეშველება...

— ჰო, შენი ჭირიმე, იმის ცოდვიანი თავი არ მასვენებს, დღენიადაგ გულ-ღვიძლს მიმღვრევს.

**ამ მოხუც გოლიათს ლოყები შეეფაკლა ღელვისგან და მადლიერების გრძნობას ადგილზე ფეხების უნებური ბაკუნით გამოხატავდა. საოცარი ყოფილა კაცის ბედი, რა იცოდა მაშინ ბაქოში სახელგანთქმულმა მსოფლიო ფალავანმა, სიკვდილმისჯილ პატიმარ სოსო ჯუღაშვილს ციხიდან გაქცევაში რომ დაეხმარა, ის სოსო ჯუღაშვილი საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარე, მსოფლიოში უდიდესი ადამიანი გახდებოდა და ათეული წლების შემდეგ, მისთვის უნდა ეთხოვა დისშვილის სიცოცხლის შენარჩუნება.**

— ესეც შენი პეტა, — ახლა პეტრე კაპანაძეს მიართვა ნობათი და ჰკითხა, — შენ რა გინდა მთხოვო?

— მე არაფერი, ყველაფერი მაქვს და, თუ რამე მომინდა, არ დაგერიდები, კიდევაც მოგწერ, — უთხრა და ერთმანეთს გაუღიმეს.

— უნდა მომწეროთ, აბა! აუცილებლად უნდა მომწეროთ, თუ გაგიჭირდათ. მაშ, რისი მეგობრები ვართ, შენცა, გურულო, ხომ მომწერ?

რა უნდა მეთქვა, მხოლოდ მოკრძალებით გავიღიმე.

— ჰო, ჩვენც ხომ დავმეგობრდით ამ დღეებში და, წერილიც უნდა მომწერო.

— ჩემი წერილის კითხვის დრო სად გექნებათ, იოსებ ბესარიონოვიჩ...

— კაცო, შენ ის მითხარი, მომწერ თუ არა?

ჩამაცივდა, სანამ არა ვთქვი, მოგწერ-მეთქი.

— აი, ამიერიდან მეგობრები ვართ ყველანი, ერთმანეთს ჭირიც და ლხინიც უნდა გავუზიაროთ...

არაჩვეულებრივად გულთბილი გაცილება მოგვიწყო. ერთი სამჯერ მაინც დაგვსხა სუფრასთან, თითქოს რაღაცას იხსენებდა, თითქოს რაღაც დარჩა უთქმელი. მანქანები უკვე ეზოში გველოდა. წამოდგა, გაგვაცილა. მისი სიყრმის სამი მეგობარი და მე მის „ზის-10“-ში უნდა მოვთავსებულიყავით. აი, მაშინ კი მომეკიდა გულს ნაღველი, მანქანასთან კიდევ ერთხელ გამოემშვიდობა, როცა მანქანებში



გრიგოლ რობაქიძე

ჩავსხედით, „იცოდე, ჩემი უძვირფასესი სტუმრები მიგყავს“ — თითქოს მისი გაფრთხილება სჭირდებოდა, უთხრა მძღოლს. ჩავსხედით. მადლიერებითა და სიყვარულით აღსავსე მზერით ერთხელაც მოვიხედე სტალინისკენ. ისიც ალერსიანი ღიმილით გვემშვიდობებოდა. იმ დღესვე თბილისში გამოვემგზავრე. დღემდე დამაქვს ჩემში იმ არაჩვეულებრივი შეხვედრებიდან ის, რისი დატევა და შენარჩუნება ჩემმა მეხსიერებამ შეძლო.

მკითხველი, ალბათ, იგრძნობს ჩემს აღფრთოვანებასა და სითბოს იმ უდიდესი ისტორიული პიროვნების მიმართ, რომლის ნამოღვაწარი, რომლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახება ბოლო ოცმა წელიწადმა კაცობრიობის წინაშე და კერძოდ, ჩემ წინაშეც სულ სხვა კუთხით და, შეიძლება ითქვას, სისასტიკის მიმართულებით წარმოაჩინა. როგორ უთავსდება მისი ის სახე, რომელიც მე გადმოვეცი, იმ სახეს, რომელიც მიუღებელი და უარსაყოფია კაცობრიობისთვის? ამის თაობაზე ჩემი სუბიექტური მოსაზრებების გადმოცემა აქ, ახლა, ამ წიგნში, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, მით უმეტეს, ეს უფრო ისტორიკოსების, ფსიქოლოგებისა და მწერლების საქმეა, ვიდრე არტისტის და ჩემმა გულწრფელმა მოგონებამაც, იმ ვითარებაში მისადმი აღძრული დამოკიდებულების, მასზე შექმნილი შთაბეჭდილების გულწრფელმა აღიარებამაც, ეგებ, კეთილი სამსახური გაუწიოს იმ მომავალ რომანისტებსა და ფსიქოლოგებს და, თუ მცდარი ვიყავი ჩემს დამოკიდებულებაში, ესეც ჩემი ბედი ყოფილა და იმ „შეცდომის“ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის“.

ვამთავრებ აკაკი ვასაძის სტალინზე შეხედულებების თქვენ წინაშე წარმოდგენას, რომელმაც, როგორც სატელეფონო ზარებიდან ირკვევა, ძალზე სასიამოვნო მოგონებები აღუძრა მკითხველს. აქვე, დასკვნით დაწილში, კვლავ უნდა შეგახსენოთ დიდი ქართველების მიერ დანახული თვისტომი და მოგაწოდოთ მათი თვალსაზრისი სტალინის პიროვნების მიმართ:

**გროგოლ რობაქიძე:** „სისასტიკით აღსავსე სტალინი ძლევამოსილად აღმართულიყო როგორც საბჭოეთის, ისე თითქმის მთელი მსოფლიოს ცივ და ბრმა ბედისწერად, მაგრამ, როდესაც გასაჭირი დაატყდებოდა თავს და შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე (არ მახსენდება, სად და როდის — გრ. ონიანი), მაშინღა სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი, მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესლა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, „მრავალჟამიერის“ ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“.

ეს ის რობაქიძეა, რომელმაც ცხარე ცრემლით დაიტირა **ლენინი** გულისამაჩუყებელი ნეკროლოგით იმავე „გველისპერანგში“ და „ჩაკლულ სულში“.

რობაქიძე ხოტბას ასხამს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს და სამარცხვინო ქება-დიდებას აღავლენს კაცობრიობის უბოროტესი მტრის — **ჰიტლერის,** მიმართ წიგნში „ჰიტლერი“. **ჰიტლერი თავისი განუსაზღვრელი ბოროტებითა და კაცთმოძულეობით მაინც ჰიტლერია, მაგრამ გრიგოლ რობაქიძემ არანაკლებ ისტორიულ და სისულელის კვარცხლბეკზე ასულ მუსოლინისაც, რომელიც ქალის კაბაში გადაცმული საყვარელთან ერთად მიიპარებოდა დამარცხებული იტალიიდან, მაგრამ შეიპყრეს და ავტობუსის გაჩერებაზე ფეხებით დაკიდეს, ისეთივე ქება-დიდებით აღვსილი წიგნი უძღვნა, როგორიც ჰიტლერს და ამით ჯოჯოხეთის კუპრში ამოავლო არამხოლოდ კავკასიელი კაცის მორალი და შორსმჭვრეტელობა, არამედ ლაფში ამოსვარა „პოეტების მხარედ“ წოდებული რუსთაველის საქართველო.**

დღეს რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი არსებობს თბილისში, ხოლო გორის ცენტრიდან აღებული სტალინის ძეგლი კარალეთში, ეკალბარდებით მოფენილ ტერიტორიაზეა გართხმული. ფურთხის ღირსი ხარ, საქართველოვ! არ ჩამოვთვლი იმ მედროვე პოლიტიკანებსა თუ ავტორიტეტად მიჩნეულ პეპლებს, რომელთა სიცოცხლისა და ავტორიტეტულობის ხანგრძლივობა პეპლების სიცოცხლის ხანგრძლივობის ტოლფარდია. სტალინი კი ერთი ცივილიზაციიდან მომავალ ცივილიზაციაში გადავა, როგორც თანასწორუფლებიანობისა და ჩაგრული ხალხების ბელადი. დასავლური პროპაგანდისტული მანქანის მიერ ადამიანებისთვის შეძულებული სტალინიზმი, დრო გავა და, მსოფლიოს ჩაგრული ხალხების რელიგიად იქცევა.

**(გაგრძელება იქნება)**



სტალინი ბავშვობის მეგობრებთან

**დღეს რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი არსებობს თბილისში, ხოლო გორის ცენტრიდან აღებული სტალინის ძეგლი კარალეთში, ეკალბარდებით მოფენილ ტერიტორიაზეა გართხმული. ფურთხის ღირსი ხარ, საქართველოვ! არ ჩამოვთვლი იმ მედროვე პოლიტიკანებს თუ ავტორიტეტად მიჩნეულ პეპლებს, რომელთა სიცოცხლისა და ავტორიტეტულობის ხანგრძლივობა პეპლების სიცოცხლის ხანგრძლივობის ტოლფარდია. სტალინი კი ერთი ცივილიზაციიდან მომავალ ცივილიზაციაში გადავა, როგორც თანასწორუფლებიანობისა და ჩაგრული ხალხების ბელადი. დასავლური პროპაგანდისტული მანქანის მიერ ადამიანებისთვის შეძულებული სტალინიზმი, დრო გავა და, მსოფლიოს ჩაგრული ხალხების რელიგიად იქცევა**

ევროპელი ფასეულობების წინააღმდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კუჩერა მწვავედ აკრიტიკებდა ამერიკელ სექსოლოგ ჯონ მანის — სექსუალური იდენტობის სპეციალისტს. მანიმ წამოაყენა თეორია იმის შესახებ, რომ ბავშვები იბადებიან გენდერულად ნეიტრალური, სექსუალური კუთვნილება კი უყალიბდებათ 5-დან 8 წლამდე. გერმანელმა მეცნიერმა ამერიკელ სექსოლოგს უწოდა „გამხრწნელი, რომელიც ბავშვების ადრეულ არაბუნებრივ სექსუალიზაციას ქადაგებს“.**

# გერმანელმა მეცნიერმა გეების პედოფილიისადმი მიდრეკილება დაადგინა და... განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა

**გერმანიაში, სადაც რამდენიმე წლის წინათ დააკანონეს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება, სკანდალია. სახელოვანი მეცნიერ-ბიოლოგი ამტკიცებს, რომ გეიწყვილების მიერ ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება პედოფილიით დასრულდეს. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე მისი კოლეგები აღშფოთდნენ და პროფესორი სიძულვილის გაღვივებაში დაადანაშაულეს.**

## მეცნიერი განსასჯელის სკამზე

გერმანიის ქალაქ კასელის რაიონული სასამართლოს შენობა სავსეა, თანამშრომლები აშკარად არ ელოდნენ ამდენი ადამიანის მისვლას. აჟიოტაჟი გამოწვეულია მეცნიერ-ბიოლოგის საქმის სასამართლო განხილვით. ეს არის კასელის უნივერსიტეტის პროფესორ **ულრიხ კუჩერას** საქმე.

აი თვითონ პროფესორიც — მომღიმარი, მეგობრულად განწყობილი, სასიამოვნო გარეგნობის საშუალო ხნის მამაკაცი. ის დარბაზში შედის თავის ადვოკატებთან ერთად, ესალმება მათ, ვინც მის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავს, მოსმენა გრძელდება 6 საათს, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გამოაქვს.

**2017 წელს კათოლიკური ინტერნეტგამოცემა Kathnet-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მეცნიერმა თქვა, რომ ერთი და იმავე სქესის პირთა კავშირი არაბუნებრივია და ეჭვი გამოთქვა ბუნდესტაგის გადაწყვეტილების გამო — ქვეყანაში ყველასთვის დაერთოთ დაქორწინების ნება.**

ატყდა სკანდალი. სასამართლომდე საქმე მიიყვანა მეცნიერის სამმა კოლეგამ, რომლებიც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისანი არიან, სარჩელი შეიტანეს, აგრეთვე, გეისტუდენტებმა და ლესბოსელმა, რომელიც გაანაწყენა იმან, რომ კუჩერამ არ მოიწონა ხელოვნური განაყოფიერება. კამპუსში გამართეს აქცია მასწავლებლის გადადგომის მოთხოვნით. კანონის მიხედვით, სიძულვილის გაღვივებისთვის, რაშიც ადანაშაულებენ პროფესორს, განსაზღვრულია რამდენიმეთვიანი პატიმრობა ან რამდენიმეათასიანი ჯარიმა.

კუჩერას საქმეზე უკვე ორი სასამართლო სხდომა ჩატარდა. ბოლო სხდომაზე მან წაიკითხა ნაწყვეტი თავისი წიგნიდან „გენდერული პარადოქსი“. ადვოკატები ითხოვენ, რომ ეს წიგნი დაერთოს საქმეს, როგორც დასაცავის განცხადების მეცნიერული მტკიცებულება. ერთ-ერთი მოსარჩელის დაკითხვისას ადვოკატმა აღნიშნა, რომ კუჩერამ ინტერვიუში ილაპარაკა მხოლოდ „შესაძლო საფრთხეზე“, თუმცა მოსარჩელე დარწმუნებულია, ასეთი მოსაზრებები ადამიანებში გარკვეულ შიშს იწვევს. „ეს არის ლამაზად შეფუთული სიტყვები, — ამბობს 51 წლის მოსარჩელე, — ეს ტროას ცხენივითაა და თავის საქმეს აკეთებს“.

კუჩერას კოლეგა მამაკაცმა, რომელიც მამაკაცზეა დაქორწინებული, განაცხადა, რომ „სულის სიღრმემდეა განაწყენებული“ პროფესორის სიტყვებით.

## სკანდალური ინტერვიუ

ეს ინტერვიუ პროფესორს პოლონელმა ჟურნალისტმა ჩამოართვა. მასალა დაიბეჭდა სათაურით **„ქორწინება ყველასთვის: ეს უაზრო გადაწყვეტილება მე არ მაკვირვებს“.**

„დაქორწინება ან სქესობრივი აქტის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ ჰეტეროსექსუალურ წყვილებს. ისეთი ტერმინები, როგორიცაა ჰომოსექსუალური აქტი ან ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება, ბიოლოგიური თვალსაზრისით უაზრობაა“, — ამტკიცებდა მეცნიერი ინტერვიუში. მისი თქმით, დიდი დრო მიუძღვნა ფსიქიკის ცვლილებებს ბავშვისა, რომელიც ნაშვილები იყო და იზრდებოდა ჰომოსექსუალურ წყვილთან.

**„ჩვენი ქრისტიანული პარტიები (მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ქრისტიანულ-სოციალური კავშირი — გ.გ.) მხარს უჭერენ გეების ლობის“, — ამბობდა პროფესორი. 2016 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნზე „გენდერულ პარადოქსზე“ მითითებით ის აღნიშნავდა, რომ ერთი და იმავე სქესის პირებს შორის სექსი არ შეიძლება გავუთანაბროთ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, რადგან არ არსებობს ბავშვის გაჩენის პერსპექტივა. აქედან გამომდინარე, ეს ბიოლოგიური თვალსაზრისითაც უაზრობაა.**

ბოლო პერიოდში ქვეყანაში სულ უფრო მცირდება „პოტენციურად ნაყოფიერი ქორწინებების“ რაოდენობა, რაც იწვევს შობადობის შემცირებას. „ბავშვიანი ნორმალური ოჯახები პასუხისმგებლობას იღებენ მომავალზე, ისინი იმსახურებენ განსაკუთრებულ სახელმწიფო სტატუსს“, — ამბობდა პროფესორი და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მოსახლეობა — ეს არის საზოგადოების პროდუქტიული ნაწილი.

სხვა ინტერვიუებში **კუჩერა მწვავედ აკრიტიკებდა ამერიკელ სექსოლოგ ჯონ მანის — სექსუალური იდენტობის სპეციალისტს. მანიმ წამოაყენა თეორია იმის შესახებ, რომ ბავშვები იბადებიან გენდერულად ნეიტრალური, სექსუალური კუთვნილება კი უყალიბდებათ 5-დან 8 წლამდე. გერმანელმა მეცნიერმა ამერიკელ სექსოლოგს უწოდა „გამხრწნელი, რომელიც ბავშვების ადრეულ არაბუნებრივ სექსუალიზაციას ქადაგებს“.**

კუჩერა კატეგორიული წინააღმდეგია იმისა, რომ ჰომოსექსუალურმა წყვილებმა ბავშვები იშვილონ. „თუკი მიიღებენ ამის მხარდამჭერ კანონს, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ შორს არ იქნება სახელმწიფოს მიერ წახალისებული პედოფილია და ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა“, — ამბობს ის და ხსნის: „ძუძუმწოვრების ევოლუციის 150 მილიონი წლის განმავლობაში გაჩნდა უჯრედი დედაშვილი, ეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი კავშირია. ბავშვისთვის დედის წართმევა ან მამის შეცვლის მცდელობა ძალით ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა“.

**„ბავშვიან ჰეტეროსექსუალურ წყვილებში გამორიცხულია ინცესტი. ეს ტაბუ ინსტიქტის დონეზეა. ჰომოსექსუალურ წყვილში კი არ არის ინცესტისადმი ზიზღი. ამას გარდა, შვილად აყვანილი ბიჭი, როგორც მისი „მშობელი 1“ და „მშობელი 2“, 95%-იანი ალბათობით, იქნება ჰომოსექსუალი. ეს კი ქმნის პერსპექტივას საშინელი პედოფილიური სცენარისა — „სამის ქორწინება“.**



ულრიხ კუჩერა



**«დაქორწინება ან სქესობრივი აქტის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილებს. ისეთი ტერმინები, როგორიცაა ჰომოსექსუალური აქტი ან ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება, ბიოლოგიური თვალსაზრისით ანომალიაა», — ამტკიცებდა მეცნიერი ინტერვიუში**




რეკლამა ბერლინის ერთ-ერთ ქუჩაზე

იმის გათვალისწინებით, რომ ლესბოსელები უფრო მიდრეკილი არიან პედოფილიისკენ, მათაც ანალოგიური პრობლემები შეექმნებათ“, — დარწმუნებულია კუჩერა.

ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო შეტევა მეცნიერზე. ის უნივერსიტეტში გათავისუფლების ზღვარზეა: სტუდენტურმა კომიტეტმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მოუწოდა, შეამოწმოს, როგორ ასრულებს პროფესორი „სამსახურებრივ მოვალეობებს“, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც მხარს უჭერს მას.

**„KATH.NET-ისთვის მიცემული ინტერვიუს შემდეგ მივიღე დაახლოებით 80 წერილი, მათგან მხოლოდ სამია გაჟღენთილი ჩემდამი აგრესიითა და სიძულვილით. თვით ჰომოსექსუალებიც კი დამეთანხმნენ“, — ამბობს პროფესორი. „მოხარული ვარ, რომ არსებობენ ისეთი მეცნიერები, როგორიცაა „ბიობოროტმოქმედი კასელიდან“, — წერენ პროფესორის მხარდამჭერები.**

## ტოტალიტარული ზედამხედველობა მეცნიერებაზე

ულრიხ კუჩერა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერია, 300-მდე სტატიისა და 13 წიგნის ავტორი. მან, როგორც თვითონ ამბობს, „იცის, როგორ მუშაობს მეცნიერება“.

მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ევოლუციური ბიოლოგიის სპეციალისტმა კუჩერამ თავის სფეროში უამრავი რამ აღმოაჩინა. სადოქტორო დისერტაციისთვის დაიმსახურა ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „პფაიზერ“-ის სპეციალური პრიზი.

ათეისტი და კრეაციონიზმის (კონცეფცია, რომლის მიხედვით ორგანული სამყაროს (სიცოცხლე) ძირითადი ფორმები დედამიწა და, საერთოდ, სამყარო ღმერთმა შექმნა) მოწინააღმდეგე, ერთი და იმავე სქესის პირების ქორწინების საკითხზე მსჯელობს მხოლოდ ბიოლოგიური მეცნიერების პოზიციიდან. **„როგორც პროფესორების ამერიკული ასოციაციის წევრი, მომხრე ვარ თავისუფალი სიტყვის და უარვყოფ ცენზურას. ჩემი მტკიცებები შემიძლია გავამყარო სამეცნიერო ნაშრომებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სამეცნიერო ნაშრომებმა არავინ დააინტერესა სასამართლო სხდომაზე.** მე წინააღმდეგი წავედი გეებისა და ლესბოსელებისთვის ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭებაზე, პირველ რიგში, ბავშვის ინტერესების გამო, მაგრამ ჩემ წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მეცნიერულ ცოდნას გერმანიაში საფრთხე ემუქრება — პროფესორებს შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ ის, რაც ხელს აძლევთ პოლიტიკოსებს. ბიოლოგია სერიოზული ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდა ტოტალურ სახელმწიფოში“.

ამასთანავე, პროფესორი წინააღმდეგია გეებისა და ლესბოსელების დისკრიმინაციისა და აღნიშნავს, რომ მის მოსაზრებებს ბევრი ჰომოსექსუალი იზიარებს. კუჩერას კვლევებზე მასთან ერთად გეიმეცნიერებიც მუშაობდნენ.

კუჩერა კატეგორიულად არ ეთანხმება ბრალდებას. „იმისათვის, რომ ხმა აღარ ამოვიღო, ბოროტმოქმედად წარმომაჩინეს, — აღშფოთებულია ის. — მაგრამ ვერ შემაშინებენ. კვლავ განვაგრძობ მოყოლას საზოგადოებისთვის ქალისა და მამაკაცის, ჰომოსექსუალებისა და ჰეტეროსექსუალების ურთიერთობაზე ბიოლოგიური თვალსაზრისით“.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ცნობილმა პოლიტიკოსმა ყველა ჰომოსექსუალის მოსპობა მოითხოვა

**ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა, ალაბამას შტატის ქალაქ კარბონ ჰილის მერმა მარკ ჩემბერსმა ყველა მამათმავლის მოსპობა მოითხოვა. ასეთი მოთხოვნით გამოვიდა იგი სოციალურ ქსელში წლევანდელ 31 მაისს.**



„ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც ჰომოსექსუალები მორალს გვიკითხავენ, ტრანსვესტიტები კითხულობენ ლექციებს ადამიანის ბიოლოგიაზე, ბავშვების მკვლელები — ადამიანის უფლებებზე, სოციალისტები კი — ეკონომიკაზე“, — აღშფოთებას არ მალავდა მარკ ჩემბერსი. მისი სიტყვით რომ ვთქვათ, მოცემულ მომენტში პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი საშუალებაა მისი ძირფესვიანად აღმოფხვრა, ანუ გეების ფიზიკური მოსპობა.

„ვიცი, რომ ასე ლაპარაკი ცუდია, მაგრამ მათი განადგურების გარდა სხვა საშუალება არ არსებობს“, — დაასკვნა ჩემბერსმა. ჩანაწერს მერის ფოტოპორტრეტი ახლდა.

თავისთავად ცხადი იყო, რომ ლგბტ-თემის წარმომადგენლები მოითხოვდნენ ქალაქის თავის გადადგომას. ასეც მოხდა. გარკვეული დროის შემდეგ მერმა ეს ჩანაწერი გააქრო, ხოლო მას შემდეგ, რაც კრიტიკის ტალღა თავს დაატყდა, ოფიციალურად მოიხადა ბოდიში. განაცხადა, რომ მისი სიტყვები კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი და სწორად არ იყო გაგებული:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სიტყვები კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი და არ იყო მიმართული ლგბტ თემისადმი, ვიცი, რომ ვინმეს მოკვლის მოთხოვნა სწორი არ არის. გული მწყდება, რომ ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენე ჩემი ქალაქი, რომელიც ძალიან მიყვარს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ იგი საუკეთესო საცხოვრებელ ადგილად ვაქციო ყველა ოჯახისთვის. სიტყვები არ მყოფნის იმის გამოსახატავად, თუ როგორ ვნანობ ჩემი კომენტარის გამოქვეყნების გამო“.

გულდაწყვეტილია კაცი.

დავეხმაროთ ქალაქის მერს და შევურჩიოთ სიტყვები თავისი საქციელის შესაფასებლად: გაქათმებულხარ, ბატონო მარკ, ანუ ქვეშ გამოსულხარ! მხოლოდ ამ სლენგით შეიძლება შეფასდეს შენი არაკაცობა.



## კიევში გაიხსნა კაფე შიშველი ოფიციანტებით

**კიევში გახსნეს ე.წ. არტკაფე, რომელშიც კლიენტებს ემსახურებიან პრაქტიკულად შიშველი ოფიციანტი გოგონები.**

გარემო კაფეში მესამეხარისხოვანი ბორდელის დონეზეა: წითელი კედლები დამშვენებულია ბილწი შინაარსის ნახატებით, მუსიკა შესაფერისია, კერძების სახელწოდებებიც კი ამ „დაწესებულების“ საერთო თემატიკას სრულად უპასუხებს.

ჯერჯერობით დაკვეთილ კერძებს მხოლოდ შიშველი ლამაზმანები მიართმევენ კლიენტებს. მოგვიანებით კიეველებს შიშველი კაცების მომსახურებას ჰპირდებიან. კვირის გარკვეულ დღეებში კაფეში სექსოლოგებს იწვევენ. კლიენტებს მათთან თავიანთი პრობლემების განხილვა შეეძლებათ. ამ შეთავაზებით აპირებენ კაფეს პატრონები იქ არსებული გარყვნილების ატმოსფეროს გაკეთილშობილებას.



## აშშ-ში პედოფილების დაკოდვას დაიწყებენ

**ალაბამას შტატში მიიღეს კანონი, რომლის თანახმად პედოფილებს საპყრობილიდან გათავისუფლების წინ ქიმიურ კასტრაციას ჩაუტარებენ, ანუ ელემენტარულად დაკოდავენ, ოღონდ სპეციალური ქიმიური პრეპარატებით.** ამ კანონით, სექსუალური დანაშაულის ჩამდენ პირს, იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის მსხვერპლია 13 წლამდე ბავშვი, ვადამდე გათავისუფლების უფლება ექნება მხოლოდ ქიმიური კასტრაციის შემდეგ. ამასთანავე, პრეპარატებით დამუშავება დროდადრო უნდა განმეორდეს.

ქიმიური კასტრაცია ქირურგიულ კასტრაციაზე ჰუმანურ ალტერნატივად არის მიჩნეული, მაგრამ უამრავი უარყოფითი ეფექტი ახასიათებს — ინფარქტისა და ინსულტის რისკიც კი.

კასტრაციის მეთოდის გამოყენება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში 60-იან წლებში დაიწყეს. დღეს გარკვეულ შემთხვევებში იყენებენ საფრანგეთში, ბელგიაში, დანიასა და პოლონეთში, ასევე, აშშ-ის შტატებში — კალიფორნიაში, ფლორიდასა და ტეხასში, — იუწყება Newsweek.com.

# ვილნიუსში გეიაღლუმი გაიმართა

**ეს მოხდა 8 ივნისს. გეების აღლუმში 10 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, — იუწყება Delfi.**

გამოცემა აზუსტებს, რომ მეოთხე ასეთი ღონისძიება ჩატარდა ლიტვის დედაქალაქში. მსვლელობაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ლგბტ-ები, არამედ ის მოქალაქეებიც, რომლებიც ამ თემს უჭერდნენ მხარს. მათ შორის იყვნენ პოლიტიკოსებიც, რომლებმაც საჭიროდ ჩათვალეს, გვერდით დადგომოდნენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს.

**„მინდა, რომ მათ იცხოვრონ ისე, როგორც მე ვცხოვრობ — ადამიანთან, რომელიც მიყვარს“,** — ციტირებს Delfi სოციალ-დემოკრატ **გინტაუტას პალუტკასის** სიტყვებს. მან განაცხადა, რომ აღლუმზე მივიდა თავისი მეგობრებისა და ნაცნობების მიმართ სოლიდარობის გამოსახატავად.



პოლიციის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ლგბტ-თემის აღლუმმა ექსცესების გარეშე ჩაიარა. ვილნიუსის მოქალაქეებს პოლიციისთვის საჩივრით არ მიუმართავთ.

**„ბალტიისპირეთში ასეთი ღონისძიებები წელიწადში ერთხელ იმართება — ყოველწლიურად მორიგეობით ერთ რომელიმე ქვეყანაში. შარშან მსვლელობა რიგაში ჩატარდა, მონაწილეობდა 8 ათასზე მეტი ადამიანი“,** — აზუსტებს Delfi.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ამიერკავკასიაშიც გადმოვიღოთ ბალტიისპირელთა ეს ტრადიცია და ყოველ წელს ჩავატაროთ პედერასტების აღლუმები თბილისში, ბაქოში, ერევანში?

არა! მეც მანდა ვარ!

ვინმეს ჰგონია, რომ ევროკავშირსა და ნატოში მიგვიღებენ თბილისის, ბაქოსა და ერევნის თავზე ლგბტ-თემის დროშის აფრიალების გარეშე?

არა! მეც მანდა ვარ!

# ნიდერლანდებში ევთანაზიის დახმარებით კანონიერად მოკლეს მოზარდი

**ჰოლანდიაში 17 წლის ქალიშვილმა ნოა ფოტჰოვენმა, რომელიც დეპრესიაში იმყოფებოდა გაუპატიურების გამო, სასამართლო და ბიუროკრატიული გაჯანჯლების გზა იმისთვის განვლო, რომ მოეპოვებინა ევთანაზიის ნებართვა, — იუწყება ბრიტანული ტაბლოიდი The Daily Mail.**

თავის წიგნში „გავიმარჯვო თუ ვისწავლო“, რომელიც ნოამ 16 წლისამ დაწერა, მოგვითხრო, რა დიდხანს ეძებდა სიცოცხლის ძალას, მაგრამ სულ უფრო ითრგუნებოდა პოსტრავმატული სტრესული დეპრესიისგან. ბოლო წლების განმავლობაში ბევრი საავადმყოფოს, ბევრი ექიმი-ფსიქიატრის ხელში გამოიარა, მაგრამ ვერავინ და ვერაფერმა უშველა, ამიტომ გადაწყვიტა, ევთანაზიის დახმარებით განშორებოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას.

2001 წელს ნიდერლანდები გახდა მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც დააკანონა ევთანაზია. პროცედურა ნებადართულია 12 წლიდან იმ პირობით, თუ ავადმყოფი აუტანლად იტანჯება და მისი გამოჯანმრთელების შანსი თითქმის არ არის. ამასთან, 17 წლის ადამიანებისთვის პროცედურის ჩასატარებლად საჭირო არ არის მშობლების ნებართვა. სასიკვდილო ინიექციის გაკეთება შეუძლია თავად პაციენტს ან მის მკურნალ ექიმს.

გამოცემა იუწყება, რომ 2017 წელს ნიდერლანდებში იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც ევთანაზიას მიმართეს, 6585 შეადგინა, რაც ყველა გარდაცვლილის 4,4 პროცენტია.

ნიდერლანდელი ექიმები ვერ აუდიან ევთანაზიის მსურველებს, რომელთა შორის არა მხოლოდ უკურნებელი სენით დაავადებულები არიან, არამედ „სევდიანი და ცხოვრების აზრდაკარგული“ ადამიანებიც.



ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლების ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სახალხო დიპლომატიის გაძლიერებას, ხალხთა ურთიერთნდობის აღდგენას, რაც, საბოლოო ჯამში, სასურველს შედეგს გამოიღებს — აფხაზი, ოსი, ქართველი ხალხების დაახლოებას და საბოლოო მიზნის მიღწევას. მიზანი კი ნათელია: ხალხში სიკეთისა და სიყვარულის განახლება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დევნილი ადამიანების დაბრუნება თავიანთ სახლებში. ეს ყველა პრობლემა გადაწყდება სასიკეთოდ, თუ ხელისუფლება ეროვნული სულისკვეთებით იმოქმედებს.**

# ტრაგედიის გაგრძელება თუ სამართლიანი ბრძოლა გადარჩენისთვის?!

„რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია“.

*ხალხური*

„ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია“,
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა,
მერმე — სულსა“.

*შოთა რუსთაველი*

**ქართველები საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ბოროტებას და მაინც, მწარე გაკვეთილების მიუხედავად, სწორი დასკვნები ვერ გამოვიტანეთ. დღეს რა მივიღეთ? ჩვენ — ქართველები, აფხაზები და ოსები — ბოროტმა ძალამ ჩაგვითრია ძმათამკვლელ ომში; დაიღვარა სისხლი, ათასობით ადამიანი (კაცი, ქალი, ბავშვი) დაიღუპა; წაგვართვეს ჩვენი ძირძველი ტერიტორიები (აფხაზეთი და სამაჩაბლო). შედეგი უმძიმესია. წაგებული დავრჩით ყველანი: აფხაზები, ქართველები და ოსები.**



ოცდამეშვიდე წელი დადგა, რაც ქართველები, აფხაზები და ოსები ერთმანეთს გადაგვკიდეს.

ცნობილია, რომ ერები შეცდომებზე სწავლობენ.

ჩვენ — ქართველები, დღესაც იოლი სათამაშონი ვართ მტრის ხელში. ღირსეულ ცხოვრებას ლაქიაობა ვანაცვალეთ, განვუდექით ღმერთს და მივიღეთ დღევანდელი მდგომარეობა.

დღემდე მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა ამ კონფლიქტების დარეგულირების, ხალხთა დაახლოების, მათ შორის ურთიერთობების აღდგენის საქმეში, რათა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს გაუჩნდეს იმედი, ნდობა და არ ეშინოდეთ ერთმანეთთან შეხვედრისა და გულახდილი საუბრებისა. კულუარებში ერთმანეთს მშვიდობიანად ვესაუბრებით და ვუგებთ, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებში ქართულ მხარეს არ ენდობიან. ეშინიათ თუ რაღაც სხვაშია საქმე?

აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დაწყებამდე ქართველ ისტორიკოსებს, ჩვენ, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, მოვუწოდებთ: უნდა უთხრან აფხაზებს, ოსებსა და მსოფლიოს სრული სიმართლე საქართველოს ტერიტორიაზე და იქ მცხოვრები ხალხების შესახებ, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!

ჩვენ, ანუ დანარჩენი საქართველო, მათთვის „საინტერესო“ უნდა გახდეს.

**მიზანშეწონილი იქნება, რომ აფხაზი და ოსი ახალგაზრდები მოვიწვიოთ ახალი ტექნოლოგიების დასაუფლებლად, რათა მათ ერთად ჩაატარონ სამეცნიერო კვლევაძიება, ხოლო ჩვენ, უფროსმა თაობამ, აფხაზი და ოსი მეგობრების, ნათესავების მეშვეობით ხელი უნდა შევუწყოთ მათ შეხვედრებს, რათა ახალგაზრდებმა სხვადასხვა პროფესიის შესწავლა-დაუფლების მეშვეობით გაიღრმავონ ცოდნა, და არა მხოლოდ განათლების სფეროში.**

ამ პრობლემის დასაძლევად ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ კონფლიქტების მოგვარებაზე, ხელს უნდა უწყობდეს და მხარში უნდა ედგეს ხელისუფლება.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ამ ინიციატივას წინ ელობება რაღაც გაურკვეველი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, გვიჩნდება სამართლიანი ეჭვი, რომ ვიღაცას ძალიან უნდა ამ კონფლიქტის „დაკონსერვება“, გაჭიანურება, დროში გაწელვა, რათა სახალხო დიპლომატიამაც ვერ მიაღწიოს მიზანს, რომელიც აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს ჰაერივით გვჭირდება.

**ბოროტი ძალა ყველა ხერხს იყენებს, რათა არ მოხდეს ხალხთა დაახლოება. ალბათ, ამისთვისაც შეიქმნა ხალხისთვის ხელისშემშლელი „კანონები“. ერთ-ერთი იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური დახმარება არ ეწევა სახალხო დიპლომატიის ორგანიზაციებს, რის გამოც ესოდენ ჰუმანური და სასიკეთო ინიციატივა დროში ჭიანურდება. ასეთი მიდგომა ჩვენ მტრებს ძალიანაც აძლევთ ხელს და ახარებთ, ვინაიდან, ადრე თუ გვიან, აფხაზეთი და სამაჩაბლო ისევე მიჩუმათებული და საბოლოოდ დავიწყებული იქნება, როგორც ტაო-კლარჯეთი და ჩვენი სხვა ტერიტორიები.**

ასეთი ქმედება საზიანოა ყველასთვის, ვინაიდან მცირე ერების გენოციდი გრძელდება...

**აუცილებელია ხელისუფლებამ აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და შედგეს შეხვედრები ხელისუფლების ყველა დონეზე.**

ხელისუფლების მხარდაჭერის შემთხვევაში ჩვენ — სახალხო დიპლომატია — უეჭველად სერიოზულ წარმატებას მივაღწევთ. ახლა კი კაცმა არ იცის, რაში და რისთვის იფლანგება კონფლიქტების მოსაგვარებლად გამოყოფილი თანხები. ეს საკითხი დროულად უნდა მოგვარდეს.

დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს, ვინაიდან ბევრი ჩვენი ბავშვობის მეგობარი, მეზობელი, ნათესავი გადატანილი ფიზიკური, სულიერი ტრავმის წნეხის (დეპრესიის) გამო, საუბედუროდ, გარდაიცვალა. ამ პრობლემის გაჭიანურებამ დღემდე სასიკეთო არაფერი მოგვიტანა.

ამიტომ ჩვენ, აფხაზეთის მკვიდრმა (ჯერჯერობით ცოცხალმა) მოსახლეობამ, უნდა აღვადგინოთ ჩვენი ძველი ურთიერთობები ჩვენს ძმებ აფხაზებთან და ოსებთან; ერთად უნდა შევქმნათ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩვენ შორის, რომელიც ჩვენს წინაპრებს ადათ-წესად და ღირსებად ჰქონდათ მიღებული სრულიად საქართველოში.

თუ ხელისუფლებას მართლა უნდა, დაიმსახუროს ხალხის ნდობა, მაშინ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება პრობლემას, რომელიც ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს, ჩვენდა საუბედუროდ, ბოროტმა ძალამ თავს მოგვახვია.

იმ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ სათანადო მნიშვნელობის პროექტს, ხელისუფლებამ სასწრაფოდ გაუწიოს კონტროლი და დაფინანსება.

დაკვირვება იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს და რა შედეგი გამოიღო ამა თუ იმ პროექტის შესაბამისად ჩატარებულმა ღონისძიებებმა, ჩვენი აზრით, ყველანაირად გამართლებული და სამართლიანი იქნება.

**ხელისუფლების ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს სახალხო დიპლომატიის გაძლიერებას, ხალხთა ურთიერთნდობის აღდგენას, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიღებს სასურველს შედეგს — აფხაზი, ოსი, ქართველი ხალხების დაახლოებას და საბოლოო მიზნის მიღწევას. მიზანი კი ნათელია: ხალხში სიკეთისა და სიყვარულის განახლება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დევნილი ადამიანების დაბრუნება თავიანთ სახლებში. ეს ყველა პრობლემა გადაწყდება სასიკეთოდ, თუ ხელისუფლება ეროვნული სულისკვეთებით იმოქმედებს.**

სასურველი და ყველანაირად გამართლებული იქნება, რომ კონფლიქტებზე მომუშავე ორგანიზაციებს გააკონტროლებს ქვეყნის პრეზიდენტი და ასევე, თავდაცვისა და უშიშროების საბჭო, განიხილავს ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ პროექტებს და მიიღებს გადაწყვეტილებას.

**აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ჩვენ არშემდგარი სახელმწიფო ვართ.**

**ჩვენ, საქართველოს ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირი „დიოსკურია“, მოგიწოდებთ ყველას: გააქტიურდით! ეს საშვილიშვილო პრობლემა უნდა გადაიჭრას!**

**შემოგვიერთდით! ძალა ერთობაშია!**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. ამინ!**

**დავით ჭანტურია,**
**საქართველოს ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირ „დიოსკურიას“ დირექტორი, გადამდგარი პოლკოვნიკი**

**აუცილებელია, ხელისუფლებამ აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და შედგეს შეხვედრები ხელისუფლების ყველა დონეზე. ხელისუფლების მხარდაჭერის შემთხვევაში ჩვენ — სახალხო დიპლომატია — უეჭველად სერიოზულ წარმატებას მივაღწევთ. ახლა კი კაცმა არ იცის, რაში და რისთვის იფლანგება კონფლიქტების მოსაგვარებლად გამოყოფილი თანხები. ეს საკითხი დროულად უნდა მოგვარდეს**

**ბოროტი ძალა ყველა ხერხს იყენებს, რათა არ მოხდეს ხალხთა დაახლოება. ალბათ, ამისთვისაც შეიქმნა ხალხისთვის ხელისშემშლელი „კანონები“. ერთ-ერთი იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურად არ ეხმარებიან სახალხო დიპლომატიის ორგანიზაციებს, რის გამოც ესოდენ ჰუმანური და სასიკეთო ინიციატივა დროში ჭიანურდება. ასეთი მიდგომა ჩვენ მტრებს ძალიანაც აძლევთ ხელს და უხარიათ, ვინაიდან, ადრე თუ გვიან, აფხაზეთი და სამაჩაბლო ისევე მიჩუმათებული და საბოლოოდ დავიწყებული იქნება, როგორც ტაო-კლარჯეთი და ჩვენი სხვა ტერიტორიები**

**ეს კონცეფცია-პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში 190 ჭაბურღილის გაბურღვას, დამფასოებელ-ჩამოსასხმელი ქარხნით — 1-2 ან 3 ჭაბურღილი ყოველ მუნიციპალიტეტში, წყლის მარაგის მიხედვით, და ეს მოხდება 18 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში დასაქმდება 80-100 ათასი ჩვენი მოქალაქე და მათი ხელფასი იქნება 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნიკალური ეროვნული სიმდიდრე — მიწისქვეშა მტკნარი წყალი

**პატივცემულო მკითხველო, თემაზე, რომელზეც მინდა გავამახვილო ყურადღება, მრავალი წერილი დაწერილა, მაგრამ რატომღაც სათანადო ყურადღება და გამოხმაურება მათ არ მოჰყოლია.**

შესავალში მოვიშველიებ ეკონომიკურ საკითხებში ცნობილი ექსპერტის, პროფესორ რევაზ გოგოხიას სტატიიდან („სანამ ურემი ლაფში ამობრუნებულა". გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" №87, 03.05.19 წ.) ამონარიდს: **„ბუნებრივი სასმელი წყლის უზარმაზარი რესურსული პოტენციალის გამოყენება საქართველოს მსოფლიოს ერთ-ერთ მდიდარ ქვეყნად გადააქცევს, მისი გამოუყენებლობა კი ერის წინაშე ჩადენილი გამოუსწორებელი, საშინელი დანაშაული იქნება"...**

აკადემიკოსმა პაატა გიორგაძემ თანაგუნდელებთან ერთად შექმნა კონცეფცია-პროგრამა „წყალი ეროვნული სიმდიდრე", რომელიც ეფუძნება მიწისქვეშა სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობას. **ეს კონცეფცია-პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში 190 ჭაბურღილის გაბურღვას, დამფასოებელ-ჩამოსასხმელი ქარხნით — 1-2 ან 3 ჭაბურღილი ყოველ მუნიციპალიტეტში, წყლის მარაგის მიხედვით, და ეს მოხდება 18 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში დასაქმდება 80-100 ათასი ჩვენი მოქალაქე და მათი ხელფასი იქნება 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

**კონცეფცია-პროგრამის განსახორციელებლად პაატა გიორგაძეს მოძიებული ჰყავს ინვესტორი, რომელიც თანახმაა, 5 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯოს ამ საქმეში, რასაც ხელშეკრულებაზე ხელმოწერითაც ადასტურებს და წერილობით გარანტიასაც იძლევა, ნებისმიერ დროს შეხვდეს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას.**

ამ 5 მილიარდითა და ჩვენი მუშახელით დავბურღავთ ჭაბურღილებს, ავაშენებთ ქარხნებს, გზებს, ხიდებს, ბაზებს; შევიძენთ შესაბამის ტრანსპორტს; ავაშენებთ სპეციალურ პორტ-ტერმინალს; შევქმნით საჭირო ინფრასტრუქტურას და, რაც მთავარია, ეს უძრავ-მოძრავი ქონება დარჩება ხალხის, ჩვენი ძირძველი მოსახლეობის, საკუთრებაში ამ ბაზაზე შექმნილი სააქციო საზოგადოების მეშვეობით.

ინვესტორს არ აქვს უფლება, რამე შეისყიდოს უძრავ-მოძრავი ქონებიდან. ის მიიღებს ექსკლუზიურ უფლებას, ჩვენი მუშახელით ჩამოსხმულ-დაფასოებული წყალი, ჩვენივე ტრანსპორტით მიტანილი პორტამდე, შეისყიდოს და გადაიხადოს 24 ცენტი 1 ლიტრში. გაანგარიშებით ქვეყნის ყოველწლიური შემოსავალი იქნება 12 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

ამ შემოსავლებიდან პროექტის შემქმნელ მეცნიერებს გათვლილი და გათვალისწინებული აქვთ რეინვესტიციის სახით, ეტაპობრივად ყველა დარგის აღდგენა-განვითარება (ეკონომიკა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, განათლება, სულ 17 მიმართულება, განსაკუთრებით ტყეების აღდგენა-გაშენება), რომლის დასრულებისთანავე 10-11 წლის პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა 400-450 ათასს მიაღწევს და მათი საშუალო ხელფასი იქნება 4500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის მოვიყვან ამონარიდს პაატა გიორგაძის სტატიიდან („მიმართვა საქართველოს მოსახლეობას", 2019 წ. აპრილი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"):

„კონცეფცია-პროგრამის, „წყალი ეროვნული სიმდიდრე", რომელიც ეფუძნება მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობას, აღსრულების მიზნით




**კონცეფცია-პროგრამის განსახორციელებლად პაატა გიორგაძეს მოძიებული ჰყავს ინვესტორი, რომელიც თანახმაა, 5 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯოს ამ საქმეში, რასაც ხელშეკრულებაზე ხელმოწერითაც ადასტურებს და წერილობით გარანტიასაც იძლევა, ნებისმიერ დროს შეხვდეს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას**

იწყება საყოველთაო სახალხო მოძრაობა, რომლისთვისაც საჭიროა მოსახლეობის მხარდაჭერა, რომ უმოკლეს დროში აშენდეს საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრია.

**სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის" დამფუძნებლები მოგმართავთ საქართველოს მოსახლეობას, მხარი დაუჭირეთ ინდუსტრიულ მშენებლობას და მის განვითარებას, რომლის დასრულებისთანავე, 18 თვეში თითოეული თქვენგანი გახდება სააქციო საზოგადოების წევრი და უფასოდ გადმოგეცემათ 455 ათასი აშშ დოლარის მატერიალური ღირებულების 1 აქცია. თქვენი ხელმოწერით დაადასტურეთ, რომ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე — მიწისქვეშა წყლის ბუნებრივი რესურსები, ანუ ჩვენი ქონება დარჩეს მხოლოდ ჩვენს საკუთრებაში, სახალხო სარგებლობის უფლებით. მშენებლობის დასრულების შემდეგ, მე-9 წლიდან, საქართველოს თითოეული მოქალაქე მიიღებს ყოველწლიურ შემოსავალს დივიდენდების სახით, რომლის მოცულობა მომდევნო X-XI წელს მიაღწევს 4550 აშშ დოლარიდან 6825 აშშ დოლარამდე 1 აქციის ღირებულებიდან 1-1,5%-ის გაანგარიშებით, ხოლო 11 წლის შემდეგ,** განვლილ მეორე 10 წლიან პერიოდში დივიდენდების ყოველწლიურად 1%-ით ზრდის პირობებში, ანუ 10-15%-ის გაანგარიშებით, შემოსავლების სახით საქართველოს თითოეული მოქალაქე მიიღებს, სულ ცოტა, 45 000 აშშ დოლარიდან 68 250 აშშ დოლარამდე ყოველწლიურ შემოსავალს. დივიდენდები შემდგომში მზარდია. იგივე უფლებებით ისარგებლებს ჩვენი ქვეყნის ყოველი ახალშობილი ბავშვი".

პატივცემულო მკითხველო, ოდესმე ვინმეს შემოუთავაზებია მსგავსი რამ ჩვენი ხალხისთვის? მე ასეთი რამ არ მახსოვს.

გამოვიყენებ კიდევ ერთი სტატიიდან (არმაზ სანებლიძის სტატია გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" №72, აპრილი, 2019 წ.) ლეგენდარული მოჭიდავის — რომან რურუას სიტყვებს: **„ჩვენი მიზანია, როგორმე „მე" წყლის სარგებლობის მიმართ შევცვალოთ „ჩვენით", მაშინ ამ რეალობას ვერავინ შეუშლის ხელს, რაც შეგვაძლებინებს, ვიცხოვროთ მშვიდობიანად. სხვა შემთხვევაში გაჩნდებიან „ისინი",სადაც ჩვენ ყველაფერს ვკარგავთ"...**

ეს რომ არ მოხდეს, უნდა დავუჭიროთ მხარი ამ პროექტს, რაც ხელმოწერით უნდა დავადასტუროთ.

**არდალიონ ხააძე**

# აბლიაზოვს «ღირსება აჰყარეს»

**საქართველოსა და ყაზახეთს შორის ურთიერთობების გაღრმავება 2005 წლიდან იწყება, როდესაც ნურსულთან ნაზარბაევი თბილისში ჩამოვიდა. 14 წლის განმავლობაში ყაზახეთმა საქართველოში ინვესტიციების სახით ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში თითქმის მილიარდი დოლარი დააბანდა.**

ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც დიდძალი ფული ავანტიურისტებსა და ულირს ადამიანებს იზიდავს. ინვესტიციებთან ერთად, 2000-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში კრიმინალური წარსულის მქონე, იმ მომენტისთვის სამშობლოში უკვე ნასამართლევი **მუხტარ აბლიაზოვი** გამოჩნდა.

ამ ავანტიურისტმა და მაქინატორმა დიდძალი ფული დახარჯა, რათა საქართველოში კარგი კავშირები გაეჩინა და მოიპოვა კიდეც პრეზიდენტ **სააკაშვილის** კეთილგანწყობა. აბლიაზოვმა საქართველოს იმჟამინელი პრეზიდენტისაგან მიიღო „ღირსების ორდენი" და ქვეყნის საპატიო მოქალაქეობა. ამ გზით მან გაამყარა ბანკ „თურან ალემის" პოზიციები საქართველოში, მაგრამ საქმე ლაპარაკს იქით არ წასულა. აბლიაზოვის აფერებმა ყველას თავი მოაბეზრა, პირველ რიგში, ყაზახეთში. საბოლოო ჯამში, 2009 წელს მოხდა ბანკ „თურან ალემის" ნაციონალიზაცია და მას დაერქვა BTA-ბანკი, ხოლო ბანკის ხელმძღვანელობას ჩამოშორებული აბლიაზოვი მალე საზღვარგარეთ გაიქცა.

განსხვავებით 2000-იანი წლებისაგან, როდესაც დაპატიმრებულ აბლიაზოვს საერთაშორისო უფლებადამცავი ორგანიზაციები გადაეფარნენ, დაიჯერეს რა აბლიაზოვისვე შეთითხნილი ყალბი ცნობები, რომ იგი პოლიტიკური მოტივით იდევნებოდა, 2009 წლისთვის ყველაფერი უფრო ნათელი იყო. აბლიაზოვმა მიითვისა და საზღვარგარეთ უკანონოდ გაიტანა ყაზახი ხალხის კუთვნილი 6 მილიარდი დოლარი. მან თანამზრახველებთან ერთად შექმნა მოტყუების სქემები , რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ბანკის კუთვნილი უზარმაზარი თანხების მითვისება. მაგალითად, ბანკი გასცემდა კრედიტებს მიწის ნაკვეთების გირაოს საფუძველზე; შემდეგ ეტაპზე აბლიაზოვი წყვეტდა ხელშეკრულების მოქმედებას, ფული ქრებოდა, ხოლო გირაო ხელუხლებელი რჩებოდა.

ლონდონში გაქცეული ექსბანკირი იქაც თაღლითობაში იქნა ბრალდებული. **2012 წლის თებერვალში ლონდონის უმაღლესმა სასამართლომ აბლიაზოვს მიუსაჯა პატიმრობა 22 თვით, სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო (სასამართლოს თავისი საბანკო ანგარიშების შესახებ არასწორი მონაცემები მიაწოდა), მაგრამ აბლიაზოვმა მოასწრო დიდი ბრიტანეთიდან საფრანგეთში გაქცევა.**

დიდ ბრიტანეთსა და ყაზახეთს გარდა, აბლიაზოვზე ძებნა გამოცხადებულია რუსეთსა და უკრაინაში. ყველაფერთან ერთად, აბლიაზოვს ყაზახეთში დაუსწრებლად აქვს მისჯილი სამუდამო პატიმრობა. მიზეზი: „თურან ალემში" თავისი ბიზნეს-პარტნიორ **ერჟან ტატიშევის** მკვლელობის ორგანიზება. მისი ბრალი, უკვე დიდი ხანია, დამტკიცებულია.

აი ასეთი ავანტიურისტი და ნაძირალა შეიფარა საქართველომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. ეს მიუტევებელი შეცდომა საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც იქნა, გამოასწორა. ინტერნეტში გამოჩნდა 2019 წლის 13 მაისით დათარიღებული დოკუმენტი, რომელსაც ხელს საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი აწერენ.


საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
N 13/05/01 2019 წლის 13 მაისი ქ. თბილისი

მუხთარ აბლიაზოვისათვის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევის შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ" საქართველოს კანონის 5[1] მუხლის შესაბამისად, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეს მუხთარ აბლიაზოვს ჩამოერთვას საქართველოს სახელმწიფო ჯილდო - ღირსების ორდენი.

სალომე ზურაბიშვილი

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

ამ დოკუმენტის მიხედვით, აბლიაზოვს ჩამოერთვა ღირსების ორდენი. ყაზახმა ჟურნალისტებმა ხუმრობით დაწერეს კიდეც, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აბლიაზოვს „ღირსება აჰყარო".

მაშ ასე, სამართლიანობამ იზეიმა, საქართველოს არ სჭირდება საეჭვო „ინვესტორები".

**გულბაათ რცხილაძე**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „კარგის გასაგონებლად კაცი მომზადებული უნდა იყვეს, გონება უნდა ჰქონდეს გახსნილი, განათლებული, თორემა ბნელის გონებით ბნელაში კაცი რას დაინახავს?“

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ილია ჭავჭავაძე: საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და, საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია

ილია ჭავჭავაძის ნაშრომები წინასწარმეტყველურია. როცა მის პუბლიცისტურ წერილებს ვკითხულობთ, თვალწინ გვიდგას დღევანდელობა — თითქოს სარკეში საკუთარ თავს ვხედავთ, რადგან „საჯილდაო ქვა“ ვიყავით და ისევ ვართ; ჩრდილოეთისკენ გვექაჩებიან, თან დასავლეთისკენ ვიწევით, მთავარი კი გვავიწყდება, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ და არ ვიყოთ ვინმესგან მართული.

ილიას პუბლიცისტიკა ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური იმის გამო გახდა, რომ მკითხველი მასში საკუთარ თავს ცნობს. „განათლება ჩვენში ფეხმძიმედ დადისო“, — ილიას ეს ფრაზა დღევანდელ საქართველოს უფრო შეჰფერის, ვიდრე ილიას ეპოქას, რადგან მაშინ საქართველოს ჰყავდა ბუმბერაზი ადამიანები თერგდალეულთა სახით, რომელთათვისაც სამშობლო იყო უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავი და არა საკუთარი კარიერა. ჩვენს გაზეთში არა ერთხელ დაიბეჭდა წერილები იმის თაობაზე, თუ რა უანგაროდ ემსახურებოდნენ ისინი მამულს, რა ფასდაუდებელი ღვაწლი და ამაგი ჩადეს ქართული საქმეების კეთებაში, იქნებოდა ეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართული უნივერსიტეტის გახსნა, ბანკის დაარსება თუ მრავალი სხვა.

წლებია, საქართველო პოლიტიკური პარტიების ბრძოლის ველია მხოლოდ. ამის გამო ვერც ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება, ვერც სოფელი დადგა ფეხზე და ვერც ქალაქმა იხეირა; მეტიც — საქართველოში გაიზარდა არაქართველი მოსახლეობის წილი და მოგვიმრავლდნენ „საშოვარზე გადაგებული“, ოჯახის გამოსაკვებად უცხოეთში გადახვეწილი ემიგრანტები. ამ ფონზე პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება რომ ხეირს არ დააყრის ქვეყანას, ფაქტია. და ეს ფაქტიც ხელის გულზე დაგვიდო ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა, როდესაც მთელი რიგი აკრძალვებისა დააწესა ჩვენ წინააღმდეგ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვი მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის ფარგლებში საქართველოს პარლამენტში მივიდა სხვა დელეგატებთან ერთად და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა.

აღნიშნულს მოჰყვა მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც შესანიშნავად გამოიყენეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და მათმა განაყოფმა ოპოზიციურმა პარტიებმა, შედეგად საპროტესტო აქცია არეულობაში გადაიზარდა. ასე იმიტომ მოხდა, რომ ჩვენში განათლება, როგორც დიდი ილია იტყოდა, „ასკინკილობს“; ხოლო „საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს უნდა დღე-და-ღამ გუნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითოეულად ცალკე ყოველის ჩვენის შეძლებითა და ღონითა“.

ახლა კი ისევ ილიას მოვუსმინოთ, რას ამბობს ქართველი ერის გონებრივ განვითარებასა და ზნეობრივ განწმენდაზე, რომელიც ძალიან გვჭირდება დღეს.



## „განათლება ჩვენში ფეხმძიმედ დადის“

* „ყველამ კარგად იცის, რომ განათლება ფეხმძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილობს“ *(„კაცია ადამიანი?!“ 1858-63 წ.).*

* „არახალხში, რომელიც კი განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა, მიიბარებდნენ შეგირდებს და ამ-რიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად ამოვარდნას უშლიდნენ“. *(„შინაურიმიმოხილვა“. 1879 წ. აპრილი).*

* „ეხლანდელს დროში დედაკაცები ისე-რიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისათვის ხელი, მართალია, ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გაიხსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ასი მეტი უშკოლო მოდის“. „ჩვენშუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან“. *(„ოთარაანთქვრივი“. [1886] – 6 ქრისტეშობისთთვეს 1887 წელსა).*

* „განათლება იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მიწასთან გავასწოროთ კაცი, რატომ შენც განათლებული არა ხარო; არამედ, როგორც ძმას, რომელსაც არა ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ. აი, კაცი განათლებული, მარგებელი ქვეყნისა, აი ამგვარ კაცის წინ მოვიდრეკ თავსა და თაყვანსა ვცემ“. *(„ზოგიერთი ხანა მოთხრობისა „მარგალიტი ლექში“. 1861-1863 წ.).*

* „რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონეთ მარტო ცოდნა და განათლებაა. არა ღონე არ ექნება გაუნათლებელს კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენში ან სულ არ არიან ამისთანა კაცნი, და თუ არიან, ძალიან ცოტა“. *(„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. 1861-1863 წ.).*

* „— ეგ ცხადია. — უნივერსიტეტში ნამყოფი კი ბევრი ხართ. — ეგ რაზედ მიბძანეთ?
— იმაზედ, რომ თუ ჩვენში მცოდნენი და განათლებულნი ცოტანი არიან ან სულ არ არიან, მაშ უნივერსიტეტში რას აკეთებდით მაგდენი ხალხი?
— იმას ვაკეთებდით, რომ შინაურობაში წამხდარი გული და ზნეობა ჩვენი ცოტად თუ ბევრად გავისწორეთ, გადავიკეთეთ. ჩვენ ვჯობივართ ჩვენზედ ცუდებს, ეს არის ჩვენი სახელი.
— შორს არ წასულხართ.
— ცოტათი მაინც ხომ წავედით წინ, თქვენ კი უკან და უკან მიდიხართ.
— ვინ ჩვენ?
— ქალები, ესე იგი მთელი ნახევარი საქართველოსი. — უნივერსიტეტი ჩვენთვის დახურულია.
— გააღეთ კარები და შედით.
— მოუმზადებელნი?
— მოემზადენით.
— რომ არ გვამზადებთ?
— კიდეც ეგა, რომ თქვენ სულ მზა-მზაობა გინდათ. თქვენ ვერსა კარგს ვერა იქთ, თუ ძიძაობის შველაზედ ხელს არ აიღებთ. იბრძოლეთ და წაიღეთ. თორემ დაგიკრეფიათ ხელები და შესცქერით: აცა, კარს გაგვიღებენო და ჩვენც დავინახავთო მზიან ქვეყანასაო“. *(„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. 1861-1863 წ.).*

## „ჯერ-ხანად უკურნებელი და ძალიან მწვავე ტკივილიც“

* „ჩვენი ჯერ-ხანად უკურნებელი ტკივილი და ძალიან მწვავე ტკივილიც ის არის, რომ ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის, რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება შესცვალონ და გაასწორონ. ნაკლულევანება ამ მოწყობილობისა ხშირად და ვრცლად ყოფილა ნაჩვენები აქაურ მწერლობაში, მაგრამ მითამ კედელზედ ცერცვი შეგიყრია, არავის ყურიც არ გაუბერტყნია. ან რად უნდოდათ, რომ ყური გაებერტყნათ? სწავლა-განათლების საქმე განა იმისთანა დიდი რამ არის, რომ ამისათვის თავი გაიცხელონ, ვისიც ჯერ არს. იქნებიან ერთი ათი-თხუთმეტი წელიწადი, მერე იტყვიან: „უკაცრავად, თქვენთან დანაშაული მაქვსო“, დაჰკრავენ ფეხსა და წავლენ. ვინ არის პატრონი? ვინ არის გამჩხრეკი? ერთი შიგ ჩახედონ აქაურ პედაგოგებს გულში გამჭრიახის თვალით და ნახონ, რა ღვარძლი აქვთ იმისთანა, რომ ესე ხანგრძლივ და შეუბრალებლად გესლავენ ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს. ერთი იკითხონ, სწავლა-განათლების მეტს სხვას რას ეძებენ და რათ ეძებენ ჩვენებური პედაგოგები? რას იზამ? გამკითხველი ვინ არის? არიან და ფარფაშობენ“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. ივლისი).*

* „აქაურის სწავლა-განათლების მზრუნველის 1880 წლის ანგარიში რომ გადაათვალიეროთ, ნახავთ, რომ **სწავლა-განათლება ჩვენში ტაატით მიდის და გულ-აცრუებით საზოგადოდ და ქართველობისათვის საკუთრივ;** ნახავთ, რომ აქ, ჩვენში,, სწავლა-განათლებას ყველანი ნაკლებად ეწაფებიან და ქართველები ხომ ნაკლებ და ნაკლებ“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. ივლისი).*

* „რას უნდა მივაწეროთ ესრეთი მცირედობა მოსწავლეთა რიცხვისა საზოგადოდ და ქართველებისა საკუთრივ? აქ მიზეზი ორ-გვარია: ერთი საზოგადოა, მეორე საკუთრივ ქართველობას შეეხება. საზოგადო მიზეზს შეადგენს სასწავლებლის პროგრამების უთავ-ბოლობა და უმსგავსობა, იმიტომ რომ ეს პროგრამები არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშვის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული. თვითონ სასწავლებელი ცოტანი არიან, და რაც არიან — ისიც ერთ ალაგს, ქალაქებში ჯგუფად თავმოყრილნი და არა გაფანტულნი და მორიგებულნი საჭიროებისამებრ სხვადასხვა ადგილას, ასე რომ მწყურვალნი ვერ მისწვდომიან. გარდა მაგისა, სწავლა-განათლების საქმისათვის მეტად ცოტა ფულია ერთობ დანიშნული“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. ივლისი).*

* „საკუთრივ ქართველების საქმეს კი სხვა მიზეზიც აბრკოლებს. პირველი მიზეზი ის არის, რომ ქართველები უფრო სოფლად მცხოვრებნი არიან, სასწავლებლები კი ქალაქებშია, მაშასადამე სასწავლებელზედ ქართველები შორს არიან და მოკლებულნიც ღონისძიებას შვილების განათლებისა. რუსები — როგორც მოხელეობის მქონენი და სომხები — როგორც ვაჭრები, სულ სხვა ყოფაში არიან ამ მხრით. ესენი სულ თითქმის ქალაქებში ცხოვრობენ, ესე იგი სასწავლებელზედ ახლო, ამიტომაც ეადვილებათ შვილების აღზრდა და შენახვა. მეორე მიზეზი, რომ სომხების და სხვა რჯულის ხალხნი ქართველებზედ მეტნი სწავლობენ, ის არის, რომ სწავლა-განათლების საქმეს დიდ ხელს უწყობენ სომხისა თუ სხვა რჯულის ხალხის სამღვდელოება“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. ივლისი).*

* „თუ გინდათ, რომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე ადამიანს ჩაუვარდეს ხელში, ხვეწნას და ღრეჭას თავი დაანებეთ და მეცნიერების ფარ-ხმალით შემოსეთ აქაურობა“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. სექტემბერი).*

* „საერო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს, რომ განათლებამ მართლა ფეხი გაიდგას და მოიკიდოს ჩვენში. ეყო აქაურობას ამოდენა ჭმუჭვნა, აქეთ-იქით ქანება, წაჯექ-უკუჯექობა. **დროა განათლების საქმეს მთელის ქვეყნიერებისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაყენებული ქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ არ შეურიოს და წმინდა რამ არ აამღვრიოს“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* „წელს გამოცხადებული იყო, რომ კლასიკურს გიმნაზიაში ოც-და-ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაასრულა კურსი. ამ ოც-და-ერთში, ჩვენდა სამწუხაროდ, და უკეთ ვსთქვათ, საუბედუროდ, არც ერთი ქართველი არ ურევია. ბევრი რამ არის საოცარი ამ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმაზედ საოცარი, რომ შუაგულს საქართველოში წელიწადები გადის და ერთი ქართველი არ ასრულებს კურსსა, ამაზედ საოცარი-მეთქი არა მგონია სხვა რამ იყოს“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. მაისი-ივნისი).*

* „რას უნდა მივაწეროთ ამისთანა უნუგეშო ამბავი? ჩვენი კეთილის-მყოფელნი, რასაკვირველია, ადვილად მოგვიგებენ ამის პასუხს და იტყვიან, — **თქვენს უნიჭობას თუ არა, ზარმაცობას ხომ წინ არა უდგა რაო.** ეს პასუხი მთქმელისათვის იქნება სანუკვარიც იყოს, მაგრამ მართალია თუ არა, მაგისი კი ნურას უკაცრაოდ... ჩვენს ქართველს ყმაწვილს დიდი ხარიხი ხვდება სწავლის მიმდინარეობაში. ჯერ თითონ პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ თავისის ლათინურით და ბერძნული, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრისქექა. თუნდა მორს მძიმე ტვირთს აუვიდეს კიდეც ჩვენი ყმაწვილი, მაინც კიდევ ერთი სხვა მძიმე ტვირთი აწევს კისერზედ. ჩვენი ქართველი ყმაწვილი ორ-გვარს სიძნელეს შეეხლება ხოლმე გიმნაზიაში. ერთი — საგნის, მეცნიერების სწავლას, რომელიც ერთნაირად მძიმე რამ არის ყველასათვის და აუცილე- ▶

# „ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის, რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება შესცვალონ და გაასწორონ“.

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ასეთი აღფრთოვანებული, გაბრწყინებული სახეებით რომ მოითხოვენ უსამართლოდ დაშავებულთა გათავისუფლებას, ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ტყვიებით ხალხის დასახიჩრებისთვის შს მინისტრის გადადგომას, ეს ახალგაზრდები ან ავად არიან, ან მთლად უარესი — ჩვენში განათლება მართლაც „ასკინკილობს“!

◀ბელიც და მეორე — იმ უცხო ენის შეთვისებას, რომლის საშუალებითაც საგნებს ასწავლიან. ამაში-კი ტვირთი სწავლისა ერთნაირად მძიმე არ არის რუსისა და ქართველს შორის. რაღა საკვირველი უნდა იყოს ამას იქით, რომ რუსმა უფრო ადვილად გაიაროს სწავლისგზა, ვიდრე ქართველმა! რუსი მარტო საგნებსა სწავლობს და ქართველი-კი საგნებსაც და რუსულ ენასაც, ურომლისოდაც ერთს ბიჯსაც წინ არ წაადგმევინებენ, თუნდა ჰუმბოლტის მეცნიერებით აღსავსე იყოს“. *(„შინაური მიმოხილვა“ 1879 წ. მაისი-ივნისი).*

* „რაც შეძლებული სომხობაა, სულ ქალაქში მცხოვრებელია, მაშასადამე, გიმნაზია კარ-წინა აქვთ. ამასთან შემძლებელნიც არიან, როგორცა ვსთქვით. ამათგანმა რომ ორიოდემ შეასრულოს ხოლმე კურსი წელიწადში, არარაობად უნდა ჩაითვლებოდეს. ათასში და ათი-ათასში ერთი განა მაგალითად მოსატანია ამ შემთხვევაში! მინამ ჩვენი გიმნაზიები შრომას და ჯაფას არ გაუთანასწორებენ ქართველს, სომეხს და რუსს, იმ დრომდე ძნელად საფიქრებელია, რომ ქართველებმა და სომხებმა წააჭარბონ რუსებს გიმნაზიაში“ *(„შინაურიმიმოხილვა“. 1879 წ. მაისი-ივნისი).*

* „მინამ ის სანატრელი დრო მოვა, არც ჩვენ უნდა ვისხდეთ გულხელ-დაკრეფილნი; **კაცი ის არის, ვინც გაჭირვებაშიც ცდილობს, რომ სიმძიმე გარემოებისა როგორმე შეიმსუბუქოს, ან აქეთ მოუაროს საქმეს, ან იქით და როგორმე უშველოს თავსა.** აბა, მაგალითად, **ჩვენ როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს? პირველი, რომ ჩვენი საკუთარი სასწავლებელნი უნდა ვიქონიოთ, მერე იმისთანა სასწავლებელნი, რომ ჩვენს შვილებს ბინაც ჰქონდესთ, საზოგადოებაც და სწავლაც. ყველაზედ უპირველესი წამალი ეს არის და ამაზედ უნდა მიექცეს ყოველივე ჩვენი ყურადღება, მეცადინეობა და გამრჯელობა.** სხვის მაყურებელი მოკვდა უზიარებელიო, ნათქვამია. ეს წუთის-სოფელი ისეა მოწყობილი, რომ ყველა თავისთვისა ჰფიქრობს და სხვა, რასაკვირველია, თავისათვის უფრო იფიქრებს. „თავად-აზნაურთა საზოგადოებამ შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ თავისი სკოლა გახსნა ტფილისში, და იქ ოც-და-ათს ყმაწვილს ბინა, საზრდოება და პირველ-დაწყებითი სწავლა ეძლევა; ორმოც-და-ათამდე მოარული შეგირდებიცა ჰყავს. ქუთაისელებიც, ბანკის ფულის შემწეობით, აპირობენ ამ-გვარის სკოლის გახსნას და ჯერ-ხანად რვაასი თუმანი აქვსთ ამ საგანზედ. ტფილისის სკოლას კიდევ აქაურმა ბანკმა შესწირა ათას-ასი თუმანი წელს და ხუთასამდე შარშან. ეს ყველა კარგია, მაგრამ ყველა ეგ ცოტაა. ეგ სკოლები წყლულს ვერ გაგვიმთელებენ, თუმცა ეგენიც დიდი საქმეა ჩვენთვის. ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა. ჩვენმა ქართველობამ თავისი სრული თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ამაზედ უნდა მიაქციოს, თუ არ სურს, რომ მისი სახელი და კვალი მტვერსავით აიგავოს დედამიწის ზურგიდამ. **საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს უნდა დღე-და-ღამ გუნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითოეულად ცალკე ყოველის ჩვენის შეძლებითა და ღონითა“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. მაისი-ივნისი).*

* „ამბობენ, გიმნაზიის შენახვას ორი-ათას-ხუთას თუმნიდამ სამი-ათასამდე მოუნდებაო წელიწადში. ეს იმოდენა ფული არ არის, რომ ჩვენს ბანკს გაუჭირდეს ამისი გამოღება, ზოგი გარეშე შესაწირავი იქნება, ზოგი თითონ გიმნაზიას ექნებაშემოსავლად და ამ სახით საქმე საქმეზე ადვილად მოეწყობა. **ქართველობავ, დამიჯერე, რომ ჯერხანად ამაზედ უკეთესს საქმეს ვერ მოახმარებ შენს ქონებითს ძალასა. ამისათვის გაისარჯე, თუ გინდა მამა-პაპათა ნათქვამისამებრ შვილი მამასა სჯობდეს და მომავალი — აწმყოს.** დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ“ *(„შინაურიმიმოხილვა“. 1879 წ. მაისი-ივნისი)*

## სკოლა – უსწავლელობის წამალი

* „საქართველოსა ჰქონდა ერთი დროება, თამარ-დედოფლის დროსა. მხოლოდ იმან გახსნა საბერძნეთის გზა და ამ გზაზე გამოიარეს მშვიდობიანად იმ მსწავლულმა ხალხმა, რომლების სახელებიც ეხლა ჩვენ ვიცით. მათგანი ერთი უპირველესი მანათობელი არის შოთა რუსთაველი. ჩვენა გვაქვს ცოტაოდენი ცნობა ზოგიერთ თხზულებაებიდგანა, რომა იმ თამარ-მეფის საუკუნეში ქართველებს სულაც არა სძინებიათ: ისინი მაშინვე დიდი სიყვარულით შეუდგნენ სწავლასა: და ჩვენ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომა იმ დროებიდამ აქამომდე რომ არ შეწყვეტილიყო ახალი და წყობილი სწავლა, ამ ექვს საუკუნეში იქნება საქართველოში ყოფილიყო ისეთი განვრცელებული სწავლა და ხელოვნება, რომა ემჯობინებია იმ ხალხის სწავლისათვის, რომელნიც ეხლა არიან განთქმულნი. მაგრამ თამარ-დედოფლის მიცვალების შემდგომ ლანგ-თემურმა და სხვა მრავალმა მაჰმადიანებმა ააოხრეს საქართველო და ამგვარად გაჰქრა საქართველოს ლიტერატურა თავისსავე დასაწყისში“ *(„სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).*

* **„ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის ულონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა, — უმეცრება და უსწავლელობაა.** ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის-მეთქი, სხვათაშორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწავლებელია“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. სექტემბერი).*

* „სკოლა იმისთანა რამ არის, რომ თუ ერთგან ფეხი მოიკიდა, არამცთუ რიცხვით იკლებს დროთა მიმავლობაში, არამედ იბღარტებს ხოლმე“ *(„შინაური მიმოხილვა“ 1879 წ. მაისი-ივნისი).*

* „სკოლა, სასწავლებელი, ორ-პირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდი სიკეთისაც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. სექტემბერი).*

* „მეცნიერნი ბრალსა სდებენ ეხლანდელს სკოლას, უკიჟინებენ, რომ თავის დანიშნულებას არ ასრულებსო... სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში. წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს — სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზედა სწავლა-კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“ *(„პედაგოგის საფუძვლები“. 1888 წ.).*

* „მეორე სახსარი სწავლაცოდნის მოფენისა, რასაკვირველია, ჟურნალ-გაზეთობაა“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. სექტემბერი).*

* „გუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთი-ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწის-მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, — სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. ნოემბერი).*

* „კარგის გასაგონებლად კაცი მომზადებული უნდა იყვეს, გონება უნდა ჰქონდეს გახსნილი, განათლებული, თორემა ბნელის გონებით ბნელაში კაცი რას დაინახავს“ *(„სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. 1861 წ.).*

* „ერთი უდიდესი ნაკლულოვანება ის არის, რომ ეხლანდელს სკოლას აზრადა აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლაცდონა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვნასკი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთის დიდის საწყაოთი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივძლიობით ასდის, სულით და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, ულონო და ჯან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ. ამ-სახით, ეხლანდელი სკოლა მიმართულია მარტო გონების აღტაცებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამც-თუ ჰშველის, არამედ სჩაგრავს და ჰხუთავს“ *(„პედაგოგიის საფუძვლები“. 1888 წ.).*

* „დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველმხრით: გონებით, ზნე ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს. ეს დედა-აზრი, რომელსაც ეხლანდელნი მეცნიერნი ჰლამობენ დაუდვან სკოლას, ახალი ამბავი არ არის. მაგ დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალსაუკუნოებში მოიპოვება, სახელდობრ, ეგრეთ-წოდებულ „განახლების ეპოქაში“, როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძღვრებამა. „ახალის საპედაგოგიო სისტემა სკოლის საფუძვლად სდებდა ოთხს დედა-აზრსა: ა) საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქმნას ყოველნი ძალნი და ნიჭნი ადამიანისა, როგორც გონებითნი, ისე ზნეობითნი, როგორც სულიერნი, ისე ხორციელნი. ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი. გ) რადგანაც ბავშის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად აღმბეჭდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადაუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრი მოიპოვებიან ძველს დროში. დ) სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალთა მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერებათა სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც ადამიანს გონებითად თავისუფალ ჰხდის. მას მოსდევს მეცნიერება მჭევრმეტყველებისა, რომელიც ასწავლის კაცს აზრის ნათლადა და ლამაზად გამოთქმას. მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველმისას, რაც არსებობს, და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლას და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს“ *(„პედაგოგიის საფუძვლები. 1888 წ.).*

* „ერთი დიდი უპირატესობა ეხლანდელის სკოლისა ის არის, რომ იგი მარტო დიდკაცთათვის აღარ არის და საყოველთაოა, როგორც დიდისა, ისე პატარასათვის, როგროც მდიდრისა, ისეც ღარიბისათვის. არც იმასა აქვს ეჭვი, რომ ეხლანდელს სკოლაში თითონ ხერხის წავლებისა ბევრად უკეთესია უწინდელზედ, მაგრამ ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩამორჩომილია უწინდელზედ. დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვაგონების გარდა, გულიც აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა. ამ მხრით ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა“ *(„პედაგოგიის საფუძვლები“. 1888 წ.)*

**«რას უნდა მივაწეროთ ესრეთი მცირედობა მოსწავლეთა რიცხვისა საზოგადოდ და ქართველებისა საკუთრივ? აქ მიზეზი ორ-გვარია: ერთი საზოგადოა, მეორე საკუთრივ ქართველობას შეეხება. საზოგადო მიზეზს შეადგენს სასწავლებლის პროგრამების უთავ-ბოლოება და უმსგავსობა, იმიტომ რომ ეს პროგრამები არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშვის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული»**

კოლეგა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი ხათუნა დონდუასადმი მიძღვნილი წიგნის („უკვდავება“) შესავალში წერს: „უკვდავია ერი, რომელსაც ასეთი ახალგაზრდები ჰყავს, ადრეულ ასაკში რომ იპყრობენ გარშემომყოფთა ყურადღებას თავიანთი საქმიანობით, დახვეწილი პროფესიონალიზმითა და თავაზიანობით. ისინი მზად არიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ხათუნა დონდუამ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ყველაფერი მოასწრო: კარგ პროფესიონალადაც ჩამოყალიბდა და ლამაზი ოჯახიც შექმნა. ძალიან დასანანია, რომ ასეთი ღირსეული პიროვნებები უდროოდ აღასრულებენ სიცოცხლეს“.**

# «ვიდრე დრო გვაქვს, სიკეთე მოვიმოქმედოთ»

**არც რამ საიუბილეო თარიღი, არც რამ მოვლენასთან დაკავშირებული საინფორმაციო მიზეზი: ჩემი ბიბლიოთეკის „გეგმური რევიზიის“ დროს ხელში მომხვდა ენციკლოპედიური გამოცემა „ოქროს ფრთის“ ლაურეატები“, შესანიშნავი წიგნი, რომლის იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორია ეთერ ჯიშკარიანი, ჟურნალისტულ წრეებში კარგად ცნობილი კოლეგა, შესანიშნავი ორგანიზატორი და უშურველი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტთა ჯილდოს (მგონი, ერთადერთის) — „ოქროს ფრთის“ დამაარსებელი.**


ეთერ ჯიშკარიანი



ეს წიგნი ღირსეული საჩუქარია ოქროსფრთოსნებისთვის

## სიყვარული, სულგრძელობა, ერთგულება სულის ნაყოფია

„ოქროს ფრთა“, როგორც ქალბატონი ეთერი ამბობს, „მცირედი პატივდებაა ადამიანებისთვის, რომელიც მათ სულებს ათბობს. სულიერი სტიმული დღეს ისე სჭირდებათ ჟურნალისტებსა და ქველმოქმედ ადამიანებს, როგორც, შესაძლოა, არასოდეს. ცხოვრება ხანმოკლეა და მუდმივ მოლოდინში მიედინება“.

დროის მიმდინარეობისთვის ერთგვარად ფეხის აწყობა 16 წლის წინათ დაარსებული ამ საერთაშორისო ფონდისა და ჯილდოს ავტორისთვის ინტერვიუს ჩამორთმევით ვცადე.

რა თქმა უნდა, იუარა.

უპირველესი მიზეზი:

— რაც უფრო მეტად გადავყევი ჟურნალისტებს, მით უფრო დიდი კრიტიკა დავიმსახურე. თქმაც კი მიჭირს, რამდენი სიძნელის გადალახვა მიხდებოდა, ღირსეული კოლეგები რომ დამეჯილდოვებინა, სამაგიეროდ მსურველები საათობით მესხდნენ, დაწერდნენ რამეს, მომიტანდნენ და ჩამჩიჩინებდნენ: დამაჯილდოვე და დამაჯილდოვეო. ზოგი ჟიურიში შეყვანას მთხოვდა და ა.შ., მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

არ იკადრა, რაც ზნეობის მაღალი დონის მაჩვენებელია.

მაგრამ „ფრთის“ ისტორიას ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი დააკლდებოდა, თუნდაც — უარყოფითი, ეს სიძნელეები რომ მიგვეჩუმათებინა.

გავიკითხ-გამოვიკითხე და, რაც სანდო წყაროებიდან გავიგე, იმ მასივიდან მხოლოდ ორ ფაქტს მივაწვდი ჩვენი გაზეთის განათლებულ მკითხველებს, რომლებსაც ისედაც თავი მობეზრებული აქვთ ყოველდღიური ტყუილ-მართლის მოსმენით...

ქალბატონი ეთერ ჯიშკარიანი ერთგან წერს: **„საქართველოს ხსნა, ილია ჭავჭავაძის აზრით, არის ის, რომ მისი მოძრაობა დაემთხვეს მსოფლიოს განვითარების გზას, რომ ქართველებმა გააცნობიერონ, რა არის კაცობრიობის ყოფიერებაში სიცოცხლისუნარიანი — პერსპექტივის მქონე და მას დაუკავშირონ თავიანთი ბედი, „ცნების ნათელი“ ქრისტიანობა, ქრისტიანული ზნეობა, რომელიც ქართული მორალის ტრადიციული საფუძველია“.**

მეც ამ მორალის კუთხით მივუდგები მოსმენილ-გაგონილს.

კიდევ კარგი, ძვირფას ლითონს — ოქროს, რომლისგანაც „ოქროს ფრთა“ არის დამზადებული, ჭუჭყი არ ეკარება და, ცხადია, ვერაფერს ვნებს ამპარტავანთა გამუდმებული შემოტევა; მათი, ვინც ჯილდოს უპირველეს პრეტენდენტად მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევს.

მათი, ვინც „არაფერი იცის, არამედ კამათისა და პაექრობის სენი სჭირს, საიდანაც წარმოიშობა შური, დავა, გმობა და ბოროტი ეჭვი“ (I ტიმ, 6,4).

**შური** — ავსულისა და ეშმას დაღი ადამიანის სულის სიწმინდესა და ამქვეყნიურ მოღვაწეობაზე. სამწუხაროდ, დღემდე სრულად ვერ აღასრულა კაცობრიობამ ბიბლიური მოწოდება მოციქულ პეტრესი: „მოიშორეთ ყოველგვარი ბოროტება, ყოველგვარი მზაკვრობა და პირფერობა, და **შური** და ყოველგვარი ავსიტყვაობა“ (I პეტრ, 2,1).

**შური** — უწმინდურების, თავაშვებულობის, მწვალებლობის, სიძულვილის და ა.შ. სინონიმია. მათი ნაკრებია ადამიანის ცხოვრების წესში ღრმად გადგმული ფესვებით (გალატ. 5, 19-20).

**შურისა და უმადურობის ცხაურებში გამოატარა ქალბატონმა ეთერმა „ოქროს ფრთა“ ისე, რომ გრამიც არ მოჰკლებია. გრამი — წონის ამ ერთეულის პირდაპირი გაგებით, რადგან ამაზე ჰქონდათ აგებული მორიგი საჩურჩულო თემა საღერღელაშლილ მოშურნეთ.**

**მაგრამ ერთი ბუმბულის წონაც არ მოჰკლებია დაწესებული სტანდარტის 10 გრამს.**

ჩამოაქლიბავდა ვინმე?!

ფანტასმაგორია!

ადამიანის აშლილი წარმოსახვის ნაყოფი.

და კიდევ ერთი ავადმყოფური ბოდვა, რომელიც ფსიქიატრების კვლევის საგანია.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ქვეყანას ისე გაუჭირდა, რომ ხალხი საყოველთაო შიმშილის ზღვარზე დადგა, ქალბატონმა ეთერმა, რომელიც მაშინ პროფკავშირულ საქმიანობაში იყო ჩაბმული, მოახერხა და თავისი ავტორიტეტის წყალობით ჟურნალისტებს საშობაო ზეიმი მოუწყო. მართალია, საახალწლო ნაძვისხე და სათამაშოები სულ ერთი საათით ითხოვეს სავაჭრო დაწესებულებიდან, ხოლო გაშლილ სუფრას სამეფო ნადიმს ვერ უწოდებდი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არაფერი აკლდა, მაგრამ მთავარი სხვა რამ იყო: იმ უდროობის ჟამს ჟურნალისტებმა იგრძნეს, რომ ვიღაც აფასებს მათ, ღვაწლს უფასებს საზოგადოება, ემადლიერება; რომ ჯერ არაფერია დაკარგული, რომ ჩვენს ამქარს ძალი შესწევს ქადილისა.

მოილხინეს. განსაკუთრებით ერთი „ამხანაგთაგანი“ აქტიურობდა, უპირველესად, ალაფურშეტის მაგიდებთან.

**«ისინი ექსტრაპროფესიონალები უნდა იყვნენ, სერიოზული, წონადი ღვაწლი უნდა ჰქონდეთ შეტანილი ჟურნალისტიკის განვითარებაში; გამოირჩეოდნენ ორიგინალური ხელწერით; ავტორიტეტით უნდა სარგებლობდნენ საზოგადოებაში და, ამასთან ერთად, პიროვნებები უნდა იყვნენ»**

ორი დღის შემდეგ კი „მადლიერების ნიშნად“ ერთ-ერთ გაზეთში გამოაქვეყნა იმ ლონისძიების განმაქილიკებელი წერილი.

იყვნენ ასეთებიც... როგორც გამონაკლისი.

ამგვარ შემთხვევებს ქალბატონი ეთერი დღეს არ იხსენებს. დიდი ხანია, წერტილი დაუსვა და მეხსიერებიდან ამოირეცხა.

მაგრამ იყო...

და ამ ფონზე, ამგვარი განწყობილების წინააღმდეგ და არა შემოქმედებითი აღმაფრენის წყალობით (როგორც აქამდე მეგონა) დაებადა ქალბატონ ეთერს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის დაფუძნებისა და „ოქროს ფრთის“ ჯილდოს დაწესების კეთილშობილური იდეა.

პირველი, რაც გააკეთა, ცნობილი მხატვრები მოიწვია, „ოქროს ფრთის“ სიმბოლოს დასახატად. ბოლოს ისე მოხდა, რომ ჩუბჩიკამ — თენგიზ მირზაშვილმა ეთერ ჯიშკარიანის ესკიზი მოიწონა. სხვებმაც მხარი დაუჭირეს და „ოქროს ფრთის“ ნიშნის ავტორადაც ქალბატონი ეთერი მოგვევლინა.

## ფონდის ღირსეული მონაგარი

ბევრ საინტერესო საქმეს ჩაუყარა საფუძველი ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა: არაერთი ჟურნალი და კრებული გამოსცა, 2007 წელს გამოვიდა ყოველთვიური გაზეთი „ლამპარი“, 2008 წელს კი დააარსა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მხატვრის — **ზურაბ წერეთლის** პრემია, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ გადასცემენ.

დააწესა უდროოდ გარდაცვლილი ქართველი ჟურნალისტის — **ზაზა დარასელის** სტიპენდია, რომელიც პირველს თსუ სტუდენტს, აფხაზეთიდან ლტოლვილ **ეკა წივწივაძეს** გადაეცა. ამჟამად მას საღამოს 7 საათზე „პალიტრაზე“ მიჰყავს ტელეპროგრამა.

— გამოვეცით წიგნები ქართველ ჟურნალისტებზე, — ამბობს ქალბატონი ეთერი.

— **მაგალითად, ნუგზარ რუხაძეზე, რომელიც დათბობის პერიოდში გაცვლის წესით ამერიკის შეერთებულ შტატებში მივავლინეთ, სადაც „ემის“ პრემიის ლაურეატი გახდა.**

— ისიც უნდა გითხრათ, რომ პირველებმა ჩვენ დავბეჭდეთ წიგნი ახალგაზრდა, უაღრესად პერსპექტიულ ჟურნალისტზე, ანსამბლ „მზიურის“ პირველი თაობის გამორჩეულ წევრზე, „მოამბის“ ტელეწამყვან **ხათუნა დონდუაზე**, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ 2006 წელს „ოქროს ფრთა“ მივანიჭეთ.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი მისდამი მიძღვნილი წიგნის („უკვდავება“) შესავალში წერს: „უკვდავია ერი, რომელსაც ასეთი ახალგაზრდები ჰყავს, ადრეულ ასაკში რომ იპყრობენ გარშემომყოფთა ყურადღებას თავიანთი საქმიანობით, დახვეწილი პროფესიონალიზმითა და თავაზიანობით, ისინი მზად არიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ხათუნამ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ყველაფერი მოასწრო: კარგ პროფესიონალადაც ჩამოყალიბდა და ლამაზი ოჯახიც შექმნა. ძალიან დასანანია, რომ ასეთი ღირსეული პიროვნებები უდროოდ აღასრულებენ სიცოცხლეს“.

— **ქალბატონო ეთერ, „ოქროს ფრთის“ კანდიდატებს რა მოთხოვნებს უყენებთ?**

— უპირველეს ყოვლისა, ისინი ექსტრაპროფესიონალები უნდა იყვნენ, სერიოზული, წონადი ღვაწლი უნდა ჰქონდეთ შეტანილი ჟურნალისტიკის განვითარებაში, გამოირჩეოდნენ ორიგინალური ხელწერით. ავტორიტეტით უნდა სარგებლობდნენ საზოგადოებაში და, ამასთან ერთად, პიროვნებები უნდა იყვნენ, მაღალი ზნეობის, უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანები. სამწუხაროდ, ასეთი ჟურნალისტები აღარ არიან, განსაკუთრებით — ტელეჟურნალისტები.

— **წლეულს თუ გექნებათ „ოქროს ფრთით“ დაჯილდოება?**

— ძალიან ვცდილობ, რომ იყოს, მაგრამ ყველაფერი მაინც გარემოებაზე არის დამოკიდებული. ვნახოთ. თუ დრო გვექნება...

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „მაშ, ვიდრე დრო გვაქვს, სიკეთე მოვიმოქმედოთ ყველამ და უფრო მეტად მათ, ვინც ჩვენიანია რწმენით“ (გალ. 6:10).**

**ა.ს.**

**«საქართველოს ხსნა, ილია ჭავჭავაძის აზრით, არის ის, რომ მისი მოძრაობა დაემთხვეს მსოფლიოს განვითარების გზას»**



გერმანელმა ანდრე ორტოლფმა 1,445 კგ ჟელე 1 წუთში შესანსლა.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რეკორდები, რომლებიც გინესის რეკორდების წიგნში 2018 წელს შევიდა

ზოგიერთი უფლისგან არის დაჯილდოებული განსაკუთრებული მონაცემებით, ზოგს კი თავდაუზოგავი შრომა და ძალისხმევის გამოჩენა სჭირდება გინესის რეკორდების წიგნში მოსახვედრად. რეკორდები კი წლიდან წლამდე სულ უფრო განსაცვიფრებელია. გაეცანით გინესის რეკორდების წიგნის 63-ე გამოცემის რამდენიმე რეკორდსმენს.



ბუნებამ მსოფლიოში ყველაზე გრძელი წამწამებით დააჯილდოვა შანხაის მცხოვრები იუ იანკსია. მისი წამწამების სიგრძე 12,4 სმ-ია.



გერმანელმა ანდრე ორტოლფმა 1 წუთში 893 გრამი კარტოფილის პიურე შეჭამა. მოგვიანებით კი 1,445 კგ ჟელე 1 წუთში შესანსლა.



მართალია, როცა ამბობენ, რომ ბიჭის ცხოვრებაში ყველაზე რთულია პირველი 40 წელიწადი. ამ მამაკაცმა, ერიკ ჯასკოლკამ, ბეტმენის ფიგურების ყველაზე დიდი კოლექცია (15 400 ერთეული) შეაგროვა.



ჯიმი არინგტონი ყველაზე ხანდაზმული ბოდიბილდერია. ის 1932 წლის 1 სექტემბერს დაიბადა. ვენისში (კალიფორნიის შტატი) ბოდიბილდერების პროფესიონალურ ტურნირში მონაწილეობისას, 2015 წლის 7 სექტემბერს, ის 83 წლისა და 6 დღის იყო.



ბაგირზე ყველაზე სწრაფად დადის ფრანგი ლუკას მილიარდი. ბაგირის 100 მ მან 1 წუთსა და 59,7 წმ-ში გაიარა.



ამერიკელმა ნეიტონ სავაიამ ლეგოსგან ააგო მსოფლიოში ყველაზე დიდი ბეტმობილი, რომლის სიმაღლე 1,3 მ-ია; სიგანე — 1,69 მ; ხოლო სიგრძე 5,51 მ.



ბრიტანელ ნილ ხაიზმისონს ისტორიაში პირველად თავის ქალის უკანა ნაწილში ჩაუნერგეს ანტენა. ეს მოხდა 2004 წელს.



ამერიკელ აიანა ვილიამსს ქალთა შორის ყველაზე გრძელი ფრჩხილები აქვს ხელებზე. მარჯვენა და მარცხენა ხელის ფრჩხილების ჯამური სიგრძე 576,4 სმ-ია.



ეს გახლავთ რუსი კალათბურთელი ეკატერინე ლისინა (სიმაღლე 205,7 სმ), რომელსაც მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფეხები აქვს (1 მ 33 სმ).



ყველაზე დიდი ძაღლი ფრედი და მისი პატრონი კლერ სტოუნმანი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველი ჯილდო გადაეცა საუკეთესო ახალბედას — ეს ჯილდო 100-დან 98 ხმით მოიპოვა „დალას მავერიქსის“ კალათბურთელმა, სლოვენიელმა ლუკა დონჩიჩმა. კალათბურთელად, რომელიც ყველაზე სწრაფად განვითარდა აღიარეს „ტორონტო რეპტორსის“ კამერუნელი მოთამაშე პასკალ სიაკამი (86 ხმა 100-დან). ის პირველი კალათბურთელია, რომელმაც ყველაზე პროგრესული მოთამაშის ტიტულთან ერთად იმავე სეზონში მოიპოვა NBA-ს ჩემპიონობაც.**

# NBA -ში ჯილდოები დაარიგეს. იანისი ყველაზე ღირებულია

**2014 წელს NBA-მ 24-მილიარდიანი ტელეკონტრაქტი გააფორმა ტელეარხებ ESPN-სა და TNT-სთან. კონტრაქტი იმოქმედებს 9 წლის განმავლობაში დაწყებული 2016/2017 წლების სეზონიდან. ამ კონტრაქტის პირობების მიხედვით, NBA ვალდებულია, მოაწყოს ჯილდოების გადაცემის ცერემონია — „ოსკარის“, „გრემის“ ანალოგიური ან ისეთი, რომელიც ემსგავსება ჰოკეის ნაციონალური ლიგის (NHL-ის) ღონისძიებას.**





იანის ანტეტოკუნმპო

მაგრამ აი პრობლემა: NBA-ში ჯილდოებს ანიჭებენ რეგულარული სეზონის მიხედვით. ფლეი-ოფების სტარტის წინ კი ფანჯრის მოძებნა, ყველა ხმის დათვლა, ცერემონიის სცენარის დაწერა, გამარჯვებულების თავმოყრა ერთ ადგილას რთული საქმეა. ამიტომ ისევე, როგორც NHL-ში, დაჯილდოების ცერემონია გადაიტანეს ივნისის ბოლოს.

ცერემონიის წამყვანი იყო **შაკილ ო'ნილი.** ცერემონია დაიწყო შაკის ფეხების ჩვენებით წინასწარ მომზადებულ სკეტჩში, შემდეგ გაგრძელდა მისივე ცეკვის (რეპის) ფონოგრამაზე და ხუმრობებით თანაწამყვან **ჩარლზ ბარკლის** მიმართ. ბარკლიმ და კიდევ ერთმა თანაწამყვანმა **კენი სმიტმა** მიიწვიეს კომიკოსი, რომელმაც შაკილ ო'ნილზე შეასრულა პაროდია. ასეთივე იყო მთელი ცერემონია — ალაგ სასაცილო, ალაგ უცნაური და გაუგებარი.

პირველი ჯილდო გადაეცა საუკეთესო ახალბედას — ეს ჯილდო 100-დან 98 ხმით მოიპოვა „დალას მავერიქსის“ კალათბურთელმა, სლოვენიელმა **ლუკა დონჩიჩმა.** კალათბურთელად, რომელიც ყველაზე სწრაფად განვითარდა, აღიარეს „ტორონტო რეპტორსის“ კამერუნელი მოთამაშე **პასკალ სიაკამი** (86 ხმა 100-დან). ის პირველი კალათბურთელია, რომელმაც, ყველაზე პროგრესული მოთამაშის ტიტულთან ერთად, იმავე სეზონში მოიპოვა NBA-ს ჩემპიონობაც.

საუკეთესო დამცველად აღიარეს **რუდი გობერი** — „იუტა ჯაზის“ ფრანგი კალათბურთელი. თუმცა ამ ტიტულის გობერისთვის მინიჭება საკამათოა, რადგან „იუტასა“ და „ჰიუსტონის“ მატჩში ნათლად წარმოჩნდა „იუტას“ პრობლემები დაცვაში. ეს ჯილდო გობერმა მეორედ მოიპოვა, თანაც ზედიზედ. ამდენივე ჯილდო აქვს **ტიმ დანკანს, მაიკლ ჯორდანს, კევინ გარნეტსა და სკოტი პიპენს.**

ერთადერთი ამერიკელი, რომელმაც ერთ-ერთი ძირითადი ჯილდო მოიპოვა, არის **ლუის ტაირონ „ლუ“ უილიამსი** („ლოს-ანჯელეს კლიპერსი“), რომელიც გაუთანაბრდა **ჯამალ კროუფორდს** საუკეთესო სათადარიგო მოთამაშისთვის განკუთვნილი სტატუეტების რაოდენობით.

ამ წელს, წინა წლებისგან განსხვავებით, გადაწყვიტეს, არ გადაეცათ პრიზები საუკეთესო ტყორცნისთვის, დაფარებისთვის და ა.შ., შემოიფარგლნენ მხოლოდ ერთით: „სეზონის საუკეთესო მომენტი“. ეს ჯილდო მოიპოვა **დერიკ როუზმა** („მინესოტა ტიმბერვულზი“), რომელმაც ერთ თამაშში 50 ქულა მოაგროვა. პრიზი საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის გადაეცა **ბრედლი ბილს** („ვაშინგტონ უიზარდსი“). ყველაზე თავგანწირულ მოთამაშედ (ეს პრიზი გადაეცემა იმ კალათბურთელს, რომელსაც, სტატისტიკის მიხედვით, საუკეთესო მონაცემები აქვს ბლოკის დაყენებაში, დაცვის დროს ბურთის შეხებაში და ა.შ.) დაასახელეს **მარკუს სმარტი** („ბოსტონ სელტიკსი“). კრეიგ სეიგერის სახელობის პრიზი სიმამაცისთვის, რწმენისთვის, თანაგრძნობისა და გულმოწყალებისთვის გადაეცა ტელეწამყვან **რობინ რობერტსს,** რომელიც 2012 წლიდან ებრძვის კიბოს.

კარიერაში მიღწეული წარმატებისთვის პრიზები გადასცეს ორ ლეგენდას — **ლერი ბიდსა** და **მეჯიკ ჯონსონს.**

მთავარი პრიზი — NBA-ს ყველაზე ღირებული მოთამაშის (MVP) ტიტული კი დაიმსახურა არა 2018/2019 წლების სეზონის საფინალო სერიის MVP-მ **კავაი ლეონარდმა** („ტორონტო რეპტორზი“), არამედ რეგულარული ჩემპიონატის გამორჩეულმა მოთამაშემ, ბერძენმა, წარმოშობით ნიგერიელმა **იანის ანტეტეკუნმპომ** („მილუოკი ბაქსი“) მეტსახელად „გრეკ ფრიკსმა“, რომელიც მას უნიკალური ფიზიკური პარამეტრების გამო შეარქვეს.


დერიკ როუზი

იანის ანტეტეკუნმპო დაიბადა 1994 წლის 6 დეკემბერს (სიმაღლე — 2 მ 11 სმ, წონა — 110 კგ).

საუკეთესო მწვრთნელისთვის დაწესებული ჯილდო გადაეცა „მილუოკი ბაქსის“ მწვრთნელ **მაიკ ბუდენჰოლცერს.**

**ცნობისთვის: ქარიმ აბდულ ჯაბარი** ერთადერთი კალათბურთელია, რომელმაც MVP-ის ტიტული და, შესაბამისად, 1946-1965 წლებში NBA-ს პრეზიდენტ **მორის პოდოლოფის** სახელობის ჯილდო 6-ჯერ მოიგო. **ბილ ბასელისა** და **მაიკლ ჯორდანის** ანგარიშზე 5 ასეთი ჯილდოა. **უილტონ ჩემბერლენი** ამ ჯილდოს 4-ჯერ დაეუფლა, **მოზეს მელოუნი, ლარი ბირდი, ლებრონ ჯეიმსი** — 3-3-ჯერ. **ბობ პეტიმ, კარლ მელოუნმა, ტიმ დანკანმა** და **სტივ ნეშმა** 2-2-ჯერ შეძლეს MVP-ის ტიტულის მოპოვება. აღსანიშნავია, რომ MVP-ის ტიტულის მფლობელთა შორის 4 არაამერიკელია: **ჰაკიმ ოლაჯიუვონი (ნიგერია), ტიმ დანკანი (ამერიკის ვირჯინიის კუნძულები), სტივ ნეში (კანადა) და დირკ ნოვიცკი (გერმანია).**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ლუკა დონჩიჩი (მარცხნივ)


პასკალ სიაკამი


მაიკ ბუდენჰოლცერი


რუდი გობერი

„სახლში ხშირად ვამზადებ ქართულ კერძებს, ყველაზე ხშირად, ალბათ, „ჩაქაფულს“, რომლის დასამზადებლადაც დაჭრილი, გამხმარი ტარხუნა საქართველოდან მიმაქვს. რაც შეეხება ჩვენებურ ღვინოს, ჩემს სახლში დაყენებული ყველა ჩამოსვლაზე მიმაქვს. ისე კი, ბოლო წლებში იაპონიაში ქართული ღვინის შოვნაც აღარ არის ძნელი. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ, ტოკიოში ქართული ღვინის ორთვიანი ფესტივალიც ჩატარდა. ვფიქრობ, იაპონურ-ქართული ურთიერთობების ისტორიაში სწორედ ეს იყო საუკეთესო პროექტი, რომლის მეშვეობითაც იაპონელებმა, არამხოლოდ ქართული ღვინო, ჩვენი ქვეყნის კულტურა და ისტორიაც გაიცნეს“.

ექსკლუზივი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ტოჩინოშინი:

# იაპონიაში დარჩენას არ ვაპირებ. ქართველი კაცი ვარ და ჩემს სამშობლოში უნდა ვიცხოვრო!

## «დასვენებას ვინ ჩივის, საქართველოში ყანწი არ გამაგდებინეს ხელიდან...»

**მსაჯების სკანდალური გადაწყვეტილების მიუხედავად, ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) მაინც დაიბრუნა სუმოს იერარქიაში რანგით მეორე წოდება — ოძეკი და ახლა აქტიურად ემზადება ნაგოიას ბაშოსთვის, რომელიც 7 ივლისს იწყება. ბაშოს (სუმოს სუპერტურნირი, რომელიც ორ თვეში ერთხელ იმართება) დაწყებამდე ლევანმა მონატრებული სამშობლოს მონახულებაც მოახერხა, თუმცა საქართველოში გატარებული ხუთი დღიდან ლევანმა ოჯახის წევრებისთვის მხოლოდ რამდენიმე საათით თუ მოიცალა, დანარჩენი დრო კი სხვადასხვა შეხვედრამ, სამახსოვრო ფოტოების გადაღებამ და ქეიფმა წაიღო. მთავარია, მუხლის ტრავმამ არ შემიშალოს ხელი, თორემ ყანწი რას დამაკლებსო?! — მითხრა ტოჩინოშინმა, რომელიც, გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მაინც დამთანხმდა ინტერვიუზე.**

**— ლევან, მცხეთიდან შენი სახლისკენ (ლევან გორგაძე სოფელ ძეგვიდან არის – რ.შ.) მიმავალ გზაზე დიდი ბანერია განთავსებული ტოჩინოშინის ფოტოთი და წარწერით: „ოძეკი ლევან გორგაძე“. რა განცდა დაგეუფლა მისი დანახვისას?**

— სიხარული და სიამაყე. ასეთი ბანერი თბილისშიც იყო, მაგრამ მშობლიურ კუთხეში ნანახს მაინც სხვანაირი ემოცია და სიამაყე მოჰყვება... გამარჯვების სიხარულთან ერთად, სწორედ ასეთი წუთებია სპორტსმენისთვის თავდაუზოგავი შრომის დაფასება. წელიწადზე მეტია, სადაც უნდა წავიდე, ყველგან სიყვარულითა და სიამაყით სავსე თვალებს ვხედავ. ასეთ დროს გულშემატკივრებთან ერთად მეც ბედნიერი ვარ, დიდ მუხტს ვიღებ, ამიტომაც მიხარია საქართველოში ჩამოსვლა და ამ ბედნიერი თვალების დანახვა. მინდა, კიდევ ერთხელ ვუთხრა მადლობა ყველა გულშემატკივარს, რომლებისგანაც დადებითი მუხტი მიმიღია ქუჩაში, აეროპორტში, დარბაზში თუ სოციალური ქსელით... მადლობა სიყვარულისთვის!

**— იაპონიიდან საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოსული ძალიან იღლები ამდენი შეხვედრით, სტუმრით, ყურადღებით... მაგრამ ეს, ალბათ, მაინც სასიამოვნო დაღლა იქნება, არა?**

— მართალია. ხუთი დღე ძალიან ცოტაა, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო – საქართველოში აუცილებლად უნდა ჩამოვსულიყავი! იმის მიუხედავად, რომ, რაც ჩამოვედი, სულ აქეთ-იქით დავდივარ, ნორმალურად ოჯახის წევრებიც კი ვერ ვნახე, ფაქტობრივად, არც მიძინია... ისე ძილსა და დასვენებას ვინ ჩივის, ყანწი არ გამაგდებინეს ხელიდან...

**— ყანწი ხელს არ შეგიშლის ბაშოსთვის მზადებაში?!**

— თუ არ მარგებს, ქართულმა ღვინომ როგორ უნდა მაწყინოს?! ერთადერთი, რამაც შეიძლება მზადებაში ხელი შემიშალოს, ტრავმირებული მუხლია – ფაქტობრივად, ნახევარი მენისკი დავკარგე. ჯვარედინი იოგი ისედაც აღარ მქონდა და ახლა ესეც დაემატა... ნაგოიას ბაშოსთვის მზადების პარალელურად მკურნალობას განვაგრძობ და იმედია, აღარ დამჭირდება მუხლიდან სითხის ამოღება. სანამ ვჭიდაობ, არც ოპერაციას აქვს აზრი. ასე რომ, სადამდეც მუხლი გამიძლებს, დოჰიოზე (ადგილი, სადაც სუმოისტების შერკინება იმართება — რ.შ. ) ყოველთვის გავალ.

**— ლევან, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ „ასანოიამასთან“ სკანდალური შეხვედრა: რაზე ფიქრობდი, როცა შიმპანები (მსაჯები, რომლებიც რინგს გარეთ აკვირდებიან ორთაბრძოლას – რ.შ.) დოჰიოზე ავიდნენ სათათბიროდ?**

— დარწმუნებული ვიყავი, რომ შეხვედრა მოგებული მქონდა. ერთადერთი, რაც გავიფიქრე, წესი ხომ არ დავარღვიე და შემთხვევით „ასანოიამას“ თმაზე ხომ არ მოვქაჩე-მეთქი?! განსახილველი ეს თუ იქნებოდა, თორემ რას წარმოვიდგენდი, დოჰიოდან ფეხის გადადგმას თუ მედავებოდნენ... როცა მსაჯების თათბირი უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა, მივხვდი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო... სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი გამართლდა და „ასანოიამას“, ფაქტობრივად, აჩუქეს გამარჯვებაც და, როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, იმპერატორის თასიც.

**— მსაჯების თათბირი 2-3 წუთზე დიდხანს იშვიათად გრძელდება ხოლმე, 6-წუთიანი თათბირი კი პირველად ვნახეთ. ამდენ ხანს რას განიხილავდნენ?**

— ვიდეოჩანაწერისთვის დაეჯერებინათ თუ „ოიაკატასთვის“ (სუმოს მწვრთნელი, კლუბის ხელმძღვანელი). მთავარ მსაჯს ყურსასმენი უკეთია და მისი მეშვეობით აწვდიან სპეციალური კამერებით გადაღებულ ინფორმაციას. როგორც შევიტყვე, მთავარ არბიტრს ყურსასმენში სამჯერ უთხრეს, რომ დოჰიოს გარეთ ფეხი არ დამიდგამს, თუმცა, საბოლოოდ, მაინც ჩემს უკან მჯდომ „ოიაკატას“ ენდო – იქვე იჯდა და მან უკეთ დაინახაო...

**— მერე კი აღიარეს შეცდომა, მაგრამ რაღა დროს?!**

— ჩემთვის აღარც ჰქონდა მნიშვნელობა, აღიარებდნენ თუ არა „შეცდომას“ ოფიციალურად: ჩემპიონობის შანსიც დავკარგე და კინაღამ „ოძეკის“ წოდებაც, რომლის დაბრუნებამდეც სწორედ ერთი გამარჯვება მაკლდა...

**— როგორც ჩანს, ისე გაგაბრაზა „ასანოიამასთან“ უსამართლო მარცხმა, ისე ძალიან გინდოდა „იმ ერთი მოგების“ მოპოვება, რომ ჰენკასაც (ილეთი, როცა სუმოისტი მეტოქეს სასტარტო დაჯახებამდე გაეცლება — რ.შ.) არ მოერიდე იოკოძუნა „კაკურიუსთან“.**

— ამისთვის უკვე მოვუხადე ბოდიში გულშემატკივარს.



ყველამ იცის, რომ ჰენკა ჩემს სტილში და ხასიათში არ არის, მაგრამ ის შეხვედრა აუცილებლად უნდა მომეგო და ილეთს ვინღა დაეძებდა?! ბაშოს დროს მიღებული ტრავმის გამო ისე ცუდად წამივიდა საქმე, რომ 9:1 ბალანსის შემდეგ, ზედიზედ წავაგე სამი შეხვედრა და არათუ ჩემპიონობას, ოძეკის წოდების დაბრუნებასაც ვეღარ ვახერხებდი. მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებამ კი მთლად გამიფუჭა ხასიათი და... ეს ერთი ჰენკა უნდა მაპატიოთ.

**— მაისის ბაშოს ბოლო შეხვედრებს იაპონიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი დონალდ ტრამპიც დაესწრო და ჩემპიონი დააჯილდოვა. „ასანოიამასთან“ წართმეული გამარჯვება რომ არა, გექნებოდა შანსი, კიდევ ერთხელ მოგეგო „იმპერატორის თასი“ და აშშ-ის პრეზიდენტის ხელიდან მიგეღო მისივე სახელობის ჯილდო...**

— ბაშოზე ტრამპის ვიზიტს დიდი აჟიოტაჟი და, ცხადია, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებიც მოჰყვა – მთელი მიმდებარე ტერიტორია გადაკეტეს და დარბაზში შესვლისას სუმოისტებიც გულდასმით შეგვამოწმეს. **აშშ-ის პრეზიდენტი ტურნირის ბოლო ექვს შეხვედრას დაესწრო და ჩემპიონ „ასანოიამასაც“ თვითონ გადასცა „ტრამპის თასი“. ტრამპის ყურადღების ცენტრში მაინც მოვხვდი: როცა დოჰიოზე ავედი საჭიდაოდ და გამოაცხადეს — ტოჩინოშინ, ჯოჯია (ასე უწოდებენ იაპონელები საქართველოს — ავტ.), ტრამპი და მისი მეუღლე გაოცებული მიყურებდნენ — როგორც ჩანს, ამერიკელი ვეგონე, ჯორჯიის შტატიდან...**

**— 13 ოქტომბერს 32 წლის ხდები, ტრავმებისა და ასაკის გათვალისწინებით, ალბათ, უკვე ფიქრობ, რას გააკეთებ კარიერის დასრულების შემდეგ. „ტოჩინოშინის“ სამომავლო გეგმები იაპონიას უკავშირდება თუ საქართველოს?**

— დარჩენის შემოთავაზება ჩემი კლუბის პრეზიდენტისგანაც მაქვს და სუმოს ასოციაციისგანაც, მაგრამ იაპონიაში საცხოვრებლად დარჩენას არ ვაპირებ. **ქართველი კაცი ვარ და ჩემს სამშობლოში უნდა ვიცხოვრო!**



**— მომდევნო ბაშო 7 ივლისს იწყება: ოძეკი ტოჩინოშინი ნაგოიაში ისევ იისფერი მავაშით იჭიდავებს? საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს და რის მიხედვით ირჩევ ხოლმე ქამრის ფერს?**

— ფერს მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ხანდახან ასეთ რაღაცებსაც ვაქცევ ყურადღებას და იმ მავაშით ვჭიდაობ, რომელიც კარგად მაქვს დაცდილი. ნაგოიას ბაშოზე, ალბათ, ისევ იასამნისფერი ქამრით გამოვალ.

**— ყველაზე მეტად რა გენატრება იაპონიაში, რა მიგაქვს ხოლმე საქართველოდან?**

— ჩვენებური სუნელები. კერძების მომზადება მიყვარს და მეხერხება კიდეც. ასე რომ, როცა დრო მაქვს, სახლში ხშირად ვამზადებ ქართულ კერძებს; ყველაზე ხშირად, ალბათ, „ჩაქაფულს“, რომლის დასამზადებლადაც დაჭრილი, გამხმარი ტარხუნა საქართველოდან მიმაქვს. რაც შეეხება ჩვენებურ ღვინოს, ჩემს სახლში დაყენებული მიმაქვს ყველა ჩამოსვლაზე. ისე კი, ბოლო წლებში იაპონიაში ქართული ღვინის შოვნაც აღარ არის ძნელი. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ ტოკიოში ქართული ღვინის ორთვიანი ფესტივალი ჩატარდა. ვფიქრობ, იაპონურ-ქართული ურთიერთობების ისტორიაში სწორედ ეს იყო საუკეთესო პროექტი, რომლის მეშვეობითაც იაპონელებმა, არამხოლოდ ქართული ღვინო, ჩვენი ქვეყნის კულტურა და ისტორიაც გაიცნეს.

**— გასაგებია, რომ საქართველოში გატარებული თუნდაც რამდენიმე დღე მთლიანად ემოციაა შენთვის, მაგრამ... მაინც – რა იყო ამ დღეების ყველაზე ემოციური მომენტი?**

— ჩემი წლინახევრის გოგონას თვალები! ბოლოს ჩემი ქალიშვილი შარშან ვნახე, ექვსი თვისა იყო. სიარული და ლაპარაკი ჩემს აქ არყოფნაში დაიწყო და ამ ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ფოტოებითა და ვიდეოზარებით მხედავდა. ამის მიუხედავად, დანახვისთანავე მიცნო. **არასდროს დამავიწყდება მისი თვალები, როცა პირველად დამინახა და გააცნობიერა, რომ მამა ჩამოვიდა. წეღან მკითხე – საქართველოდან რა მიგაქვსო? მთავარი, რაც სამშობლოდან მიმაქვს, სწორედ ის ბედნიერი თვალებია, ის ემოცია და ძალა, რომელსაც ჩემი ოჯახისგან, გულშემატკივრებისგან, ქართველი ხალხისგან ვიღებ; ემოცია, რომელიც უდიდესი მუხტით მავსებს და მაძლებინებს შორეულ იაპონიაში!**

ესაუბრა
**რატი შელეგია,**
სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“

# უკრაინელი დეპუტატი: ასოცირების შეთანხმებას მავნებლობის მეტი არაფერი მოაქვს უკრაინისთვის



მიხეილ პოპლავსკი



**„ევროკავშირი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გამოიყენოს უკრაინა, ამიტომ მისი მაღაზიების დახლებს უხარისხო საქონლით ავსებს“, — განაცხადა უკრაინის უზენაესი რადას (პარლამენტის) დეპუტატმა მიხეილ პოპლავსკიმ ტელეარხ Zik-ის ეთერში. მისი აზრით, ვითარების გამოსასწორებლად უკრაინამ უნდა განავითაროს სოფლის მეურნეობა.**

**„ნახეთ, რით არის გადავსებული ჩვენი დახლები. ეს არის ქიმია, ეს არის სიკვდილი. ნახეთ, რას ჭამენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები. დღეს საჭიროა შეიქმნას ისეთი მოდელი, რომ სოფელი ისეთივე იყოს, როგორც ადრე“,** — აღნიშნა პარლამენტარმა და დასძინა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ვნებს უკრაინას, რადგან ევროპა მხოლოდ თავის სარგებელზე ფიქრობს.

ერთი თვით ადრე უკრაინის ეკონომიკის ექსმინისტრმა **ვიქტორ სუსლოვმა** განაცხადა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით კიევი თავიდანვე წამგებიან პირობებზე დათანხმდა. ეს მან ტელეარხ „112 უკრაინის“ ეთერში თქვა. სუსლოვის თქმით, ამ შეთანხმების ძირითადი ნაწილი არის თავისუფალი ვაჭრობის ზონების დადგენა, თუმცა ევროკავშირმა უკრაინულ პროდუქციას კვოტები დაუწესა და შეზღუდა მისი შეტანა ევროპაში.

სუსლოვმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ უკრაინის ეკონომიკას არ შეუძლია, კონკურენცია გაუწიოს ევროპის ეკონომიკას, მაგრამ კიევი მაინც თანახმაა, ითანამშრომლოს ევროკავშირის მიერ მიღებული ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების პირობებით.

**„ევროპული პროდუქცია ჩვენთან შემოდის ხარისხის კონტროლის გარეშე, ხოლო უკრაინული პროდუქცია სერტიფიცირებული უნდა იყოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ასოცირების შეთანხმება თავიდანვე იყო არათანაბარუფლებიანი, უსარგებლო და დისკრიმინაციული“,** — განაცხადა ექსმინისტრმა და დასძინა, რომ უკრაინას უზარმაზარი უარყოფითი სალდო აქვს ვაჭრობაში, რომლის სტრუქტურაც აჩვენებს, რომ ევროკავშირიდან უკრაინაში შედის მზა პროდუქცია, ხოლო უკრაინიდან ევროპაში — თითქმის მხოლოდ ნედლეული. მან მაგალითად მოიყვანა ხეტყე, რომელიც ევროპაში გადის.

**„ასეთი მცდარი სტრატეგიული გადაწყვეტილების გამო ჩვენი ეკონომიკა იღუპება“,** — აღნიშნა სუსლოვმა.

უკრაინამ 2014 წელს მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნას. 2016 წლის შეთანხმება სრული ძალით ამოქმედდა, უკრაინაში გაიხსნა ევროკავშირის ბაზარი. თავისუფალი ვაჭრობის ზონების გარდა შეთანხმებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში, კონფლიქტების თავიდან აცილების, დაზვერვის, სახელმწიფო ფინანსების, ტერორიზმთან ბრძოლის, მიგრაციისა და სასაზღვრო კონტროლის საკითხებში. ყველაფრის მიუხედავად, უკრაინელი მწარმოებლები შეეჯახნენ კვოტების პრობლემას, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირთან. სახელდობრ, უკრაინას შეუძლია, ბაჟის გარეშე გაყიდოს საქონლის 36 სახეობა, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით. კვოტების ამოწურვის შემდეგ ექსპორტიორებს მაინც შეუძლიათ საქონლის შეტანა ევროკავშირის ბაზარზე, მაგრამ არა შეღავათიანი პირობებით. სინამდვილეში უკრაინელი მწარმოებლები კვოტებს წლის დასაწყისშივე ამოწურავენ და შემდეგ ექსპორტი შეღავათების გარეშე განხორციელდება ხოლმე.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# პროექტი «უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესია» დასასრულს მიუახლოვდა



**კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებამ, რომელიც კიევში, ვლადიმირის ტაძარში, გაიმართა პატრიარქ ფილარეტის ხელმძღვანელობით, ფაქტობრივად, დენონსაცია მოახდინა ე.წ. ტომოსისა ავტოკეფალიის შესახებ.**

„2019 წლის 6 იანვარს კონსტანტინოპოლში კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ტომოსის გადაცემა არ შეესაბამება ავტოკეფალიური ეკლესიების წესდებას, რადგან უკრაინის ეკლესიას დამოკიდებულს ხდის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე“, — აღნიშნულია კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრების დადგენილებაში. ფილარეტის მიერ მოწვეულმა კრებამ ოფიციალურად გააუქმა არქიერეული კრების (ეპისკოპოსთა კრების) 2018 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიკვიდაციის შესახებ. „ეს იყო არა ადგილობრივი ეკლესიის, არამედ არქიერების, ერთი მღვდლისა და მრევლის ორი წარმომადგენლის ხელმოწერების კრება. კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიკვიდაციის შესახებ კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსის მოთხოვნით“, — აღნიშნულია კრების დადგენილებაში.

მარტივად რომ ვთქვათ, ფილარეტმა ამბოხი მოაწყო და პოროშენკო ტომასით და მასთან ერთად ბართოლომეოსი, ასე ვთქვათ, შორს გაგზავნა. ეს უკვე რელიგიური განხეთქილების ფინალია.

ყველაფერი დაიწყო მიმდინარე წლის აპრილში, როცა პარტრიარქმა ფილარეტმა ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერი **ეპიფანე** და პრეზიდენტი **პოროშენკო** გააკრიტიკა. მისი თქმით, სახელმწიფოს მეთაურმა მოატყუა: დაჰპირდა, რომ ეპიფანე იქნებოდა უკრაინის ეკლესიის წარმომადგენელი საერთაშორისო არენაზე, უკრაინაში კი მმართველი იქნებოდა ფილარეტი.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ფილარეტმა პოროშენკოს „დოლარის მსახური“ უწოდა. უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას მწვავე რეაქცია ჰქონდა ფილარეტის კრებაზე. „ე.წ. კრების გადაწყვეტილება არაფრისმთქმელია და არაკანონიკურია“, — ნათქვამია ეპიფანეს განცხადებაში. ეს არის დასასრული პროექტისა „უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესია“.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



## სტრასბურგში თანამდებობებს ვერ იყოფენ

**2 ივლისს სტრასბურგში გაიმართა პირველი სხდომა ახალი მოწვევის ევროპარლამენტისა, რომლის არჩევნებიც მაისში ჩატარდა.** 3 ივლისს კი ევროპარლამენტარებს მოუწევთ, კენჭი უყარონ თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელსაც მათ ევროპის საბჭო შესთავაზებს. თუმცა დისკუსიები ევროპარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატების გარშემო არ წყდება, ისევე, როგორც არ წყდება დისკუსიები ევროკავშირისა, ევროკომისიისა და ევროსაბჭოს სახელმძღვანელო პოსტების კანდიდატურების გარშემო.


თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22




ქვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი






სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894